პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ცაგრის (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 64. მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 19—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. წონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ., განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 13 იანვარი 1928 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 10 (2053)

## დღიური

— სავაჭრო წარმომადგენლად ესტონეთში დაინიშნა ამხ. სმირნოვი.
— მელითონეთა ადგილკომების არჩევნების დროს ოპოზიციამ გაიმარჯვა.
— მთავრობის შედგენა ლატვიაში არ დასრულებულა.
— გერმანიის მუშათა დელეგაცია საბჭ. კავშირში მოგზაურობის შესახებ.
— ინგლისის მუშათა პარტიის ანტი-კომუნისტური კამპანია
— ოქტომბრის ზეიმის კინო-სურათი აკრძალეს საფრანგეთში.
— დალმაციაში (სამხრეთ-სლავია) სიმშილობა ძლიერდება.

23 იანვარს აჭარისტანის ს. ს. რ. ქ. ბათომში

გაიხსნება

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი

## მესამე სესია

**სესიის დღის წესრიგი:**

1. მოხსენება ავტ. ს.ს.რ. აჭარისტანის მთავრობის მოქმედების შესახებ.
2. პროექტი დებულებისა ს.ს.ს.რ. ქალაქის საბჭოების შესახებ.
3. პროექტი ს.ს.რ. მიწის კოდექსის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ.
4. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსის პროექტი.
5. პროექტი ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ.
6. განხილვა და დამტკიცება საკანონმდებლო აქტებისა, რომელიც პრეზიდიუმის მიერ მიღებულ იყო სესიიდან სესიამდე.

ცაკის წევრებისა და კანდიდატების გამგზავრების დღე და წესი იქნება გამოცხადებული დამატებით.

ს. ს. ცაკის მდივანი—შ. მათიკაშვილი.

## საქართველოს ცაკის მესამე სესიისათვის

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით მესამე სესია დანიშნულია ამა თვის 23-ს ქ. ბათომში —აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში. უწინარეს ყოვლისა ეს არის განხორციელება თვით აჭარისტანის ცაკის სურვილისა, მისი რამდენიმეჯერ განმეორებული შუამდგომლობისა, რომ სრულიად საქართველოს ცაკის ერთი მახლობელი სესიათაგანი მომხდარიყო აჭარისტანის ტერიტორიაზე. როგორც ვიცით, 1926 წელს სრულიად საქართველოს ცაკის სესია ჩატარდა ქ. სოხუმში, — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში.

უეჭველია, რომ საქართველოსა და მასში შემავალ ავტონომიურ ერთეულობათა ურთიერთობაში ამ გარემოებას აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. ყველა ჩვენგანს ახსოვს ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც იქონია სოხუმის სესიამ ცაკის წევრებზე. საქართველოს სხვადასხვა კუთხის და სოფლების მუშები და გლეხები პირველად გაეცნენ აფხაზეთს, მის ყოფა-ცხოვრებას, მის ჭირ-ვარამს. ეს იყო დაახლოება არა სიტყვით, არამედ საქმით. მართალია, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა შედარებით იცნობს აფხაზეთს, სამაგიეროდ აღმოსავლეთ საქართველოსთვის აფხაზეთი სრულიად უცნობი რამ იყო. ნამდვილი ერთობა და ერთიანობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საფუძვლიანი გაცნობის და მჭიდრო დაახლოვების ნიადაგზე. გადაჭრით შეიძლება ვსთქვათ, რომ სრულიად საქართველოს ცაკის სოხუმის სესია ამ მხრით დიდი ნაბიჯი იყო წინ.

უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალ სესიას ბათომში ამავე მხრით ექნება არანაკლები მნიშვნელობა, თუ კიდევ მეტი არა. მართალია, საქართველოსთან დაახლოვების და კავშირის მხრით აჭარისტანი შეუდარებლად ბევრად უფრო უკეთეს პირობებში იმყოფება, ვინემ აფხაზეთი. უწინარეს ყოვლისა აჭარისტანის ხალხი გვარტომობით იგივე ქართველია, მათ ენაც საერთო აქვთ და ამავე დროს აჭარისტანი გეოგრაფიულადაც უფრო მჭიდროდაა საქართველოზე მიკრული, ვინემ აფხაზეთი. მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, დღემდის აჭარისტანის გლეხობის მდგომარეობა, მისი ყოფა-ცხოვრება, მისი გასაჭირი საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მუშებისა და გლეხებისთვის თითქმის სრულებით უცნობი რამაა: განსაკუთრებით ეს ითქმის აღმოსავლეთ საქართველოზე. მართალია, როგორც პრესაში, ისე ყრილობაზე და თათბირებზე ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ აჭარისტანზე, იმ დიდი აღმშენებლობითი და კულტურულ მუშაობაზე, რომელიც იქ სწარმოებს განუწყვეტლივ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს.

ისტორიულმა ქარტეხილმა ეს კუთხე დიდი ხნის განმავლობაში მოსწყვიტა კულტურულ ცხოვრებას, აჭარელი გლეხკაცობა ნაცვლად იმისა, რომ წინ წასულიყო, სულ უფრო და უფრო ჩამოქვეითდა და შეიქნა საძიძგნი სხვადასხვა მყვლეფელების: ბეგების, აღების და სხ. და სხ. ეს თუქთახორა ხალხი ფიქრობდა მხოლოდ იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი სისხლი გამოეწოვა მშრომელი გლეხკაცობისაგან და იმავე დროს ის სიბნელეში დაეტოვებია. ასეთი მდგომარეობა იყო აჭარისტანში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებამდე საქართველოში, როცა მშრომელი გლეხკაცობის ყვლეფის ნიადაგი მოისპო. მაგრამ ამის გატარება ცხოვრებაში იქ ადვილი არ იყო. ამას ხელს უშლიდა უწინარეს ყოვლისა აჭარისტანის გლეხობის ჩამორჩენილობა და სიბნელე. შემდეგ ის უნდობლობა აჭარელ გლეხების მხრით ქართველ ხალხისადმი, რაც გამოიწვია იქ ქართველ მენშევიკების პოლიტიკამ. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ დანიშნულებას ამ ხნის განმავლობაში შეადგენდა ამ უნდობლობის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა. ეს შეიძლებოდა მხოლოდ საქმით, კულტურული და აღმშენებლობითი მუშაობით. აქ ადგილი ნებას არ მაძლევს ამ მუშაობის შესახებ ვრცლად ვილაპარაკო. ვიტყვი მხოლოდ, რომ **აჭარისტანი იდგა და დღესაც დგას საბჭოთა საქართველოს მთავრობის ყურადღების ცენტრში.** ამას ვაცხადებ მთელი პასუხისმგებლობით. ამ მოკლე ხნის განმავლობაში აჭარისტანის გლეხკაცობამ გადადგა წინ დიდი ნაბიჯი როგორც კულტურის, ისე ნივთიერი შეძლების მხრით. რა თქმა უნდა, აქ ადგილი ჰქონდა შეცდომებსაც. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალი სესიის დროს სრულიად საქართველოს უზენაეს ორგანოს წარმომადგენლები თავისი თვალით გაეცნობიან აჭარისტანში წარმოებულ ყველა ამ მუშაობას, ისინი შეამოწმებენ ადგილობრივ მიღწეულ შედეგებს, აღნიშნავენ და მიუთითებენ როგორც ღირსებაზე, ისე ნაკლზე. თავისთავად იგულისხმება, რომ ყოველივე ამას უდიდესი პრაქტიკული შედეგი უნდა მოყვეს. აქედან ჩვენ ვხედავთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ბათომის სესიას, მაგრამ რა თქმა უნდა მარტო ამით როდი ამოიწურება მესამე სესიის მნიშვნელობა. იქ დგას მრავალი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხები, როგორც, მაგ., მოხსენება აჭარისტანის მთავრობის, კოდექსი ქორწინების, ოჯახისა და ოპეკის შესახებ, მიწის კოდექსის ზოგიერთი მუხლების შეცვლის და დამატების შესახებ და სხ.

ამგვარად, საქართველოს ცაკის მომავალი სესია ბათომში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია: გარდა იმ საკანონმდებლო მუშაობისა, რასაც თვით სესიაზე ექნება ადგილი, ცაკის წევრებს შეძლება ექნებათ გაეცნონ აჭარისტანის მდგომარეობას, აჭარელი გლეხის ჭირ-ვარამს, გაიგონ მისი სულისკვეთება. საჭიროა, რომ ცაკის წევრებმა ისარგებლონ აჭარისტანში ყოფნით აჭარისტანის აუცილებელ საჭიროებათა გასაცნობად.

ვუსურვებ მომავალ სესიას ნაყოფიერ მუშაობას.

ფ. მახარაძე.

## „სახელმწიფოს განახლების კავშირი“

ამ დღეებში გერმანიას შეეძინა კიდევ ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია. 7 იანვარს ბერლინში დაარსდა „სახელმწიფოს განახლების კავშირი“. მის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სახალხო პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე და რეინ-ვესტფალის მრეწველთა რწმუნებული ყოფილი კანცლერი განს ლიუტერი. კავშირი აერთიანებს სხვადასხვა ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებს დაწყებული დემოკრატებიდან და გათავებული ნაციონალისტებით. განზე იქნა გადადებული აგრეთვე სარწმუნოება, და კათოლიკე, პროტესტანტი და იუდეველი კაპიტალისტები, მრეწველები და ბანკირები გააერთიანა გერმანიის სახელმწიფოს „განახლების“ საერთო მისწრაფებამ. მოწოდებას ხელი მოაწერეს კათოლიკურ პროფკავშირების და გერმანიის პროფკავშირების, ნაციონალურ გაერთიანების (ორგანიზაცია, რომელიც დაკავშირებულია ნაციონალისტების პარტიასთან), წარმომადგენლებმა. საქმეში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე სოციალ-დემოკრატიამაც. ახლად გამოცხვარი კავშირის მოწოდებას თავისი ხელმოწერით ამშვენებს ჰანოვერის პრეზიდენტი ნოსკე.

რა აზრი აქვს ამ, თავისი შემადგენლობით აჭრელებულ ორგანიზაციის დაარსებას? ეჭვს გარეშეა, ჩვენს წინაშე არის გერმანიის ბურჟუაზიის პოლიტიკურ კონსოლიდაციის ცდა ახალ ჩარჩოებში, ძველი პარტიული და კონფესიონალური დაყოფის ცდა. ამ ორგანიზაციის დაარსების მიზანია აგრეთვე იმ პარტიკულიარიზმის (ე. ი. გერმანიის შემადგენლობაში შემავალ ცალკე მოკავშირე სახელმწიფოების განვითარების) დაძლევა, რომელიც ასე ძლიერია გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ცენტრალიზაცია და ტრესტიფიკაციაქმნილ გერმანიის კაპიტალს სურს შექმნას ცენტრალიზაციაქმნილი სახელმწიფო.

ბურჟუაზიის პოლიტიკური კონსოლიდაცია ნაკარნახევია მთელი საშინაო და საგარეო მდგომარეობით. მონოპოლისტური მრეწველობა, რომელიც მდგომარეობის ერთად-ერთი ბატონ-პატრონია გერმანიაში, ამზადებს ახალ შეტევას მშრომელი მასების წინააღმდეგ მათი ექსპლოატაციის გაძლიერების ხაზით, სოციალურ უზრუნველყოფის ხარჯების შემცირების და თასების პოლიტიკის ხაზით და დაბალ სახელმწიფო მოსამსახურეების შემცირების ხაზით.

გერმანიის ბურჟუაზიამ იცის, რომ მრეწველობის მაღალ კონიუნქტურას არ აქვს მტკიცე საფუძველი, რომ დაუესის გეგმის შესრულება მომავალში მოითხოვს მაქსიმალურ გადასახადებს. მან იცის ყველაფერი ეს და წინდაწინვე ემზადება იმისათვის, რომ მთელი სიმძიმე გადაიტანოს მშრომელთა მხრებზე.

ის წინდაწინვე იმუშავებს სამოქმედო პროგრამას და ქმნის მისთვის საჭირო ორგანიზაციას. ემორჩილება რა სარეპარაციო აგენტის ბრძანებას, გერმანიის ბურჟუაზია ცდილობს განახორციელოს ეკონომია ბიუჯეტში. მან უკვე მიაღწია უმუშევართა დახმარების შემცირებას 250 მილ. მარკით, რკინისგზებზე უკვე დათხოვნილია 335.000 მუშა და მოსამსახურე.

ეხლა დღის წესრიგში სდგას დაბალ ადმინისტრატიულ პერსონალის ახალი შემცირება. ამავე დროს იზრდება ხარჯები ჯარზე, ფლოტზე, პოლიციაზე; ადიდებენ უმაღლეს თანამდებობის მოსამსახურეების ჯამაგირებს.

„სახელმწიფოს განახლების კავშირი“ მიზნად ისახავს სახელმწიფო აპარატის გამარტივებას წვრილ სახელმწიფოებში უსარგებლო ადმინისტრაციის გაუქმების გზით. გერმანია აქამდე შესდგება 18 სახელმწიფოსაგან, რომელთა შორის რვა სახელმწიფოში ერთად ითვლება უფრო ნაკლები მცხოვრები, ვინემ ქალაქ ბერლინში. და მიუხედავათ ამისა მათ აქვთ თავისი ლანდტაგები, თავისი სამინისტროები, თავისი განსაკუთრებული ცენტრალური აპარატი. მონოპოლისტურ კაპიტალს სურს გასწმინდოს ეს ძველი ნაგავი და თავისი დიქტატურული თათი დაადოს ადგილობრივ ორგანოებს, რასაკვირველია, ყველა იმის შენარჩუნებით, რაც წარმოადგენს რეაქციის დასაყრდენს, რაც დაკავშირებულია ვილჰელმის გერმანიის ტრადიციებთან. ვინაიდან, როგორც აცხადებს „განახლების კავშირის“ მოწოდება, ახალმა ცენტრალიზაციაქმნილმა სახელმწიფომ „საერთო საქმეს უნდა მოახმაროს მთელი ეს სახელმწიფო ძლიერება, რომელიც შექმნა ძველმა იმპერიამ“.

როცა 1918 წლის რევოლიუციის დროს მუშათა კლასი მისწრაფოდა გერმანიის ცენტრალიზაციაქმნილ საბჭოთა რესპუბლიკის შექმნისაკენ, სოციალ-დემოკრატიამ ბურჟუაზიასთან ერთად დაიცვა „ისტორიული საფუძვლები“. სამაგიეროდ ეხლა ის ოვაციებით ესალმება ბანკების და მძიმე მრეწველობის ცენტრალიზაციაქმნილ დიქტატურის შექმნას.

თუ ჯერ-ჯერობით „განმაახლებელთა“ მოწოდებას ხელი მოაწერა მხოლოდ ნოსკემ, სამაგიეროდ „ფორვერტსი“ უკვე დიდი ხანია ჰქადაგებს „მთლიან სახელმწიფოს“, სდუმს რა იმის შესახებ, რომ აქ ლაპარაკია მონოპოლისტურ კაპიტალის რკინისებურ დიქტატურის დამყარებაზე. გერმანიის ბურჟუაზია დიდი ხანია მოითხოვს აღმასრულებელ ხელისუფლების, ე. ი. პრეზიდენტის და მინისტრების რწმუნებათა გაფართოებას. ის აშკარად ლაპარაკობს ფინანსიური დიქტატურის აუცილებლობის შესახებ.

ფინანსთა მინისტრმა, ნაციონალისტებისა და სახალხო პარტიის მიერ დამუშავებულ წინადადებების თანახმად, უნდა მიიღოს ვეტოს უფლება რეიხსტაგის გადაწყვეტილებების მიმართ. მან უნდა მიიღოს კონტროლის უფლება ადგილობრივ თვითმმართველობათა ბიუჯეტზე და ვეტოს უფლება ყველა ადგილობრივ საფინანსო საკითხებში. სოციალ-დემოკრატიამ ჰილფერდინგის სახით წინდაწინვე მოიწონა ეს პროგრამა, ვინაიდან „თვითმმართველობებს ესაჭიროებათ კონტროლი, რომელიც უნდა ტარდებოდეს სახელმწიფოს ინტერესების უფრო ფართე თვალსაზრისით“.

პრაქტიკაში ეს კონტროლი ნიშნავს იმას, რომ ფინანსთა მინისტრი, რომელიც მონოპოლისტურ კაპიტალის უბრალო მოსამსახურეა, მიიღებს შესაძლებლობას ეკონომიის საბაბით შეაფერხოს ყოველგვარი კომუნალური წამოწყება, რომელიც რამდენიმეთ მაინც ხელს უწყობს მშრომელთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, და ამით უზრუნველყოს მშრომელთა დაუზოგავი ექსპლოატაცია კაპიტალისტების მიერ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია ამჟამად განსაკუთრებით საზიზღარ როლს თამაშობს. იმ დროს, როცა ბურჟუაზია გააფთრებულ იერიშებს აწარმოებს ეკონომიურ ფრონტზე და ემზადება მთელი თავისი პოლიტიკური ძლიერების შესამჭიდროებლად, რათა შექმნას რაც შეიძლება ხელსაყრელი პირობები კაპიტალის დასაგროვებლად, გაუსწროს ამ მხრივ თავის კონკურენტებს და კვლავ გამოვიდეს ფართე იმპერიალისტურ გზაზე, — სოციალ-დემოკრატები ატყუებენ მუშებს, ცდილობენ მიაფუჩეჩონ კლასობრივი მტრის ძალთა კონცენტრაცია და ხალხს კვებავენ ზღაპრებით იმის შესახებ, რომ სახელმწიფო რეორგანიზაცია (გატარებული მონოპოლისტური კაპიტალის კარნახით), თურმე, ხელს შეუწყობს ხალხის [illegible] უფრო სწორად გამომჟღავნებას.

ამ ლაყბობით სოციალ-დემოკრატია ცდილობს მოადუნოს მუშების [illegible] და განაიარაღოს მუშათა კლასი მომავალ სერიოზულ ბრძოლებში. მასების გამომარცხინება და მათი მებრძოლი განწყობილება ბურჟუაზიას უნდა დასძლიოს წარმოებების დახურვის და ლოკაუტის მუქარით. ის ახდენს თავის ძალთა კონსოლიდაციას კაპიტალისტურ სტაბილიზაციის განმტკიცების მიზნით. ის ცდილობს სავსებით და მთლიანად დაიმორჩილოს სახელმწიფო აპარატი და მოახდინოს მისი რაციონალიზაცია ისე, რომ ეს აპარატი [illegible] კაპიტალისტების მოგების გასადიდებლად, როგორც ამ საქმეზე მუშაობს მისი მრეწველობის რაციონალიზაციაქმნილი აპარატი.

გერმანიის ბურჟუაზიის ამ აშკარა შემოტევის დროს კომუნისტური პარტია შესძლებს თავისი მოვალეობის შესრულებას. ის წინ გაუძღვება მუშათა მასებს ტრესტებში გაერთიანებულ მრეწველობის მაგნატების წინააღმდეგ, რომლებიც ოცნებობენ ვილჰელმის იმპერიის ყოფილ ძლიერების აღდგენასა და განახლებაზე, და რეფორმისტების წინააღმდეგ, რომლებიც ლაქიურ სამსახურს უწევენ მათ.

„პრავდა“ 12 იანვარი.

## სახალხო მსაჯულთა გადარჩევის გამო

საქ. ს. ს. რესპ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, სახალხო მსაჯულთა არჩევნებში შეტანილია პრინციპიალური ცვლილება. დღემდე სახალხო მსაჯულთა არჩევნები ხდებოდა ფაბქარხკომების, ადგილკომების, თემამასკომების და ჯარის ერთეულების უფროსების საშუალებით, ისინი მსაჯულთა სიას ადგენდენ და თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებდენ 7 დღის განმავლობაში, რომ მშრომელ მასებს საშუალება მისცემოდათ განეცხადებინათ აცილება სიაში შეტანილ ამა თუ იმ არასასურველ პირზე, რის შემდეგ შედგენილი სიები გადაეგზავნებოდა კომისიებს დასამტკიცებლად. სიის შედგენის ასეთი წესი ცაკის პრეზიდიუმის მიერ უარყოფილია და შემოღებულია წესი, რომლის თანახმად სახალხო მსაჯულთა არჩევნები უნდა მოხდეს საერთო კრებებზე, ისე როგორც ხდება საბჭოთა არჩევნები.

ცაკის ამ დადგენილებას სასამართლო ორგანოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მთელი მშრომელი მოსახლეობა აქტიურად მიიღებს მონაწილეობას თავისი მოსამართლეთა არჩევაში, ვინაიდან საბჭოთა სასამართლოს სახალხო მსაჯული საქმის გარჩევის და გადაწყვეტის დროს სრულ-უფლებიანი მოსამართლეა, როგორც თვით მუდმივი მოსამართლე, რომელიც მარტო თავმჯდომარეობს სხდომაზე.

ასეთი უფლებით აღჭურვილი სახალხო მსაჯული, სასამართლოს წყობილების დებულებით, შეიძლება იყოს ს.ს.ს. რესპუბლიკის ყოველი მშრომელი მოქალაქე, ორივე სქესისა, რომელსაც უფლება აქვს აირჩიოს საბჭოს წევრები და თითონაც იქნეს არჩეული საბჭოს წევრად, თუ ის შეზღუდული არ არის—არც სასამართლოს განაჩენით და არც სათანადო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დადგენილებით.

საბჭოთა სასამართლოს სახით შექმნილია იმისთანა ორგანო, სადაც მტკიცეთ ჩამოყალიბებულია მშრომელი ხალხის კლასობრივი მისწრაფება. ჩვენი სასამართლოების მუდმივი შემადგენლობა (სასამართლოს თავმჯდომარე ირჩევა ერთი წლით) მშრომელთა წარმომადგენლებისაგან შესდგება. სახალხო მსაჯულთა შემადგენლობაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ასეთივე შეიძლება იყოს. ყოველმა მუშამ და გლეხმა უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა კანონიერება და მისი გამომხატველი სასამართლო არის სახელმწიფოს ერთი საფუძველთაგანი, რომლის სიმტკიცეზეა დამყარებული იმისი სიძლიერე და სწორი მუშაობა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს დღეს, როდესაც კომუნისტურ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასმულია საკითხი რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების შესახებ, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, სამსახურებრივი დაუდევრობასთან, ჩინოვნიკურ მიდგომასთან საქმისადმი და სხვას, ამ მოვლენებთან საბრძოლველად მოწოდებულია ჩვენი სასამართლო.

ყველა მუშა და გლეხი ვალდებულია მიიღოს აქტიური მონაწილეობა სახალხო მსაჯულთა არჩევნებში და აირჩიოს იმისთანა შეგნებული და პოლიტიკურად მომზადებული პირები, რომლებიც ღირსეულად შეასრულებენ მსაჯულის საპასუხისმგებლო მოვალეობას.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობას შვიდი წელიწადი უსრულდება, იგი ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. ადგილი აქვს სასამართლოში სისტემატიურ გამოუცხადებლობას, ბევრ შემთხვევაში საქმის გარჩევისას მსაჯულნი აქტივობას არ იჩენენ და სხვა, ყველაფერი ეს ძალზე აფერხებს სასამართლოს მუშაობას. ერთი რომ, საქმეები იდება, მხარეები, მოწმეები მოდიან სასამართლოში შორ მანძილიდან, მსაჯულების გამოუცხადებლობის გამო იცდიან დღის 2—3 საათამდე, გამოსთქვამენ უკმაყოფილებას საქმის გადადების გამო, რითაც ეცემა სასამართლოს პრესტიჟი ფართო მასის თვალში. მხარეები და მოწმეები მათთვის დამოუკიდებელ მიზეზებით ღებულობენ ზარალს—დროს გაცდენით და ხარჯის სახით; ბოლოს საქმის ხშირი გადადებით სასამართლო საგრძნობლად იტვირთება.

ასეთ არანორმალურ მოვლენას უნდა მოეღოს ბოლო. სახალხო მსაჯულთა ამომრჩევლებმა არჩევნების დროს არჩეულებს უნდა მისცენ სათანადო განაწესი, სადაც უნდა იქნეს გათვალისწინებული და აცილებული მომავალში დღემდე არსებული დეფექტები სახალხო მსაჯულთა მუშაობაში.

ყველა გლეხმა და მუშამ, რომელიც არჩეული იქნება მსაჯულად, მტკიცეთ უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა სასამართლო მშრომელთა საქმეა და თავის არიდება არ გამოცხადებით და პროცესში პასიობის გამოჩენით არის უდიდესი დანაშაული.

მსაჯულთა სიებში ქალთა რიცხვი გასულ წლებში მცირე იყო, რასაც უნდა მიექცეს მომავალ არჩევნების დროს ყურადღება და ქალები რაც შეიძლება მეტი პროცენტი გავიყვანოთ სახალხო მსაჯულებად.

წინასწარ მოსამზადებელი და საანგარიშო კამპანია მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული. სახალხო სასამართლოებმა გასულ წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში უნდა მისცენ მშრომელ მოსახლეობას, ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული სახალხო მსაჯულთა მნიშვნელობა საბჭოთა სასამართლოში.

უდავოა, რომ მსაჯულთა არჩევნების ახალი წესი ფართო მოსახლეობის თვალში უფრო ასწევს სასამართლოს პრესტიჟს, მსაჯულები, არჩეულნი მთელ მშრომელ მოსახლეობის მიერ, უფრო აქტიურად ჩაებმებიან საბჭოთა სასამართლოში, რითაც ჩვენი საბჭოთა სასამართლო უფრო პირნათლად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ა. კაჭარავა.

# ინგლის-ამერიკის მეტოქეობა შეიარაღებაში

## ამერიკა 1.450.000 მანეთის დახარჯვას აპირებს ახალი სამხედრო გემების ასაგებად

## ანტი-ინგლისური მოძრაობა ინდოეთში.—გლეხების შეტაკება პოლიციასთან

## რევოლიუციონურმა ჯარებმა და აჯანყებულმა გლეხებმა გააძლიერეს მოქმედება კანტონთან

### კრეისერები ქმნიან იმპერიალისტების „პრესტიჟს“

**ვაშინგტონი**, 11 იანვარი. საზღვაო მინისტრმა **ვილბურმა** კონგრესზე შეიტანა კანონპროექტი სამხედრო გემების აღმშენებლობისათვის 725 მილ. დოლარის გადადების შესახებ. ამ თანხით 5 წლის განმავლობაში აშენებულ უნდა იქნეს 25 კრეისერი (თვითეული 10.000 ტონი), 5 ავიომზიდველი (33.000 ტონი თვითეული), 9 ნაღმოსანი და 32 დიდი წყალქვეშა ნავი. ასეთი აღმშენებლობის აუცილებლობა ვილბურმა შემდეგნაირად დაასაბუთა:

„ის გარემოება, რომ ინგლისი საჭიროდ სთვლის შედარებით დიდი ტონაჟის კრეისერების აგებას, გვაიძულებს ჩვენც გავადიდოთ ჩვენი კრეისერების ტონაჟი. **ჩვენს ვაჭრებს და ფაბრიკანტებს შესაძლებლობა უნდა ქონდეთ შეინარჩუნონ უცხოეთის ბაზრები, რომლებიც ჩვენ დაპყრობილი გვაქვს, ხოლო ევროპაში ნორმალური მდგომარეობის აღდგენის მიხედვით ჩვენ უნდა ვეძებოთ ახალი ბაზრები ჩვენი პროდუქციისათვის.** ამ ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პრესტიჟისაგან, რომელსაც სახელმწიფოს აძლევს ეხლანდელ კრეისერები (ადს).

### გლეხთა მოძრაობა ინდოეთში

**ლონდონი**, 11 იანვარი. ბურმიდან (ინდოეთი) მიღებული ცნობების მიხედვით, **გლეხთა საპროტესტო მოძრაობა სერიოზულ ხასიათს იღებს.** მოძრაობა გამოწვეულია აუტანელი გადასახადებით, ინგლისურ ხელისუფლების წარმომადგენლები უსასტიკეს რეპრესიებს მიმართავენ გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ. გამოქვეყნდა ცნობა გლეხების შეტაკების შესახებ პოლიციასთან პაუნგდაში. შეტაკების დროს მოკლულია 2 გლეხი და 6 მძიმედ დაჭრილია. ამ ინციდენტის შესახებ მიღებულ უფრო დაწვრილებითი ცნობების მიხედვით შეტაკების უშუალო მიზეზი იყო გლეხთა მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერის — შვი-ხივეს დაპატიმრება. **შვი-ხივე განთავისუფლებულ იქნა გლეხების მიერ, რომლებმაც პოლიციელები გარეკეს.** როცა რამდენიმე დღის შემდეგ პოლიცია უკან დაბრუნდა, რომ კვლავ დაეპატიმრებია შვი-ხივე, მას გარს შემოერტყა 160-დე გლეხი, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ჯოხებით, ნაჯახებით და დანებით. პოლიციამ ჯერ დააპატიმრა ზოგიერთები, მაგრამ შემდეგ „იძულებული გახდა მიემართა იარაღისათვის“.

რეიტერი რანგუნიდან იუწყება, რომ **ტორაუადსა და ინსეინ-პრომეში გაიგზავნა ჯარები.**

**24 ასოციაცია ბურმში გამოცხადებულია არალეგალურად.** მაგრამ რეიტერის იმავე ცნობების მიხედვით, მოძრაობა ჯერ-ჯერობით არაა ჩამქრალი ვინაიდან ცნობაში ნათქვამია: „გადასახადების აკრეფა შედარებით წარმატებით მიმდინარეობს, ხელისუფლება ფხიზლად ადევნებს თვალყურს შექმნილ მდგომარეობას“.

ინგლისის კომპარტიის ორგანო „უორკერ-ლაიფ“ აღნიშნავს, რომ გადასახადების აკრეფა წარმოადგენს ინგლისური იმპერიალიზმის საყვარელ მეთოდს იაფი მუშა-ხელის საშოვნელად. ამ მეთოდის საშუალებით ბურმის გლეხები ათასობით გააძვალტყავეს და ეხლა ამუშავებენ თუთიის და ვერცხლის მაღაროებში; 17 ათასი გლეხი მუშაობს ნავთის წარმოებებში და 97.000—ფაბრიკებში. (ადს).

### მდგომარეობა ჩინეთში

**გადასახადები პეკინის მთავრობის სასარგებლოდ**

**ხარბინი**, 11 იანვარი. იაპონიის გაზეთის „ხოტენ-სიმბუნის“ ცნობით პეკინის მთავრობამ მუკდენის გუბერნატორ ლიუს მოსთხოვა 50 მილიონ დოლარი სამხედრო საჭიროებებისათვის. ლიუ თანახმაა მისცეს 30 მილიონ დოლარი. დანარჩენ 20 მილიონს გაიღებენ გირინის და ხეილუძიანის პროვინციები (ადს).

**როგორ „ურიგდება“ კაპიტალი შრომას**

**ტოკიო**, 11 იანვარი. შანხაიდან იტყობინებიან, რომ შრომის და კაპიტალის მორიგების კომიტეტმა პოლიციას მოსთხოვა ყველა მუშათა კავშირების დაშლა. (ადს).

**რევოლიუციონური ჯარების ოპერაციები კანტონის მიდამოებში**

**ტოკიო**, 11 იანვარი. შანხაიდან მიღებული ცნობების მიხედვით, რევოლიუციონური ჯარების ოპერაციები კანტონის მიდამოებში თანდათან აქტიურ ხასიათს იღებს. **რევოლიუციონურ ჯარებს ეხმარებიან გლეხთა რაზმები.** (ადს).

**უხანის საპატიმროებში**

**პეკინი**, 11 იანვარი. ხანკოუდან მიღებული ცნობების მიხედვით უჩანის, სინიანისა და ხანკოუს საპატიმროებში სხედან 300-ზე მეტი კომუნისტი და მუშათა მოძრაობის მემარცხენე მოღვაწეები, რომლებსაც პასუხისგებაში მისცემენ (ადს).

**გემი „სკულა“**

**ბერლინი**, 11 იანვარი. ვოლფის სააგენტო იტყობინება: „ლონდონის ჩინურ გაზეთში გამოქვეყნებულია ცნობა, რომ ჰამბურგიდან მოვიდა ნორვეგიის გემი „სკულა“, დატვირთული სამხედრო მასალებით. ოფიციალურმა გამოკვლევამ, რომელიც მოხდა ჰამბურგში, გამოარკვია, რომ გემი „სკულა“ 19 ოქტომბერს გავიდა ოსლოდან და ჰამბურგში არ შესულა არც წასვლამდე, არც ჩინეთის რეისის დროს. (ადს).

**ახალი გადასახადები**

**პეკინი**, 11 იანვარი. „მანჯურია დეილი ნიუს“-ის ცნობით მუკდენის სამოქალაქო გუბერნატორმა მოიწვია სასწრაფო თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა სამხედრო საჭიროებისათვის 50 მილიონ დოლარის შეგროვების საკითხი. თათბირმა საჭიროდ სცნო მიწის და სხვა გადასახადების გადიდება 20 პროცენტით. აღმოსავლეთის სამ პროვინციაში, პეკინიდან მიღებული განკარგულების თანახმად, შემოღებულია დამატებითი გადასახადი მიწაზე 1 დოლარის რაოდენობით მანზე (დესეტ. [illegible] დროს. (ადს).

### გერმანიის მემარცხენე მელითონეების გამარჯვება

**ბერლინი**, 11 იანვარი. პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობამ სრულიად გერმანიის მელითონეთა კავშირის ადგილობრივ კომიტეტების არჩევნების დროს, დუისბურგში, სრული გამარჯვება მოიპოვა. **ხოხფელდში ოპოზიციამ მიიღო 90 პროცენტი ხმების საერთო რაოდენობიდან, მაშინ როცა შარშან მიღებული ჰქონდა მხოლოდ 45 პროცენტი.** ხომბურგში ოპოზიციას ხმა მისცა ხმების 65 პროც., რეფორმისტებს—35 პროც. შარშან რეფორმისტებს მიღებული ჰქონდათ იმდენი, რამდენიც წელს მიღებული აქვს ოპოზიციას (ადს).

### ლატვია უმთავრობოთ

**რიგა**, 11 იანვარი. იურაშევსკის (დემოკრატიული ცენტრი) ცდები ახალი მთავრობის შესადგენათ უშედეგოთ დამთავრდა. განზრახულია ყველა ფრაქციების წარმომადგენელთა თათბირის მოწვევა მთავრობის კრიზისის საკითხის განსახილველად. იურაშევსკიმ პრეზიდენტს სთხოვა მთავრობის შედგენის რწმუნების ვადის ერთი დღით გაგრძელება. პრეზიდენტმა დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა (ადს).

### იაპონია არჩევნების წინ

**ტოკიო**, 11 იანვარი. „ტოკიო ასახი“-ს ცნობით, მთავრობას განზრახვა აქვს პარლამენტი დაითხოვოს მთავრობის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ სესიის გახსნის დღეს. მთავრობამ გამოაქვეყნა ბრძანება 4 გუბერნატორის და 23 საგუბერნიო ჩინოვნიკების გადაყენების შესახებ. ფიქრობენ, რომ ეს ზომები გამოწვეულია იმით, რომ მთავრობა აპირებს ახალი არჩევნების დანიშვნას (ადს).

### „ვესტმინსტერ გაზეტ“-ის პროვოკაცია

**ლონდონი**, 11 იანვარი. „ვესტმინსტერ გაზეტ“-ის სპეციალური კორესპონდენტი იტყობინება: „სპარსეთი ავსებულია რუსი კომუნისტური აგენტებით. სპარსეთის მთავრობა ცდილობს რა თავის ვაჭრობის განვითარებას, სათანადოთ ვერ აფასებს კომუნისტური თეორიების მავნებლობას. ავღანისტანი წარმოადგენს ბუფერულ სახელმწიფოს სპარსეთსა და ინდოეთს შორის. და ეჭვს გარეშეა, რომ ზემოთ მოყვანილი გარემოება მიღებულ იქნება მხედველობაში ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ავღანისტანის ფადიშახის ლონდონში ჩასვლასთან დაკავშირებით“. (ადს).

### ყალბი ჩერვონცების დამზადების გარშემო

**ბერლინი**, 11 იანვარი. ყალბი ჩერვონცების დამზადების საქმის გამო პასუხისგებაში მიცემული მრჩეველი რაკეტლოს ავადმყოფობის გამო განთავისუფლებულია პატიმრობიდან. სადათიერაშვილის დამცველის ანალოგიური შუამდგომლობა უარყოფილია. წინასწარი კვლევა-ძიება სწარმოებს. (ადს).

### კომუნისტ დეპუტატებს დაპატიმრებას უპირებენ

**„პტი პარიზიენის“ ცილისწამება**

**პარიზი**, 11 იანვარი. მემარჯვენეთა პრესა ერთსულოვნად იწონებს მთავრობის პოზიციას კომუნისტ-დეპუტატების მიმართ. ამასთანავე „პტი პარიზიენი“ ავრცელებს ჭორებს, ვითომც კომუნისტი დეპუტატები „საბჭოთა საელჩოში იმალებოდნენ“ (ადს).

**ემბერ დროს პატიმრობის ვადის შემცირება**

**პარიზი**, 11 იანვარი. სააპელაციო სასამართლომ კომუნისტს **ემბერ დროს**, რომელსაც ციხე ჰქონდა მისჯილი, პატიმრობის ვადა შეუმცირა ხუთი თვიდან სამ თვემდე (ადს).

### გერმანიის მუშათა დელეგაციის ანგარიში

**ბერლინი**, 11 იანვარი. გერმანიის მესამე მუშათა დელეგაციამ, რომელმაც საბჭოთა კავშირი ინახულა, დღიდან თავისი დაბრუნებისა გერმანიაში ჩაატარა 480 საანგარიშო კრება. მთელ რიგ რაიონებში შექმნილია მთლიანობის კომიტეტები, რომლებმაც მოაწყვეს საანგარიშო კრებები. სოციალ-დემოკრატიის წევრების ღია წერილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას სახელზე, 80.000 ცალი გავრცელდა. მთლიანობის კომიტეტის ორგანო **„ეინხეიტ“-მა 1.000 ახალი ხელისმომწერი შეიძინა. საანგარიშო კამპანიის ჩატარებას ხელს უშლიან როგორც სოციალ-დემოკრატები, ისე რეფორმისტული პროფკავშირები და რუტ-ფიშერ-მასლოვის ჯგუფის წარმომადგენლები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მომხსენებლებთან კამათის დროს სოციალ-დემოკრატები და რუტ ფიშერ-მასლოვის ჯგუფის წარმომადგენლები ჩვეულებრივად ერთ და იმავე არგუმენტაციას მიმართავენ. (ადს).**

### ანტიკომუნისტური კამპანია ინგლისში

**ლონდონი**, 11 იანვარი. ინგლისის მუშათა პარტიის აღმასკომი არ სწყვეტს კომუნისტების საწინააღმდეგო კამპანიას. უკანასკნელ დროს მუშათა პარტიის ყველა ადგილობრივ განყოფილებებს დაეგზავნა მთელი რიგი დოკუმენტები და აგრეთვე წერილი, რომელშიაც გამოთქმულია იმედი, რომ ეს დოკუმენტები დახმარებას გაუწევენ მუშათა პარტიის „ლოიალურ“ წევრებს „ადგილებზე [illegible] ელემენტების მოღვაწეობის წინააღმდეგ ბრძოლაში“. ეს „დოკუმენტები“ შემდეგია: კომუნისტური წესდება, კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლის პირობები და ორი მემორანდუმი: ერთი—იმპერიალიზმთან და კოლონიალურ ჩაგვრის წინააღმდეგ შებრძოლ ლიგის საკითხის შესახებ და მეორე—[illegible] მოღვაწეობის საკითხის შესახებ. მემორანდუმები მხარს უჭერენ კაპიტალისტურ პრესაში გავრცელებულ ვერსიას, რომ ორივე ზემოდასახელებული ორგანიზაცია წარმოადგენს „იარაღს კომუნისტების ხელში“. (ადს).

### ეგვიპტე და ავღანისტანი

**ლონდონი**, 11 იანვარი. ქაირის გაზეთის „ალახრამ“-ის ცნობით, ავღანისტანის ფადიშახმა **ამანულამ** ეგვიპტეში ყოფნის დროს ეგვიპტეს პრემიერს **სარვათ ფაშას** განუცხადა სურვილი ეგვიპტეს და ავღანისტანს შორის მეგობრობის ხელშეკრულების დადებისა და უშუალო დიპლომატიური დამოკიდებულების დაწესებისა ამ ქვეყნებს შორის (ადს).

### „წითელი ფილმი“

**პარიზი**, 11 იანვარი. „ჰუმანიტეს“ ცნობით, ოქტომბრის დღესასწაულების მონაწილეებმა **ლავერნიამ და კოლომერმა** მოხსენება წაიკითხეს საბჭოთა კავშირში საფრანგეთის დელეგაციის გამგზავრების შესახებ. სოციალისტები ეცადნენ გამოჰკამათებოდნენ მოხსენებლებს, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. დემონსტრაცია ფილმისა, რომელზედაც გადაღებულია ოქტომბრის დღესასწაული მოსკოვში, მთავრობამ აკრძალა იმ მიზეზით, რომ ფილმს ცენზურა არ გაუვლია (ადს).

### ოსმალეთის ნახევარმთვარის 50 წლის თავი

**მოსკოვი**, 12 იანვარი. ოსმალეთის ნახევარ-მთვარის 50 წლის არსებობის დღესასწაულის გამო წითელი ჯვარისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ენუქიძემ** ჩვენი წითელ ჯვარის ყველა ორგანიზაციების სახელით მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ოსმალეთის ნახევარ-მთვარეს. ამ დეპეშის საპასუხოდ ამხ. ენუქიძემ სამადლობელი დეპეშა მიიღო ოსმალეთის ნახევარ-მთვარის თავმჯდომარე **რეფიკ-ბეისაგან.** (ადს).

### ახალი სავაჭრო წარმომადგენელი ესტონეთში

**მოსკოვი**, 12 იანვარი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. **ოხიპოვი** გაანთავისუფლა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოვალეობისაგან ესტონეთში და მის მაგივრად სავაჭრო წარმომადგენლად დანიშნა ამხ. **ივანე ალექსანდრესძე სმირნოვი.**

ამხ. სმირნოვი დაიბადა 1881 წ. მოსკოვის გუბერნიაში. იგი იყო მუშა მებულკის შვილი, 9 წლამდე მუშაობდა მოსკოვში თავისი მამის ხელობაზე. მუშათა მოძრაობაში მონაწილეობას იღებს 1912 წლიდან. პარტიაში შევიდა 1917 წლის თებერვალში. უკანასკნელ ხანებში იყო საზოგადოება „პრომექსპორტის“ გამგეობის თავმჯდომარედ. (ადს).

### კულტურული კავშირი დასავლეთთან

ლიტერატურული სექციის დაარსება

**მოსკოვი**, 12 იანვარი. დასავლეთთან კულტურულ კავშირის საკავშირო საზოგადოებაში შესდგა მწერლების და პოეტების საინიციატივო ჯგუფის კრება დასავლეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებასთან ლიტერატურული სექციის დასაარსებლად. კრების თავმჯდომარემ ამხ. **კამენევამ** თავის მოხსენებაში აღნიშნა ლიტერატურული სექციის ამოცანები. კრებამ გამოიტანა დადგენილება სექციის საბჭოს დაარსების შესახებ, და გამოჰყო მთელი რიგი ლიტერატურული და მეცნიერული ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ ლიტერატურული სექციის საბჭოს მუშაობაში. კრებამ მიიღო აგრეთვე ლიტერატურული სექციის დებულების პროექტი და ამასთანავე შეიმუშავა სექციის მუშაობის ამოცანები. კრებამ აირჩია საორგანიზაციო კომისია ამხ. **ზელინსკის; ტარასოვ-როდიონოვის, ლეონოვის; ლიდინის და სვირსკის შემადგენლობით.**

### თათბირი აღმოსავლეთის ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ

**მოსკოვი**, 12 იანვარი. 11 იანვარს დაიწყო აღმოსავლეთ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მოწვეულია საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილებით. თათბირი გახსნა ამხ. **პახომოვმა;** მან მოკლე შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ თათბირის ძირითად ამოცანას შეადგენს კომისიის მუშაობის უფრო მკაფიო ფორმების შემუშავება. ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებში სხვადასხვა დროს აღმოცენებული შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიები სულ სხვადასხვანაირ ამოცანებს ისახავენ. ზოგ კომისიებს უმთავრესად იურიდიულ-კონსულტატიური გადახრა ეტყობა, ზოგნი მატერიალური დახმარების საქმეს ანვითარებენ, ზოგი კიდევ საწარმოწყებო საქმიანობას ეწევა და სხვა. კომისიები მუშაობის ფორმებს ეძებენ. თათბირმა მათ ამ საქმეში დახმარება უნდა გაუწიოს.

თათბირის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა საბჭოთა რუსეთის ცაკთან არსებული ცენტრალური კომისიის (მომხსენებელი ამხ. **ლიუბიმოვა**), უზბეკისტანის კომისიის (მომხსენებელი ამხ. **სანინა**) და ყაზახსტანის კომისიის (ამხ. **უსპენსკაია**) საინფორმაციო მოხსენებანი. მოხსენებათა მიზანი იყო: ერთმანეთისათვის გაეცნოთ კომისიების ორგანიზაციული მხარე, კომისიების მიერ დასახული ამოცანები, ცხოვრებაში გატარებული უშუალო ღონისძიებანი და ის სახსრები, რომლებიც კომისიებს მოეპოვებათ.

„აღმოსავლეთის ქალის უქმი საჰარამხანო ცხოვრება—ამბობს თავის მოხსენებაში ამხ. **ლიუბიმოვა**—საზღვარგარეთელი ცუდი რომანისტების მოკლული ფანტაზიაა. აღმოსავლეთის ქალს ნაკისრი აქვს მძიმე ჯაფა მეურნეობაში. ჩამორჩენილ ტომებში, მაგალითად, მარიელებსა, ჩუვაშებსა და ვოტიაკებს შორის, ქალი ისევე მუშაობს, როგორც რუსი გლეხი-ქალი. ჩვენი კავშირის აღმოსავლეთის სხვა რაიონებში ქალი ძალიან ხშირად უფრო მეტს მუშაობს, ვიდრე მამაკაცი. აღმოსავლეთის ქალს შრომა უნდა გაუადვილოთ.

ცენტრალურ მთავრობებთან არსებული შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიები და მათი ფილიალები უნდა მუშაობდენ კულტურულად ჩამორჩენილი ერების, პირველ ყოვლისა, აღმოსავლეთის ერების ქალებისათვის. კომისიებს უფლება აქვთ არა მარტო ხელი შეუწყონ ყველა მომუშავე ორგანიზაციებს, არამედ მათ მუშაობას ხელმძღვანელობაც გაუწიონ და მხოლოდ მათ საოპერაციო მუშაობაში არ ჩაერიონ. საბჭოთა რუსეთის ცენტრალური მთავრობა ყოველნაირად ეხმარება მუშაობაში ცენტრალურ კომისიას. მთავრობა იყენებს მის აზრებს და მასალას იმ კანონმდებლობისათვის, რომელსაც მიზნად აქვს აღმოსავლეთის ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება. მაგრამ საბჭოთა რუსეთის ბევრ რაიონებში—ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების მთავრობებს, საოლქო და საგუბერნიო აღმასკომებს ჯერ კიდევ საკმაოდ ნათელი წარმოდგენა არა აქვთ კომისიის მუშაობის მნიშვნელობის შესახებ“.

უზბეკისტანის კომისიის მომხსენებელმა რამდენიმე მკაფიო მაგალითი მოიყვანა იმის შესახებ, თუ როგორ იზრდება კომისიის გავლენა უზბეკელ დეხკანკებს შორის.

კომისიას დიდი პოპულარობა მოუპოვა იმ გარემოებამ, რომ მან შექმნა ისეთი დაწესებულებანი, როგორიც, მაგალითად, დეხკანკების სახლია; მოაწყო სამედიცინო დახმარების გავრცელება, გასწია მუშაობა კოოპერაციაში გაერთიანებისათვის და სხვ. კომისიის საოლქო განყოფილებებს ბლომად ეტანებიან ქალები და თხოულობენ რჩევა-დახმარებას ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევებისა და საჭიროების გამო.

ყაზახსტანის კომისიის მომხსენებელმა აღნიშნა მიღწევები კულტურულ განმანათლებელი მუშაობის დარგში.

მორიგი საინფორმაციო მოხსენებანი გადატანილია 12 იანვრის დილის სხდომაზე (ადს).

# უკანასკნელი ცნობები

### საბჭოთა კავშირთან დაახლოვებისათვის

**ნიუ-იორკი**, 12 იანვარი, რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატას განზრახვა აქვს მოაწყოს პალატის მოსკოველი წარმომადგენლის ჩარლზ სამიტის სალექციო მოგზაურობა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩარლზ სმიტი ამ დღეებში ჩამოვიდა ნიუ-იორკში საბჭოთა კავშირიდან. პალატა აცხადებს, რომ ჩრდილო ამერიკის შეერთ. შტატების საქმიანი წრეები, რომელნიც ძალიან არიან დაინტერესებული საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებით, იწვევენ სმიტს, რათა მან დაწვრილებით გააცნოს მათ საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა (ადს).

### ომი ნიკარაგუაში

**ვაშინგტონი**, 12 იანვარი. მანაგუადან მიღებული ცნობებით, აჯანყება ქალაქ ხამოტილოში ჩაქრობილია. ჩრდილო-ამერიკის შეერთ. შტატების სამხედრო აეროპლანებმა კვლავ დაუშინეს ყუმბარები გენერალ სანდინოს ჯარებს. ყუმბარების სროლის დროს მოკლულ იქნა 9 კაცი, დაიჭრა 8 კაცი. კორინტოში ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების საზღვაო ქვეითი ჯარის ახალი რაზმი გადმოსხეს. ნიუ-იორკში და ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთელ რიგ დიდ ქალაქებში საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მოქმედების წინააღმდეგ ნიკარაგუაში. მიტინგები მოწყობილ იქნა მუშათა პარტიის, კომკავშირის და ანტი-იმპერიალისტური ლიგის მიერ. მექსიკაში, არგენტინაში და მთელ რიგ ქალაქებშიაც გაიმართა მიტინგები და საპროტესტო დემონსტრაციები (ადს).

### საზიზღარი მანიფესტი

**ლონდონი**, 12 იანვარი. დღეს დანიშნულია მწარმოებელთა და პროფკავშირთა გენერალური საბჭოს კონფერენცია მრეწველობაში „მშვიდობიანობის" დამყარების საკითხის განსახილველად. ამის გამო „ქრისტიანულ სამრეწველო ძმობის" სახელით გამოქვეყნებულია მანიფესტი, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩვენ მოუწოდებთ ყველა კეთილ მამაკაცებს და ქალებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა ქრისტიანული პრინციპების დანერგვისათვის მრეწველობის ციხე-სიმაგრეში".

მანიფესტს ხელს აწერს ინგლისის მუშათა მოძრაობის (რეფორმისტული) ბევრი ბელადი. გამოქვეყნებულია აგრეთვე მოწოდება 200 მრეწველის ხელმოწერით; მოწოდებაში ნათქვამია, რომ „მშვიდობიანობა მრეწველობაში" შესაძლოა მხოლოდ ქრისტიანული ძმობის გზით".

კონფერენციას უგზავნის კენტერბერიის არქიეპისკოპოსი თავის „კურთხევას", რომელშიაც ნათქვამია: „დეე უფალმა უხელმძღვანელოს მათ მსჯელობას, რათა გამოიყვანონ ბრძნული დასკვნები" (ადს).

### მუშურ-გლეხური ბლოკი პოლონეთში

**ვარშავა**, 12 იანვარი. მოწყობილია მუშურ-გლეხური მთლიანობის ბლოკის საარჩევნო კომიტეტი. კომიტეტის მისამართი და მიღების საათები გამოცხადებულია გაზეთებში. კომიტეტის დევნა პოლიციის მიერ დაიწყო ამ კომიტეტის დაარსების დღიდანვე. გუშინ პოლიციამ დააპატიმრა ორი მუშა, რომელნიც კომიტეტის საარჩევნო მოწოდებას აკრავდენ. (ადს).

### პოლონეთის ნოტა ლიტვისადმი

**ვარშავა**, 12 იანვარი. პოლონეთის მთავრობამ სპეციალური შიკრიკით კოვნოში გაგზავნა ნოტა, რომელშიაც იგი იძლევა წინადადებას, რომ პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება იანვრის ბოლოს დაიწყოს რიგაში. ნოტა აღნიშნავს მომავალი მოლაპარაკების საფუძვლებს; მოლაპარაკება უნდა შეეხებოდეს: მიმოსვლას პოლონეთ-ლიტვის საზღვარის რაიონში, ტრანზიტს, საფოსტო, სატელეგრაფო და სარკინიგზო მიმოსვლას (ადს).

### ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობის ბრუნვა

**ნიუ-იორკი**, 12 იანვარი. ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო კომიტეტის ცნობებით, სავაჭრო ბრუნვა ჩრდილო ამერიკის შეერთ. შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის 1927 წლის განმავლობაში შეადგენს 100 მილიონ დოლარს, ხოლო შარშან შეადგენდა 70 მილიონ დოლარს (ადს).

### გლეხთა რაზმები ხანკოუსთან

**შანხაი**, 12 იანვარი. ხანკოუდან მიღებული ცნობებით, იქ გრძელდება კომუნისტების მასიური დაპატიმრება. ფუჩჟოუდან მიღებული ცნობით, ქალაქის მახლობლად გამოჩნდენ გლეხთა შეიარაღებული რაზმები. ქალაქში პანიკაა. ინგლისური გაზეთის „ნორტ ჩაინა დეილი ნიუზი"-ს ცნობით, ჩჟეცზიანის მთელ პროვინციაში მღელვარებაა (ადს).

### სანდინოს წერილი

**ნიუ-იორკი**, 12 იანვარი. ცენტრალური ამერიკის მთელმა პრესამ გამოაქვეყნა ნიკარაგუას აჯანყებულთა ბელადის გენერალ სანდინოს წერილი გონდურასის პოეტ ტურჩიოსადმი. სანდინო თავის წერილში მიმართავს რა „ცენტრალური ამერიკის ყველა ინდო-ესპანური ხალხების ინტელიგენციასა და მუშებს", აცხადებს, რომ მას სურს „ცენტრალური ამერიკის ხალხების ეროვნული თვითშეგნების გამობრძმედა შემოჭრილ ყაჩაღებთან ბრძოლაში, რათა მაგალითი უჩვენოს ცენტრალური ამერიკის ახალგაზრდობას". წერილის დასასრულში სანდინო სწერს, რომ იგი არ შესწყვეტს ბრძოლას „ნიკარაგუაში შეჭრილ ამერიკელების წინააღმდეგ" (ადს).

# მუშათა მოძრაობა

## პროფმოძრაობა ინდოეთში

ინდოეთის მუშათა მასების დარაზმვა, პროფკავშირებში ფაქტიურად მხოლოდ 1918 წლიდან დაიწყო. ეს ის დრო იყო, როცა მთელ სახელმწიფოში, მრეწველობის თითქმის ყველა დარგებში იმართებოდა გაფიცვები და მუშები ქმნიდენ თავის პროფესიონალურ გაერთიანებებს. მაგრამ ამ დროის პროფესიონალური კავშირები ფაქტიურად წარმოადგენდენ მხოლოდ საგაფიცვო კომიტეტებს. საორგანიზაციო მუშაობა პროფკავშირებში ძლიერ მოიკოჭლებდა: წევრების რეგისტრაცია თითქმის არ სწარმოებდა, საწევრო გადასახადებს არ კრეფდენ. მიუხედავათ ამისა, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ზეგავლენით, მუშების დარაზმვა პროფკავშირებში ჩქარის ტემპით ვითარდებოდა და 1922 წელს დაარსებულ იქნა პროფკავშირების სრულიად ინდოეთის გაერთიანება—პროფკავშირების სრულიად ინდოეთის კონგრესის სახით. გაერთიანებაში შედიოდა 60 პროფკავშირი—140.000 წევრით. მაგრამ იმავე წელს საგაფიცვო მოძრაობის ტალღა სუსტდება და 1924 წლისათვის კონგრესში რჩება მხოლოდ 8 პროფკავშირი. 1925 წ. ინდოეთში იწყება კლასობრივი ბრძოლის ახალი ტალღა. კონგრესში ითვლება 60 პროფკავშირი 125.000 წევრით. სულ ინდოეთში ითვლება 164 პროფკავშირი 196.000 წევრით. პროფკავშირებში გაერთიანებულ მუშების რიცხვი შეადგენს უმნიშვნელო ნაწილს ინდოეთის სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო პროლეტარიატისას, რომლის რაოდენობა 49.147.000 უდრის.

ინდოეთის პროფკავშირები უმთავრესად აერთიანებენ მუშათა კლასის ყველაზე უფრო კვალიფიციურ და უმაღლესი ხელფასის მქონე ნაწილს. ინდოეთის პროფკავშირების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ მათში სრულიად არ ირიცხება ქალები. ასე მაგალითად, ბომბეის ფეიქართა ასოციაციაში მხოლოდ 20 ქალია 3.000 წევრიდან.

კონგრესი მთლიანად რეფორმისტების ხელში არის. თუმცა პროფმოძრაობა ინდოეთში არ ატარებს ამქრულ ხასიათს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მაგრამ მას ახასიათებს ბევრი ისეთი ამქრული თვისებები, რომლებიც ახასიათებდენ ინგლისის პროფმოძრაობას წარსულ საუკუნეში. რეფორმისტული ლიდერები ყოველმხრივ ცდილობენ ამ ჩამორჩენილ ფორმების დაცვას. პროფმოძრაობის „ლიდერები" კმაყოფილდებიან „მცირე საქმეებით". მოთხოვნილებებს ხელფასისა და შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ „ლიდერები" ადგენენ პეტიციების სახით, რომლებსაც მეწარმეები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.

ზოგიერთმა პროფკავშირებმა (მაგ. ტელეგრაფის მუშაკების ასოციაციამ ბომბეიში, ფოსტის მუშაკთა კავშირმა და ფეიქართა კავშირმა ახმედაბადში) თავის წევრებისათვის მოაწყვეს საერთო-განმანათლებელი კურსები. ფეიქართა კავშირი აწარმოებს ბრძოლას ალკოჰოლიზმთან და სხვ.

რეფორმისტულმა ხელმძღვანელობამ პროფკავშირთა ინდოეთის კონგრესი გადააქცია უძლურ ორგანიზაციად. პროფკავშირების ზედაფენები სრულიად მოწყვეტილი არიან მასებისაგან, განსაკუთრებით არაკვალიფიციურ მუშებისაგან. ცალკე პროფკავშირებში, მიუხედავათ „ლიდერების" წინააღმდეგობისა, ხშირად იმართება გაფიცვები, რომელთა დროს მუშები არაჩვეულებრივ სოლიდარობას იჩენენ.

შრომის ზოგიერთ დარგებში პროფკავშირები მიზნად ისახავენ თავისი გავლენის გავრცელებას მთელი ინდოეთის მასშტაბით და ამიტომ არ შედიან პროფკავშირთა კონგრესის შემადგენლობაში. ასეთია, მაგალითად, ფოსტის მუშაკთა ასოციაცია, რომელიც დაარსდა 1906 წ. და აერთიანებს 40.000 წევრს. მეორე ამგვარ ორგანიზაციას წარმოადგენს რკინისგზელთა ფედერაცია. რომლის მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ჩრდილოეთ-დასავლეთის რკინისგზების მუშა-მოსამსახურეთა კავშირი. ეს კავშირი ერთ დროს აერთიანებდა 85.000 კაცს იმ 125.000-დან. რომლებიც ჩრდ.-დას. რკინის გზაზე მსახურობდენ. ამ გზის განსაკუთრებული „სტრატეგიული" მნიშვნელობის გამო მთავრობამ კავშირის წინააღმდეგ მიიღო მთელი რიგი რეპრესიული ზომები. რამაც კავშირი ძლიერ დაასუსტა და ახლა მასში ირიცხება მხოლოდ 2.000 წევრი.

ასეთია ამჟამად ინდოეთის პროფმოძრაობის მდგომარეობა.

ი—რ.

# უცხოეთში

## პოლიტიკური სკანდალი ინგლისში

რამდენადაც უფრო ახლოვდება არჩევნების ვადა, იმდენად უფრო მწვავდება პოლიტიკური ბრძოლა ინგლისში. ამ არჩევნების წინა-ბრძოლის ერთ-ერთ საინტერესო მომენტს წარმოადგენს პოლიტიკური სკანდალი, რომლის ცენტრში იმყოფება ლოიდ-ჯორჯის „საიდუმლო მილიონები".

უკიდურესად მემარჯვენე „მორნინგ პოსტ"-მა, რომელსაც ყოველთვის ახასიათებდა სიძულვილი ლოიდ-ჯორჯისადმი მოათავსა 7 წერილი ლოიდ-ჯორჯის ფონდის შესახებ *) ახლა ეს წერილები ცალკე წიგნაკათ არის გამოცემული. ამ წერილების ავტორი ამტკიცებს, რომ ლოიდ-ჯორჯის ეგ. წ. „პერსონალური ფონდი", რომლიდანაც ლოიდ-ჯორჯმა სამი მილიონი სტერლინგი გადასცა ლიბერალურ პარტიის საარჩევნო კამპანიისათვის, შეკრებილია ლოიდ-ჯორჯის მიერ ტიტულებით და თანამდებობით ვაჭრობის საშუალებით, „მორნინგ პოსტ"-ი ამტკიცებს, რომ ლოიდ-ჯორჯს ყოველ შემთხვევაში არ ჰქონდა უფლება ეს თანხები გადაექცია „პერსონალურ ფონდათ". არამედ უნდა გადაეცა პარტიისათვის. კერძოთ „მორნინგ პოსტ"-ი ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ აყენებს იმ ბრალდებებს, რომ მას არ ჰქონდა უფლება ამ ფონდში ჩაერიცხა თანხები, რომელიც მან მიიღო გაზ. „დეილი ქრონიკლ"-ის და სხვა თავის ორგანოების გაყიდვით, რადგან ლოიდ-ჯორჯმა ეს გაზეთები შეიძინა თავის დროზე ამ „საიდუმლო წყაროდან" „ნასესხები" თანხებით.

როგორც კი „მორნინგ პოსტ"-მა დაასრულა თავის მამხილებელ წერილების ბეჭდვა, „დეილი მეილ"-ში გამოქვეყნდა წერილი „სისულელე და ტრაბახი", რომლის ავტორი ცდილობს გაამართლოს „საიდუმლო ფონდთან" დაკავშირებით ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება. რაც შეეხება ტიტულებით და თანამდებობებით ვაჭრობას ეს,—გაზეთის სიტყვით,—„ახალ არაფერს წარმოადგენს". ეს პრაქტიკა შემოღებულ იქნა ჯერ პიტტ—უმცროსის მიერ, გრძელდებოდა დიზრაელის, გლადსტონის, სოლსბერის და სხვ. დროს. შემდეგ გაზეთი ამტკიცებს, რომ მაგალითებისათვის არ არის საჭირო შორს წასვლა: კონსერვატორების ეხლანდელ მთავრობასაც საკმაოდ აქვს ხელები გასვრილი ტიტულებით და თანამდებობებით ვაჭრობაში. „დეილი მეილ" წინადადებას აძლევს ბოლდუინს მოახდინოს კონსერვატიული პარტიის საბუღალტერო წიგნების საჯარო განხილვა, რათა ინგლისის ყველა მოქალაქეებმა გაიგონ, საიდან აგროვებს ინგლისის კონსერვატიული პარტია თანხებს არჩევნებისათვის. გარდა ამისა, „დეილი მეილ" წინადადებას იძლევა შედარებული იქნეს ერთმანეთთან იმ პირების სია, რომლებმაც თავისი წოდება მიიღეს ბოლდუინის მთავრობისაგან და ლოიდ-ჯორჯის დროს. „მაშინ გამოირკვევა, ვის ეკუთვნის უპირატესობაო", დაცინვით დასძენს გაზეთი.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი" ფარდას ხსნის იმ გარემოებას, თუ რატომ ასე თავგამოდებით იცავს როტერმირი ლოიდ-ჯორჯს; ბარონი, როტერმირი ვიკონტი**) როტერმირათ გადაიქცა 1919 წ.; როცა სახელმწიფოს სათავეში იდგა ლოიდ-ჯორჯი, ამრიგად, ლოიდ-ჯორჯის „პერსონალურ ფონდში" ვიკონტათ მონათლულ ბარონ როტერმირის საჩეკო წიგნაკს უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს!

„მორნინგ პოსტ"-ი სრულიად არ უარყოფს „დეილი მეილის" ბრალდებებს. იგი აღიარებს, რომ ტიტულებით და თბილ-თბილი ადგილებით ვაჭრობა „ძველი ამბავია". „ჩვენ ამას არც უთვლიდით დანაშაულად ლოიდ-ჯორჯს,—სწერს გაზეთი,—ჩვენ ბრალს ვდებთ მას იმაში, რომ მან ეს ფულები მიითვისა იმის ნაცვლად, რომ გადაეცა პარტიისათვის".

ამის გამო „დეილი ჰერალდ" სწერს: „აი ჩვენს წინაშე პარტია, რომლის შემოსავალი, ისე როგორც ჩვენი ლიბერალების, იმდენად საეჭვო ხასიათისაა, რომ იგი უარჰყოფს მოსახლეობისათვის საჯარო ანგარიშის ჩაბარების მოთხოვნილებას. და ამავე დროს ეს პარტია პარლამენტის საშუალებით ატარებს კანონ-პროექტს, რომლის მიზანია ხელი შეუშალოს მუშებს თავისი გროშები შეიტანონ პროფკავშირების კასაში. ამაზე მეტი უსირცხვილობა შეიძლება?!"

მაგრამ რა დასკვნებს აკეთებს აქედან მუშათა პარტია?—იგი თვითონ დგება ამ მოლიპულ გზაზე. იგი თავის კანდიდატებს წამოყენებას პირდება ყველას, ვინც პარტიის საარჩევნო ფონდში შეიტანს განსაზღვრულ თანხას. აშკარაა, რომ ამ მიპატიჟებით ისარგებლებენ მხოლოდ კაპიტალისტები და მემამულეები. განა დიდი ხანი გაიარა მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ თვით მაკდონალდი სარგებლობს ვიღაც ბისკვიტების ფაბრიკანტის „მეგობრული" დახმარებით—ფულებით და ავტომობილით?

ა. გ—ი.

---

*) ლაპარაკია ლიბერალური პარტიის ფონდზე, რომელიც ლოიდ-ჯორჯის განკარგულებაში იმყოფება.

**) თავადობის უმაღლესი წოდება ინგლისში და საფრანგეთში.

# საბჭოთა კავშირში

## რუსეთი

### სესხი საგლეხო მეურნეობის განსამტკიცებლად

**მოსკოვი**, 12 იანვარი. საგლეხო მეურნეობის განსამტკიცებლად გამოშვებულ სესხის ობლიგაციების დაგზავნა ხდება იმ ვარაუდით, რომ სესხის ყოველი სერია გავრცელდეს განსაზღვრულ რაიონში. ამავე დროს შემოღებულ იქნება სარაიონო ტირაჟების სისტემა, რომელიც დღემდე არასოდეს არ ყოფილა გამოყენებული.

სესხის ტირაჟი მოხდება ყოველ რაიონში, სადაც გასაღებულია ერთი ან რამოდენიმე სერია. ყოველ სარაიონო სატირაჟო კომისიაში ჩაბმული იქნება ადგილობრივი გლეხობის წარმომადგენლები. სესხის კამპანიის ხელმძღვანელობისათვის მოწყობილ იქნება საგუბერნიო სამეულები. (ადს)

### ამინდი ყირიმში

**სევასტოპოლი**, 12 იანვარი. ყირიმის სამხრეთ სანაპიროებზე თბილი ამინდია. ტემპერატურა 25 გრადუსამდე ადის. ზღვაზე სრული სიწყნარეა. (ადს).

### პურის დამზადება

**დნეპროპეტროვსკი**, 12 იანვ. სამომხმარებლო კავშირის გამგეობამ სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა 26 თანამშრომელს დაურიგა ჯილდოები პურის დამზადების წარმატებით ჩატარებისათვის. ყველა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებში, რომლებიც აწარმოებენ პურის დამზადებას, მუშაობა სწარმოებს კვირაობითაც. (ადს).

### დიპლომატიური დარბაზობა

**მოსკოვი**, 12 იანვარი. იაპონიის ელჩთანაკასთან გაიმართა დარბაზობა ვიკონტ გოტოს საპატივცემლოთ. დარბაზობას გოტოს და მისი მისიის წევრების გარდა დაესწრნენ—ტანაკა, ამედა, პროფესორები იასული და მორი. ამხ. ჩიჩერინი, ლიტვინოვი; კარახანი; გერმანიის ელჩი გრაფი ბროკდორფ-რანცაუ, პოლონეთის ელჩი—პატეკი და დასავლეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. კამენევა. (ადს).

### კლიხეს, კოზლოვსკის და სოროკინის დაბრუნება

**ჩიტა**, 12 იანვარი. 11 იანვარს ღამის ექსპრესით ვლადივოსტოკიდან ჩამოვიდა ხანკოუს და შანხაის საბჭოთა საკონსულოს თანამშრომლების მთელი შემადგენლობა, თავისი ოჯახით ამხ. კლიხეს, კოზლოვსკის და სოროკინის მეთაურობით. (ადს).

### აეროსახნისები

**ბრიანსკი**, 12 იანვარი. ტროიცკის სახელობის ვაგონების მშენებელ ქარხნის დირექტორმა გამოიგონა ახალი სისტემის ძლიერი აეროსახნისი. აეროსახნისების სისწრაფე გზატკეცილებზე უდრის 80 კილომეტრს. აეროსახნისებს აშენებენ ტროიცკის ქარხანაში.

### ქარიშხალის დროს დაიღუპა 70 კაცი

**ალმატა**, 12 იანვარი. უზუნკარძალინის თემის ჯეპიშლის რაიონში ქარიშხალის დროს დაიღუპა 70 კაცი. (ადს).

# უმუშევართა დახმარების ნორმები

**მოსკოვი**, 12 იანვარი. სოციალურ დაზღვევის საკავშირო საბჭომ დაამტკიცა უმუშევართათვის თვიური დახმარების გაცემის ახალი ნორმა. პირველ ზოლში პირველ კატეგორიაზე დაწესებულია—27 მანეთი. მეორეზე—20 მანეთი; მესამეზე—[illegible] მანეთი 50 კაპ. მეორე ზოლში პირველ კატეგორიაზე—24 მანეთი, მეორეზე—18 მან.; მესამეზე—14 მან. 50 კაპ. მესამე ზოლში პირველი კატეგორია—20 მან.; მეორეზე—15 მან.; მესამეზე—11 მან. 50 კაპ. მეოთხე ზოლში პირველ კატეგორიაზე—17 მან. 50 კაპ.; მეორეზე—13 მან.; მესამეზე 10 მან. 50 კაპ. მეხუთე ზოლში პირველ კატეგორიაზე—15 მან; მეორეზე—11 მან.; მესამეზე—7 მან. 50 კაპ. მეექვსე ზოლში პირველ კატეგორიაზე 12 მან.; მეორეზე—9 მან.; მესამეზე—7 მან. დახმარების ახალი ნორმების გაცემა იწარმოებს პირველ იანვრიდან. (ადს).

# სპეკულიანტთა ორგანიზაციის აღმოჩენა

**პავლოგრადი**, 12 იანვარი. სახელმწიფო პოლიტსამმართვ. ორგანოების მიერ აღმოჩენილია სპეკულიანტების ორგანიზაცია, რომელსაც დეზორგანიზაცია შეჰქონდა პავლოგრადის ოლქის პურის ბაზარზე. ამ ორგანიზაციის რაიონებში გაგზავნილი ჰყავდა თავისი კონტრაგენტები გლეხობისაგან მაღალ ფასებში ხორბლის შესასყიდათ. ორგანიზაციამ მოისყიდა 17 სახელმწიფო წისქვილების მოსამსახურეები; ამ წისქვილებში ფქვავდენ ისინი ხორბალს და შემდეგ ინახავდენ საიდუმლო საწყობებში, საიდანაც საჩქაროდ გზავნიდენ კურსკში, ტულაში და ორიოლში. ანალოგიური სპეკულიანტთა ჯგუფი აღმოჩენილია სანელნიკოვის რაიონში. ყველა სპეკულიანტები მიცემულნი არიან პასუხისგებაში. (ადს).

### სპეკულიანტების დაპატიმრება

**ზაპოროჟიე**, 14 იანვარი. პურის დამზადების ჩაშლისათვის და დაწესებულ ფასების გადაჭარბებისათვის სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ დააპატიმრა პურით მოვაჭრე 11 სპეკულიანტი.

**მარიუპოლი**, 12 იანვარი. სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ დააპატიმრა კერძო მოვაჭრეთა ჯგუფი, რომლებიც გლეხობისაგან ხორბალს ყიდულობდენ გადიდებულ ფასებში. (ადს).

# საგლეხო სესხი

### სესხის გამავრცელებელი კომისია

**ულიანოვსკი**, 12 იანვარი. სამაზრო და სათემო აღმასკომებთან არსდება სპეციალური კომისიები, რომლებსაც დავალებული აქვთ „გლეხურ მეურნეობის განმტკიცების" სესხის გავრცელება. ულიანოვის მაზრაში სოფლები დაყოფილია რაიონებად და თვითეულ რაიონში იგზავნება საბჭოს წევრი. რომ ხელი შეუწყოს სესხის ობლიგაციების გავრცელებას. (ადს).

### სესხის კამპანია ფართოვდება

**ნოვოსიბირსკი**, 12 იანვარი. ციმბირში დაიწყო მოსამზადებელი კამპანია „გლეხური მეურნეობის განმტკიცებელ სესხის" გასავრცელებლად. ურალის ოლქების უმრავლესობიდან უკვე მიღებულია წინასწარი მოთხოვნილებები. ყველაზე უფრო დიდი მოთხოვნილება—650.000 მან წარმოადგინა ნოვოსიბირსკის ოლქმა. მოთხოვნილებათა საერთო ჯამი უდრის 2,5 მილიონ მანეთს. (ადს).

# გროზნო-ტუაფსეს ნავთსადენი

**მოსკოვი**, 10 იანვარი. შრომის და თავდაცვის საბჭომ მოისმინა ამხ. რუხიმოვიჩის მოხსენება გროზნო — ტუაფსეს ნავთსადენის და ტუაფსეში ნავთის პროდუქტების გადამამუშავებელ ქარხნის აგების შესახებ.

ამხ. რუხიმოვიჩმა თავისი მოხსენებაში აღნიშნა, რომ გროზნო — ტუაფსეს ნავთსადენის აგების საქმე ნორმალურად მიმდინარეობს. 1925—26 წ. აღმშენებლობაზე დაიხარჯა 5 მილ. მანეთზე ცოტა მეტი. 1926—27 წ.—8.150.000 მან; და 1927—28 წ. განზრახულია დაიხარჯოს 13.200.000 მან. ნავთსადენის აშენება დამთავრდება 1928—29 წ.,—პირვანდელ ვადაზე ცოტა უფრო გვიან, დაახლოებით 2 თვით. ნავთსადენის აგება სულ დაჯდება 27.600.000 მან., ძველი ანგარიშით კი უნდა დამჯდარიყო 25.700.000 მან. ეს განსხვავება, რომელიც უდრის 8—9 პროც., აიხსნება იმით, რომ ზოგიერთი სამუშაოები ჯდება უფრო ძვირი, ვიდრე ნავარაუდევი იყო წინადწინ ხარჯთაღრიცხვით.

რაც შეეხება ტუაფსეს ნავთის პროდუქტების გადამამუშავებელ ქარხნის აღმშენებლობას, მისი აგება ცოტათი დაიგვიანებს. ეს აიხსნება იმით, რომ ქარხნის აგებისას თავწყებამდე არ სწარმოებდა მოსამზადებელი მუშაობა. აგრეთვე დაიგვიანა ესკავატორების, ქვასატეხი მანქანების, ორთქლის ქვაბების და ბეტონის საკეთებელ მოწყობილობათა დადგმამ. გაძნელდა აგრეთვე კვალიფიციური მუშების საჭირო კადრის შოვნა. ყველა ამ გარემოებამ ხელი შეუშალეს მუშაობის ნორმალურ მიმდინარეობას, რის გამო, ქარხანა ვერ იქნება აშენებული 1928 წ. 1 ოქტომბრისათვის, როგორც ეს დაინიშნული იყო მთავრობის მიერ და დამთავრდება მხოლოდ 1928 წლის 1 დეკემბერში ან 1929 წლის იანვარში. (ადს).

# რუსეთ-სპარსეთის ბანკი

**მოსკოვი**, 11 იანვარი. საგარეო ვაჭრობის ბანკში შესდგა რუსეთ-სპარსეთის ბანკის პაიოსანთა საგანგებო სხდომა. კრებამ განიხილა ყველა ის საკითხები, რომლებიც ეხებოდა ბანკის მოღვაწეობის გაფართოებას სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დადებასთან და სპარსეთ-საბჭოთა ვაჭრობის განვითარებასთან დაკავშირებით. კრებამ დადებითად გადასწყვიტა საკითხი ბანკის ძირითადი კაპიტალის გადიდებისა და სპარსეთში ბანკის ფილიალების ქსელის შემდგომი გაფართოების შესახებ. საგარეო ვაჭრობის ბანკის გამგეობის თავმჯდომარე დანიშევსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ რუსეთ-სპარსეთის ბანკმა თავისი მოღვაწეობა მომავალშიაც უნდა დაუქვემდებაროს საბჭოთა კავშირს და სპარსეთ შორის საქონლის ბრუნვის განვითარების ინტერესებს და სპარსეთის სახალხო მეურნეობის ინტერესებს. ბანკმა აგრეთვე შეძლებისდაგვარად დახმარება უნდა გაუწიოს სპარსეთის კულტურულ დაწესებულებებს, ვინაიდან მათი მოღვაწეობა განუყრელად დაკავშირებულია სპარსეთის ეკონომიურ განვითარებასთან. (ადს).

# პარტიული ცხოვრება

## ანტირელიგიური პროპაგანდა

**ახალციხე**, 11 იანვარი. საქართველოს კომპარტიის (ბ) ახალციხის სამაზრო კომიტეტის პლენუმმა მოისმინა მოხსენება მაზრაში ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოების შესახებ. პლენუმმა აღნიშნა ანტირელიგიური პროპაგანდის სუსტი წარმოება და დასახა მთელი რიგი ზომები მის გასაძლიერებლად. დასახულ ზომების რიცხვში შედის: უღმერთოთა წრეების დაარსება, სახალხო განათლების და სამაზრო პოლიტ-საგანმანათლებლო განყოფილებების საშუალებით პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერება, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და კრებების ქსელის გადიდება და სხვა (ადს).

## რა სთქვა პარტუჯრედთა მდივანთა თათბირმა

(არსრაიონი)

გუშინ, საღამოს 6 საათზე, ავტოკლუბში კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულ პარტამხანაგების და კოოპერატიულ კომისიების წევრების მონაწილეობით შესდგა არსრაიონის კომუჯრედთა მდივნების თათბირი. რომელიც გახსნა ამხ. ბელელაძემ. დღის წესრიგში დასმული იყო კოოპერაციის რწმუნებულთა გადარჩევა და პარტხელმძღვანელობა ა. ლ. კ. კ. უჯრედებზე.

პირველ საკითხზე საინსტრუქციო მოხსენება გააკეთა ამხ. ერისთავმა. მან გააცნო კრებას, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული რათა ორგანიზაციულად ჩავატაროთ კოოპერაციის რწმუნებულთა გადარჩევა, რაც გასულ წელს სუსტად იქნა ჩატარებული. ძალზე მცირე იყო კრებებზე დამსწრეთა რაოდენობა, განსაკუთრებით პარტიულების რიცხვი, რომელთა რაოდენობა არ აღემატებოდა 25 პროც.-ს. ჩვენი მიზანია წელს მაქსიმალურად ავსწიოთ დამსწრეთა რაოდენობა. ამასთან ერთად კოოპერაციის რწმუნებულთა შორის განსაკუთრებით დიდია კომუნისტების რიცხვი. კოოპერაცია ისეთი ორგანიზაციაა, რომ აქ ჩვენ შეგვიძლია უპარტიო მასების ფართოდ ჩაბმა. უნდა გაძლიერდეს აგრეთვე ქალების რაოდენობა, რომელთა პროცენტი უნდა აყვანილ იქნეს 20-მდე.

შემდეგ მომხსენებელი აცნობს კრებას გადარჩევის წესებს და გეგმას. ყოველ 100 წევრზე არჩეულ იქნება ერთი რწმუნებული. საარჩევნო კამპანია იწარმოებს 1-დან 15 თებერვლამდე. პირველად ჩატარდება მოსამზადებელი კამპანია, წარმოებებში და დაწესებულებებში მოხდება რწმუნებულთა კრებები, რომელზედაც დაისმება მუშკოოპის სამმართველოს და სარევიზიო კომისიების მოხსენებები. არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი იქნება რაიონის საარჩევნო კომისია.

ამის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ამხ. ბელელაძე, რომელიც შეეხო უმთავრესად პარტხელმძღვანელობის საკითხებს კოოპერაციის არჩევნებზე და გააცნო კრებას არჩევნების ჩატარების კალენდარული გეგმა.

ამის შემდეგ კრებამ მოისმინა ამხ. მაჭიაშვილის მოხსენება, კომკავშირზე ხელმძღვანელობის შესახებ. კომისიამ, რომელიც გაეცნო კომკავშირზე ხელმძღვანელობის საქმეს, ამბობს ამხ. მაჭიაშვილი, დაათვალიერა ადგილებზე საბჭოთა, მოწაფეთა და საწარმოო ტიპის რამოდენიმე უჯრედი. როგორც გამოკვლევიდან სჩანს, კომკავშირზე პარტხელმძღვანელობა რამოდენიმედ გაუმჯობესდა: გაუმჯობესდა მიმაგრებულ პარტამხანაგების თვისობრივი და პოლიტიკური მომზადების დონე. აგრეთვე კომკავშირის და პარტიის უჯრედების გაერთიანებული კრების მოწვევა ნორმალურად სწარმოებს, მაგრამ კომკავშირზე პარტხელმძღვანელობას ჯერ კიდევ მთელი რიგი სუსტი მხარეები ახასიათებს. აქ უმთავრესად აღსანიშნავია პარტყრილობების დირექტივების არა საკმაოთ ცოდნა უჯრედებში. მოისუსტებს აგრეთვე ურთიერთ წარმომადგენლობა. იმართება კომკავშირისა და კომპარტიის ბიუროების გაერთიანებული სხდომები. საგრძნობლად მოისუსტებს კომკავშირის მასიური მუშაობა და განსაკუთრებით კი მოწაფეთა უჯრედებზე ხელმძღვანელობა.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო: ამხ. ბელელაძემ, კარაბინოვმა, ცახურიამ და როსიკამ.

დაბოლოს, მიმდინარე საკითხებზე კრებამ მოისმინა ამხ. ბელელაძის ცნობა ტექნიკურ საკითხებისადმი მეტი ყურადღების მიქცევის შესახებ.

ირან.

## ვისი გამოგონილია ღარიბთა „ზარმაცობა"

ღარიბ გლეხკაცობის შორის მუშაობის დროს ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ, რომ, საჭიროა ეს მუშაობა ხელს არ უშლიდეს, არამედ ამაგრებდეს ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხკაცობის კავშირს. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა. საყურადღებო მასალას იძლევა დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემათ თბილისის მაზრის პარტუჯრედების პრაქტიკა ღარიბ გლეხკაცობის შორის მუშაობის დარგში. შემჩნეულია, რომ კულაკობის იზოლაციის მიზნით ღარიბი და საშუალო გლეხკაცობა ერთად გამოდის სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტის დროს. ალბულაღში, მაგალითად, ადგილი ქონდა შემთხვევას, როცა ღარიბ და საშუალო გლეხკაცობის ინიციატივით მოეწყო ფასიანი წარმოდგენა, რომლის შემოსავალიც მოხმარდა უღარიბეს გლეხკაცობის კოოპერაციაში ჩაწერას (საპაიო ანარიცხი).

საერთოდ უთანხმოებას ღარიბ და საშუალო გლეხკაცობის შორის ადგილი არა აქვს, მაგრამ არის ერთეული მაგალითები, როცა კულაკობის გავლენით, თუ საკუთარი შეუგნებლობით საშუალო შეძლების გლეხები გამოდიან ღარიბების წინააღმდეგ. მაგალითად, მანგლისის თემში საშუალო გლეხკაცებმა მოითხოვეს რამდენიმე კაცის გამორიცხვა ღარიბთა სიიდან. როგორც არაქნია გლეხების, ზარმაცების და ლოთების. ნორიის თემში ერთ საშუალო გლეხმა განაცხადა, რომ არ არის მიზანშეწონილი ღარიბთა არჩევა ხელმძღვანელ ორგანოებში, რადგან ღარიბები ავტორიტეტებით არ სარგებლობენ.

ამგვარ გამოსვლებს ალბათ სხვაგანაც ექნება ადგილი. პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის მზად უნდა იყვნენ, ასეთი გამოსვლებით შექმნილ გაუგებრობის გასაფანტავად. ბრალდება ზარმაცობისა, არაქნიობისა და უავტორიტეტობის შესახებ ღარიბ გლეხების მიმართ ახალი არაა. ამას ბევრჯერ გაიგონებთ თქვა. ასეთი ბრალდების წყარო არის კულაკობა, რომელსაც თავისი [illegible] და ამ [illegible] მოპოვებული სიმდიდრე უნდა გაამართლოს სხვისი სიზარმაცით და არაქნიობით. ღარიბი გლეხი, რაც უნდა „ზარმაცი" არ იყოს ის, ყოველთვის, რომელიმე ვაჭრუკანაზე ან მევახშეზე გაცილებით მეტს მუშაობს.

ამიტომ, როცა საშუალო გლეხი გამოდის ამგვარი ბრალდებით ღარიბ გლეხკაცობის წინააღმდეგ, მას ხელი არ უნდა ვკრათ, არ უნდა დავუცაცხანოთ, არამედ უნდა აუხსნათ, თუ ვისი გამოგონილია ბრალდება ღარიბი გლეხის ზარმაცობის და უავტორიტეტობის შესახებ და ვის ანგარიშზე ეგება ის, როცა იმეორებს ამ ბრალდებას. ღარიბ გლეხკაცობის შორის მუშაობის დროს, ეს მომენტი ყოველთვის უნდა ახსოვდეს ჩვენს ადგილობრივ ორგანიზაციებს.

ბ. მ—ი.

## პარტგანათლება ჩვენში

(დარჩელი, ზუგდიდის მაზრა)

დარჩელის თემში არსებობს კომპ. საკანდიდატო ჯგუფი, რომელშიაც ირიცხება 17 ამხანაგი. წარსულში ამ ამხანაგების პოლიტგანათლების დონე ძალზე დაბალი იყო, მაგრამ ეხლა ეს მდგომარეობა სწორდება.

1927 წ. 20 ოქტომბერს გახსნილი იქნა მოძრავი პოლიტ-სკოლა, რომელშიაც ირიცხება 29 მსმენელი. მათ შორის არის, როგორც კომპ. და კომკავშირის წევრები, ისე უპარტიო ამხანაგები.

მსმენელების მხრივ მუყაითობა თვალსაჩინოა, დასწრება უდრის 98 პროც. მსმენელების მთელი შემადგენლობა წერა-კითხვის მცირე მცოდნე გლეხებია.

სკოლის ინიციატივით დარჩელში ადგილობრივ 7 წლედთან უღმერთოთა უჯრედი „მავნე ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციის"-ს სახელწოდებით. ამ უჯრედში მუშაობა კარგად მიმდინარეობს.

სკოლას მიღწევებთან ერთად ნაკლიც აქვს, რაც გამოიხატება შემდეგში: არა აქვს თავისუფლად სამეცადინეო დარბაზი, ყოველ დღე ბინის ძებნაშია, ზამთრის სუსხიან დღეებში უშეშობა საქმეს აფერხებს და რაც მთავარია, არ არის მსმენელებისათვის სახელმძღვანელო-სასწავლო ნივთები. ასეთი დამაბრკოლებელ მიზეზების მიუხედავად სკოლა მაინც აღწევს თავის მიზანს.

მ. გიგეჭკორი.

# კომკავშირში

## მესამე რაიონის მე-15 კონფერენცია

### მეოთხე სხდომა

გუშინ, საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი რაიკომის, ნორჩ-პიონერთა ბიუროს, და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა გარშემო.

კამათში გამოვიდნენ: ამხ. აკპერი, ბოგდასაროვი, სამოხვალოვი, ოვანესიანი, ჩანკვეტაძე, ტაბიძე, ბადრიაშვილი, ბეჟანოვი, გახეევი, მარკარაშვილი და სხვები.

კამათში გამოსული ორატორები ეხებოდენ ავადმყოფურ მოვლენებთან ბრძოლის საკითხებს და აღნიშნავდენ, რომ საჭიროა გავაძლიეროთ აღმზრდელობითი მუშაობა, რათა ბოლო მოუღოთ ხულიგნობას და სხვა მავნე გადახრებს.

ამასთანავე აღნიშნავდენ, რომ მუშათა კლუბებში ახალგაზრდათა შორის მუშაობა მოისუსტებს, რადგანაც კლუბის გამგეობა მას „სხვათაშორის" მუშაობათ სთვლის. პარტხელმძღვანელობის გაუმჯობესებაზე მოკამათენი ამბობდენ, რომ საჭიროა გაიზარდოს პარტიულების რიცხვი უჯრედებში.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ხაჩიკიანი, რომელმაც მოკლედ პასუხი გასცა შეკითხვებზე კამათში გამოსულ ორატორებს.

დასასრულ კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

დღეს საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნება მოხსენება მე-15 პარტყრილობის შედეგებზე.

ვ. დ.

## ქალაქის რაიონის კონფერენცია

### მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება რაიკომის მუშაობის შესახებ, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კომკავშირის მუშაობამ ყოველმხრივ საგრძნობლად წაიწია წინ. ამის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა მოხსენება ნორჩ-პიონერთა რაიბიუროს მუშაობის შესახებ. შემდეგ მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება. კამათის გახსნამდე სიტყვას ღებულობს საკონკურსო კომისიის წარმომადგენელი.

ამის შემდეგ იხსნება კამათი რაიკომის მუშაობის გარშემო. კამათში მონაწილეობენ: ამხ. მელქუმიანი, ბახტაძე, ჯიბლაძე, ეისმანი-ოხპოვი და წულაძე. ორატორები აღნიშნავენ, რომ გასამხედროების შესახებ ბევრი ლაპარაკია, მაგრამ ამ დარგში ჯერაც ვერ არის დაყენებული მუშაობა გეგმიანად. საჭიროა არმიასთან ცოცხალი კავშირის დაჭერა.

პარტიაში გადარიცხვა ვერ არის ჯეროვნად დაყენებული, მთელი წლის განმავლობაში ჭიანურდება გადარიცხვის საქმე.

სუსტია პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირის ორგანიზაციებში. საჭიროა გაღრმავებულ იქნას მუშაობა ნორჩ-პიონერთა შორის და შერჩეულ იქნას შესაფერი ხელმძღვანელები კომკავშირიდან. სუსტია აგრეთვე რაიკომის ხელმძღვანელობა უჯრედებზე.

ამის შემდეგ სიტყვა აიღო ამხ. მორჩილაძემ, რომელმაც სხვათა შორის განაცხადა, რომ პარტია ყოველ ღირსეულ კომკავშირელს სიამოვნებით მიიღებს თავის რიგებში. ამხ. მორჩილაძის სიტყვის შემდეგ სხდომა დაიხურა.

დღეს გაგრძელდება კამათი რაიკომის მუშაობის გარშემო.

ს. თ.

## დუშეთის სამაზრკომის პლენუმი

10 იანვარს შესდგა დუშეთის სამაზრკომის პლენუმი. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი. 1) საგურამოს სახალხო მამულის სასოფლო-სამეურნეო სკოლაზე გადაცემის შესახებ მოხსენება და 2) საორგანიზაციო საკითხები. პირველ საკითხზე ამხ. ახათიანის მოკლე ინფორმაციის შემდეგ პლენუმმა დაადგინა [illegible] ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას, რათა სათანადო ორგანოებზე შეთანხმების საშუალებით დააკმაყოფილოს აღნიშნულ სკოლის მოთხოვნილებები. ეს სასწავლებელი წარმოადგენს სამაგალითო ნიმუშს მთელს მაზრაში და მის მუშაობის წარმატებით წაყვანა კომკავშირის მოვალეობას შეადგენს.

ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება ის ფაქტი, რომ კომკავშირი მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის ინტერესების საუკეთესო დამცველია. შემდეგ პლენუმმა აირჩია სამაზრკომის პრეზიდიუმის შემადგენლობაში: ამხ. ხაჭავლიშვილი, გუნიავა, კაპანაძე, კარნაძე, ბეთანაშვილი (მოადგილე), კანდიდატებად: ამხ. ჟუჟიაშვილი და ბერბერაშვილი. სამაზრკომის პასუხისმგებელ მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. ხაჭავლიშვილი.

ხ. თ—ძე.

# ქონების ამორტიზაცია ადგილობრივ აღმასკომების მეურნეობაში *)

მეურნეობის სოციალისტურ წესით წარმართვის უმთავრეს დამახასიათებელ თვისებათ ითვლება გეგმიანობა, ესე იგი მეურნეობის გაძღოლა და მისი განვითარება წინდაწინ განსაზღვრული და ერთი წლიდან ხუთწლამდე (ჯერ-ჯერობით) გამიანგარიშებული გეგმის მიხედვით. ძირითადი აზრი ამისთანა დაგეგმვისა თავისთავად ცხადია: ამ გზით და მხოლოდ ამ გზით შესაძლებელია მთელი სოციალისტური მეურნეობის ნაწილების ურთიერთშორის დაკავშირება და მათი განვითარება, თანახმად სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნისა. სამწუხაროდ, ეს აშკარა ჭეშმარიტება ჰპოულობს თავის ნაწილობრივ განხორციელებას ჯერ-ჯერობით მხოლოდ იმ მეურნეობაში, რომელიც იმყოფება საკავშირო, ან რესპუბლიკანურ ორგანოების უშუალო განკარგულებაში, რაც შეეხება ადგილობრივი (მაზრის, ქალაქის და თემის) ორგანოების მეურნეობას, აქ გეგმიანობა სრულიად ახალი მოვლენაა, რომელიც მხოლოდ აქა-იქ (თბილისის აღმასკომი) ძალიან მკრთალად გამოსჭვივა და რომლის მიმართ ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკები იჩენენ ერთგვარ დაუდევრობას. პირადი შეხედულება, „საკუთარი სამრეკლო"-ს თვალსაზრისი, შემთხვევითობა,—აი ჩვეულებრივი დამახასიათებელი თვისება ადგილობრივი საქმიანობისა. ამისთანა საქმიანობის შედეგს ძალიან კარგად იცნობს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი, რომელიც საკმაო ხანია ცდილობს შეჰქმნას უდეფიციტო ადგილობრივი ბიუჯეტი, მაგრამ ჯერ-ჯერობით უშედეგოთ. ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების მოქმედების მერვე წელიწადზე დროული იქნებოდა ამ არანორმალობის დაძლევაც. ადგილობრივი ორგანოების საბიუჯეტო სიძნელენი შედეგია არა მარტო ჩვენი მეურნეობის განუვითარებლობისა, არამედ შედეგიც ცუდი საქმიანობისა; ეს ცუდი საქმიანობა კი თავის თავად განისაზღვრება არა მარტო უგეგმობით, არამედ თავისი საკუთარი სახსრების გამოურკვევლობით და მათი მოხმარების არ ცოდნით. თითქო ელემენტარულია, რომ კარგმა მეურნემ პირველყოვლისა კარგად უნდა იცოდეს თავისი ქონება და გონივრულად იყენებდეს მას; სამწუხაროდ, სინამდვილეში ჯერ კიდევ ეს ასე არ არის. არცერთ ჩვენს ადგილობრივ მეურნეობაზე მომუშავე ორგანოებს, თითქმის გამოუკლებლივ, დღემდის არ აქვს თავისი ქონების ზუსტი აღრიცხვა, ესე იგი არსად თითქმის ჯერ-ჯერობით არ გატარებულა მთელ ქონების ინვენტარიზაცია, სათანადო ამორტიზაციის პირობის დაცვით. ეს კი ნიშნავს, თუ ამას კიდევ უგეგმობას დაუმატებთ, წყვდიადში საქმიანობას, შემთხვევიდან-შემთხვევამდე, რამაც არ შეიძლება არ იქონიოს უარყოფითი გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე. ამ გარემოებას ჯერ კიდევ 1925 წელში მიაქციეს ყურადღება რესპუბლიკანურმა ორგანოებმა, და გამოიცა სათანადო წესები ამ საკითხის მოსაგვარებლად. საქართველოს სახკომსაბჭომ დამატებით გამოსცა დადგენილება (28 ნოემბ.—27 წლ. გაზ. „კომუნისტი"), რომლითაც ადგილობრივ ორგანოებს ეძლეოდა კატეგორიული წინადადება გაეტარებიათ ქონების ინვენტარიზაცია დადგენილებით განსაზღვრულ დროში. ამ დადგენილებით ცხადყოფილია მთელი ქონების აღრიცხვის და მისი ამორტიზაციის აუცილებლობა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი დღესაც არ არის დაბოლოვებული სწორად და ერთგვარად. ეს სჩანს იქიდან, რომ ბიუჯეტების დამუშავების დროს ეხლაც არ ითვალისწინებენ სამორტიზაციო ანარიცხების გატარებას და კაპიტალურ ხარჯებს არ ეწევიან ამ ანარიცხების ანგარიშზე, ამიტომ ადგილობრივმა აღმასკომებმა დაუყოვნებლივ უნდა გადასდგან გადამჭრელი ნაბიჯები ინვენტარიზაციის და ამორტიზაციის საკითხების საბოლოოდ მოგვარებისათვის და შეჰქმნან ამის შესახებ ურყევი დებულება, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ აღმასკომის ყველა ქვემდებარე ორგანოებმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულება, სხვადასხვა გაგება ამ საერთო მოთხოვნისა და სხვადასხვა მეთოდი მის განხორციელებლად. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი შეხედულებისაა ამ საგანზე ამა თუ იმ წარმოების მეთაური.

მაზრის, ქალაქის ან თემის აღმასკომი წარმოადგენს ერთ მთლიან სამეურნეო ორგანოს, ერთიან იურიდიულ პიროვნებას, რომელსაც აქვს საკმაოდ დიდი და მრავალგვარი, ორგანიულად შეკავშირებული ქონება. მაშასადამე, ამ ორგანიულად დაკავშირებულ მეურნეობას უნდა ჰქონდეს ერთი სახელმძღვანელო პრინციპი, ერთი მეთოდი თავის ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზაციის წესების და ნორმების განსაზღვრის დროს. ამ წერილის ამოცანას შეადგენს—პირველი, მიაქციოს მომქმედი ორგანოების ყურადღება ჩვენი მუშაობის ამ თვალსაჩინო ნაკლზე და, მეორე, შედარებით ამომწურავად გააშუქოს საკითხები, თუ რომელ ქონებას ეხება ამორტიზაცია, როგორ ტარდება თვით ამორტიზაცია, რაზე უნდა იხარჯებოდეს საამორტიზაციო ფონდი და, საზოგადოთ, როგორ დავიცვათ მომავალი განადგურებისაგან საბჭოთა ქონება, როდესაც ჩვენ კიდევ ასე ღარიბი ვართ.

აღნიშნული საკითხები არა ერთხელ გადმოუტანიათ პრესაში გასაშუქებლად ბიუჯეტზე მომუშავეთ, მაგრამ მათი სავსებით გადაჭრა ჯერაც არ მოხერხდა. განსაკუთრებული სიმწვავით წამოიჭრება ხოლმე ეს საკითხი სხვადასხვა ხარჯთაღრიცხვების შედგენის და საერთოდ ამა თუ იმ ადგილობრივი ორგანოს (აღმასკომის) ბიუჯეტის განხილვის დროს. თუ აღნიშნული საკითხი იქნა ერთგვარად და საბოლოოდ მოგვარებული, მაშინ, ცხადია, არავითარ გაუგებრობას ადგილი აღარ ექნება არც სამეურნეო გეგმების შედგენის დროს და არც ადგილობრივ ორგანოს განკარგულებაში მყოფ თანხების გამოყენების დროს. დაბოლოს, ამ გზით შესრულებული იქნება ის ამოცანაც, რომელიც სახელმწიფომ ადგილობრივ მუშაკებს დააკისრა: სახელდობრ, არა მარტო მეურნეობის გამოყენება, არამედ მისი დაცვაც. ამ საკითხისადმი სხვანაირი მიდგომა უდრის ხელმძღვანელი ორგანოების (შრომის და თავდაცვის საბჭო, სახკომსაბჭო და სხვა) სათანადო დადგენილების არ შესრულებას. მე მგონია, რომ საკითხი ქონების ინვენტარიზაციის შესახებ სრულიად ამოწურულია საქართველოს სახკომსაბჭოს 15 თებერვლის 1927 წ. (ოქმი № 7) დადგენილებით; საჭიროა მხოლოდ ყოველმიზეზს გარეშე მისი ცხოვრებაში გატარება.

რაც შეეხება ამორტიზაციის საკითხს, აქ კი ჩვენ საქმე გვაქვს რამდენიმე სადაო მომენტებთან. საჭიროა აქაც საბოლოო შეთანხმება ხელმძღვანელ ორგანოებში და სათანადო ურყევი მითითება ადგილობრივი ორგანოებისათვის, რომ იგი ყველგან ერთნაირი წესით იქნეს გადაჭრილი. აუცილებელია საბოლოოდ დაწესდეს: 1) ამორტიზაციის ობიექტი, 2) ამორტიზაციის წესი, 3) მისი ნორმები და 4) საამორტიზაციო ფონდის დანიშნულება, ესე იგი სად უნდა გროვდებოდეს ეს ფონდი და რაზე უნდა იხარჯებოდეს იგი.

უკვე არსებული წესები და ინსტრუქცია ამორტიზაციის შესახებ გვაძლევენ სრულიად გარკვეულ პასუხს პირველ კითხვაზე. საკავშირო შრომის და თავდაცვის საბჭო და სახელმწიფო საგეგმო კომისია ჩვენ გვეუბნებიან, რომ ამორტიზაცია უნდა ხდებოდეს ყველა იმ ქონებისა, რომელიც აღნიშნულია ინვენტარში და თავისი ხასიათით ეკუთვნის ძირითად კაპიტალს, როგორც ერთბაშად დაუხარჯველი საგანი წარმოების, ან ექსპლოატაციის ერთ აქტში, ეს ნიშნავს იმას, რომ ამორტიზაციის წესებს ექვემდებარება ყოველი ქონება, რომელიც აღრიცხულია ამა თუ იმ ორგანოს ინვენტარში, გარდა მცირეფასიანი საგნებისა, რომელთა გამოყენება ერთ წელიწადზე ნაკლებით განისაზღვრება, უვარგისი ან პირობით უვარგისი ქონების, ან ქონებისა, რომლის გამოყენების ვადა უსაზღვროა (მიწა, წყლები და ტბები).

ზემოაღნიშნულის მიხედვით შეგვიძლია მტკიცეთ ვთქვათ, რომ ამორტიზაციის ობიექტი ადგილობრივ მეურნეობის ქონებაში არის: 1) საზოგადოებრივი სარგებლობის კომუნალური წარმოება, 2) ადგილობრივი მნიშვნელობის წარმოება, რომელიც იმყოფება ადგილობრივ მრეწველობის ორგანოების გამგებლობაში, 3) საბჭოთა ყველა სახლები და დარაბები, 4) სკოლის, საავადმყოფოს, თეატრის; ბიბლიოთეკის და სხვა სოც-კულტურული დაწესებულებათა შენობები მთელი მათი ინვენტარით, რომლის გამოყენება ერთ წელიწადზე მეტი შეიძლება.

5) ქვაფენილი, ტროტუარები, ხიდები, ბაღები, ბაზრები თავიანთ შემორაგვულობით და 6) დანარჩენი უძრავი და მოძრავი ქონება, რომელიც შედის ამა თუ იმ სამეურნეო ერთეულის ძირითად კაპიტალის შემადგენლობაში.

ადგილობრივ ორგანოთა ქონების ყველა აქ მოყვანილი საამორტიზაციო ობიექტები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფათ. პირველი ჯგუფი ეს არის საზოგადოებრივი სარგებლობის კომუნალური წარმოებანი და ადგილობრივი მრეწველობის წარმოებანი. ამ ჯგუფის მიმართ შეუძლებელია დავა საამორტიზაციო ანარიცხების წარმოების აუცილებლობის და შესაძლებლობის შესახებ. ამ შემთხვევაში საამორტიზაციო პროცენტი შედის პროდუქციის თვით-ღირებულებაში, როგორც მისი აუცილებელი ელემენტი. მეორე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ — საბჭოთა შენობები, რომლითაც სარგებლობენ განათლების, ჯანმრთელობის და აღმასკომის სხვა განყოფილებანი თავისი დაწესებულებების საჭიროებისათვის, შემდეგ — საბჭოთა საცხოვრებელი სახლები და, ბოლოს, სავაჭრო-სამრეწველო ხასიათის შენობები (დარაბები, ბაზრები, ქარვასლები, საწყობები და სხვა). გეგმიანობის თვალსაზრისით ამ შემთხვევაში ეჭვი არ არის, რომ ამორტიზაცია საჭიროა, მაგრამ პრაქტიკულათ თითქო შეუძლებელი ხდება მისი განხორციელება მათ დღევანდელ ექსპლოატაციის პირობებში. ზედმეტია ლაპარაკი, თითქო, საამორტიზაციო ობიექტების მესამე ჯგუფზე (ხიდები, ქვაფენილი, ტროტუარები, ბაღები და სხვა) რომელთა ამორტიზაცია თეორეტიულადაც და პრაქტიკულადაც შეუძლებლად გვეჩვენება. პირველ ყოვლისა უნდა საერთოდ აღინიშნოს რომ მთელი ჩვენი ნივთიერი ქონების ამორტიზაციის აუცილებლობა თეორიულად ითვლება სწორად და ამის შესახებ არავინ დავობს. საკითხის მთელი სიმძიმე მდგომარეობს იმაში, რომ ბევრს მიაჩნია საეჭვოთ ამორტიზაციის მთლიანად ჩატარების რეალური შესაძლებლობა და პრაქტიკულად მისი განხორციელება.

ყველა სამეურნეო ორგანოებმა, კერძოდ ადგილობრივმა აღმასკომებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, თუ რა ქონება გააჩნიათ მათ და საქმიანობის პროცესში ამ ქონებას „სჭამენ", თუ ინახავენ, ამაგრებენ და ამრავლებენ. მთელი საბჭოთა საქმიანობა უნდა ეყრდნობოდეს გეგმას; მეურნეობის გეგმიანი წარმოება კი შეუძლებელია, თუ ყოველ კონკრეტიულ შემთხვევაში სისწორით არ ვიცით, თუ, რა ქონება აბადია ამა თუ იმ მომქმედ ორგანოს, აქედან ცხადია, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სადავოთ გავხადოთ ქონების ინვენტარიზაციის საკითხი. ინვენტარიზაცია უნდა მოხდეს, როგორც რიცხვობრივი, ისე თვისობრივი, ესე იგი ჩვენ უნდა ვიცოდეთ არა მარტო ქონების რაოდენობა. არამედ მისი ღირსება და ღირებულება. თუ ეს საჭიროა ვიცოდეთ დღეს, აშკარაა, რომ იგი უნდა ვიცოდეთ შემდეგაც, ყოველ კონკრეტიულ შემთხვევაში, განსაკუთრებით ყოველ საოპერაციო წლის დასაწყისას. აქედან უდავოა, რომ თუ არ შევაფასეთ ქონება და არ ვაწარმოვეთ საამორტიზაციო ანარიცხები, ვერ შევძლებთ გავიგოთ, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, სახელდობრ რა ქონების პატრონი ვართ ჩვენ. მაშასადამე, აგრეთვე უდავოა, რომ მეურნეობის გეგმიანი წარმართვისათვის აუცილებელია საამორტიზაციო ანარიცხების წარმოება. სხვა საკითხია — დავხარჯავთ თუ არა ყოველწლიურად საამორტიზაციო თანხების მთელ 100 პროც.-ს. ვიცით, რომ ჯერ-ჯერობით ყველა აღმასკომი ვერ ახერხებს საამორტიზაციო თანხების გამოყენებას მათი პირდაპირი დანიშნულებისამებრ, რადგან მათ საკმაო საბიუჯეტო შემოსავალი არ აქვთ თავისი გადაუდებელ სოც-კულტურული მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მართალია, ამისთანა არანორმალურ მდგომარეობას აქვს ადგილი დღეს მაგრამ ხვალ, შემდეგში სურათი შეიცვლება. ჩვენ მივდივართ ამ მიზნისკენ თუმცა ნელი ნაბიჯით, მაგრამ შეურყევლათ და ბეჯითად და შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენ გვექნება სრული შესაძლებლობა გამოვიყენოთ საბიუჯეტო სახსრები სწორად და მიზანშეწონილად.

რა თქმა უნდა, ეს გარემოება სრულიად არ ნიშნავს, იმას რომ აღნიშნული მდგომარეობის დამყარებამდე ჩვენ გვერდი აუხვიოთ იმ გზას რომელიც საშუალებას გვაძლევს სისწორით ავრიცხოთ ჩვენი ქონება. კერძოთ, თუ ავიღებთ თბილისის აღმასკომის ბიუჯეტს და არსებითათ განვიხილავთ იმ ასიგნობებს, რომლებიც ყოველწლიურად ხმარდება კაპიტალურ ხარჯებს, როგორიც არის წარმოების კაპიტალური შეკეთება, ქუჩების მოკირწყვლა, ხიდების შეკეთება, ბაღების აღდგენა სახლების და დარაბების შეკეთება და სხვა, აღმოჩნდება, რომ ამორტიზაციას ვაწარმოებთ და ბიუჯეტში კი საამორტიზაციო ანარიცხებს არ ვატარებთ, ცხადია, რომ აღნიშნული ხარჯები უნდა მიდიოდეს საამორტიზაციო ანარიცხების ანგარიშზე; თუ კი ჩვენ კაპიტალურ ხარჯებს ვეწევით იმ წყაროებიდან, რომელთაც საამორტიზაციო ანარიცხები ჰქვია და თვით ანარიცხებს კი არ ვაწარმოებთ,—ჩვენ აშკარა შეცდომას ვუშვებთ სწორი ანგარიშიანობის თვალსაზრისით, ჩვენ აუცილებლათ უნდა ვიცოდეთ, თუ რამდენი თანხაა საჭირო ყოველწლიურად ქონების აღსადგენათ, რომ ეს ქონება დაცულ იქნეს განადგურებისაგან და რამდენი იხარჯება ამ საქმეზე ფაქტიურად. ყოველწლიურათ არსებითათ ჩვენ ვანაწილებთ საამორტიზაციო ანარიცხებს, მაგრამ რა საზომით — არ ვიცით, რადგან თვით ანარიცხებს არ ვაწარმოებთ. არ არის არც ერთი სამეურნეო ორგანო, რომელიც არ ხარჯავდეს საბიუჯეტო სახსრებიდან ყოველწლიურად ამა თუ იმ თანხას ქონების აღდგენაზე, მაგრამ რომელი საზომით უდგებიან ისინი ამის განსაზღვრას, უცნობია, ამ რიგად ეს გამოურკვეველი საამორტიზაციო ფონდი, რომელიც იმყოფება ამა თუ იმ აღმასკომის განკარგულებაში, ფაქტიურად ნაწილდება და იხარჯება ქონების აღდგენაზე საჭიროების და საქმის ვითარების მიხედვით. გამოდის, რომ ის, რაც ჩვენ გვაინტერესებს საქმით სრულდება, მაგრამ თითქო მალულად. ბიუჯეტით გაიცემა ხოლმე ამა თუ იმ აშენებლობისათვის თანხები შემთხვევით, ხანდახან გაწყობილების და ხარჯთაღრიცხვის დაცვის დროს გამოჩენილი ენერგიის მიხედვით.

როდის შეიძლება ყველა ამ საკითხების სწორად და მიზანშეწონილად გადაწყვეტა? მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც გვეცოდინება საამორტიზაციო ანგარიშების მიხედვით, თუ რამდენი უნდა დაიხარჯოს ამა თუ იმ წელში ქონების აღდგენისათვის. როდესაც ეს გვეცოდინება, ჩვენ შეგვიძლია შეუცდომლათ მივმართოთ თანხები საამორტიზაციო ფონდიდან იქითკენ. სადაც ამის მეტი საჭიროება არის, სოციალისტური მეურნეობის წარმართვის პირობებში, სადაც ყველაფერი დამყარებულია გეგმაზე, შეუძლებელია უარვყოთ მიზანშეწონილი და რაციონალური წესები საქმიანობისა. ამის მიხედვით უეჭველია, რომ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ამორტიზაციის წარმოება მთელ მატერიალურ ქონებაზე გამოუკლებლივ და, მაშასადამე, სათანადო ხარჯთაღრიცხვებში გავითვალისწინოთ საამორტიზაციო ანარიცხები იმის მიუხედავათ, მთელი 100 პროც. ამ ანარიცხებისა დაიხარჯება ქონების აღდგენაზე, თუ მხოლოდ ნაწილი. ამნაირად, საამორტიზაციო ანარიცხების წარმოება ადგილობრივი აღმასკომების მთელ ქონებაზე უნდა ხდებოდეს თანახმად იმ წესების და ნორმებისა, რომელიც მიღებულია საკავშირო ს. მ. უ. ს-ის მიერ სამრეწველო ხასიათის წარმოებისათვის და კომუნალურ მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ — კომუნალური ქონებისათვის.

დაბოლოს, უნდა გადავწყვიტოთ საკითხი იმის შესახებაც თუ სად უნდა იყოს დაგროვილი საამორტიზაციო ფონდი, რომელიც შესდგება წესიერად წარმოებული ანარიცხებიდან. სხვანაირად რომ ვთქვათ, ვის განკარგულებაში იქნება ეს ფონდი და რას უნდა მოხმარდეს იგი. ამ საკითხის შესახებ ჩვენ, საქართველოში, არ გვაქვს გარკვეული საკანონმდებლო მითითებანი. არსებობს მხოლოდ დებულება, და დამტკიცებულია რუსეთის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახკომსაბჭოს მიერ 6 ოქ. 1926 წლის თარიღით. ამ დებულების მეშვიდე მუხლი ამბობს:

„ამ დებულების 2 და 5 მუხ-ით გათვალისწინებული ანარიცხებიდან (ესე იგი, საამორტიზაციო ანარიცხები. მ. გ.) ყოველივე კომუნალურ ტრესტში შესდგება განსაკუთრებული საამორტიზაციო ფონდი, ხოლო იმ წარმოებათათვის, რომელნიც იმყოფებიან ადგილობრივ ბიუჯეტზე, შეიქმნება ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში სპეციალური ფონდი და ეს ფონდი უნდა იქნეს სათანადო აღმასკომის სრულ განკარგულებაში.

შენიშვნა: საამორტიზაციო კაპიტალების აღრიცხვა ხდება ყოველივე ცალკე წარმოებისათვის (ცალკე იმის მიუხედავათ, იმყოფება ეს წარმოება ტრესტის შემადგენლობაში, თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე.

მუხლი 8. საამორტიზაციო ფონდები (მუხ. 7) იხარჯება იმის დამოუკიდებლათ, თუ რომელ წარმოებაში, ან ქონების რომელ ობიექტიდან მოხდა გადარიცხვა ხსენებულ ფონდში.

მუხ. 9. კომუნალურ წარმოებათა გაცვეთილ ქონების კაპიტალური რემონტის ხარჯები, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტით, ჩაითვლება საამორტიზაციო ანარიცხების ანგარიშში".

მე მგონია, რომ ზემო დასმული საკითხების განმარტება ჩვენც მოყვანილ დებულებას [illegible] და შეუფარდოთ. ამას მოითხოვს სამეურნეო მიზანშეწონილობა და ჩვენი მუშაობის პირობები, რა თქმა უნდა, ჩვენ რომ ისე მდიდრები ვიყოთ, რომ არ გვჭირდებოდეს თანხების მიმოქცევა რომ არ იყოს აუცილებელი საჭიროების მიხედვით თანხების გადასროლ-გადმოსროლა, რომ გვქონდეს იდეალური ფინანსიური მდგომარეობა, მაშინ უფრო სწორი იქნებოდა მიგვემაგრებია საამორტიზაციო ანარიცხები ქონების ყოველივე ერთეულზე და გვეხარჯა იგი მხოლოდ ამ ერთეულის აღსადგენათ. სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით ასეთი მდგომარეობა არ გვაქვს და ამიტომ არც შეგვიძლია დავიცვათ ამნაირი ფინანსიური ფუფუნება. პრაქტიკაში ჩვენ დიდი ხანია იგი უარვყავით და ალბათ არც ისე მალე დავუბრუნდებით მას.

ამნაირად, საამორტიზაციო ანარიცხი იმ ქონებისა, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტის კმაყოფაზეა, ითვლება ამა თუ იმ სამეურნეო ერთეულის ბალანსზე, მაგრამ ყველა ეს აღირიცხება ადგილობრივი ბიუჯეტით და მიღებული სახსრები გროვდება ადგილობრივი ორგანოს (აღმასკომის) ხელში, რომელსაც უფლება აქვს გამოიყენოს ეს თანხები საბიუჯეტო მიზნების განსახორციელებლად მხოლოდ ერთი პირობის დაცვით,— რომ ეს საშუალება [illegible] მხოლოდ და მხოლოდ ქონების აღდგენას; რაც შეეხება სამრეწველო ხასიათის წარმოებებს, რომლებიც გადაყვანილი არიან წესებით გათვალისწინებულ სამეურნეო ანგარიშზე, ამ შემთხვევაში საამორტიზაციო ანარიცხი არამც თუ უნდა ითვლებოდეს ამ წარმოების ბალანსზე, არამედ იგი უნდა იყოს სრულ მის განკარგულებაში, როგორც მუდმივი ფონდი, რომლის დანიშნულებაა ამ წარმოების ძირითადი კაპიტალის დანაკლისის შეუჩერებელი შევსება. ყველა ზემო მოყვანილ მოსაზრებათა გამო ქონების ამორტიზაციის შესახებ ჩვენ შეურყევლად უნდა შევჩერდეთ შემდეგ დებულებებზე:

1. ამორტიზაციის ნორმებს და წესებს რომლებიც შემუშავებულია სათანადო ხელმძღვანელ ორგანოების მიერ ექვემდებარება ადგილობრივი სამეურნეო ორგანოების (აღმასკომების) მთელი ქონება.

2. ყველა საამორტიზაციო ანარიცხებიდან შესდგება ერთიანი საამორტიზაციო ფონდი, რომელსაც შეადგენს წესდებიანი, სამეურნეო, ანგარიშზე, რომელიც იმყოფება ადგილობრივი აღმასკომის სრულ განკარგულებაში. გამონაკლისს შეადგენს სამეურნეო ანგარიშზე მყოფი წარმოებანი, რომელთა საამორტიზაციო ანარიცხები რჩება სრულ მათ განკარგულებაში.

3. საამორტიზაციო ანარიცხები ირიცხება ამა თუ იმ სამეურნეო ერთეულის ბალანსზე, ხოლო უფლება მათი გამოყენებისა დროებითი გადაჯგუფებისა (სესხის სახით) ეძლევა ადგილობრივ სამეურნეო ორგანოს — აღმასკომს; მაგრამ რადგან ამ ფონდს აქვს მიზნობრივი დანიშნულება (კაპიტალური შეკეთება და აღსადგენელი სამუშევრების წარმოება), ამიტომ ამ ანარიცხების გამოყენება არა მათი პირდაპირი დანიშნულებით, მაგალითად, სოც-კულტურული მიზნებისათვის, უსათუოდ უარყოფილი უნდა იქნეს.

4. საამორტიზაციო ანარიცხების აღრიცხვა და სათანადო ინსტრუქციების შემუშავება ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზაციის ცხოვრებაში გატარებისათვის უნდა დაეკისროს ადგილობრივი აღმასკომის საფინანსო განყოფილებას.

მ. გავაშელი.

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

# ლენინის კვირეულისათვის

ცირკულიარულად

### საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის და საოლქო, სამაზრო და სარაიონო კ. მ. კომიტეტების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებს

20-დან 27 იანვრამდე უნდა ჩატარდეს ლენინის კვირა.

ამ კვირის განმავლობაში იწყობა მოხსენებები, საუბრები და სპეციალური სამგლოვიარო საღამო (22 იანვარს) კლუბებში, სკოლებში, გლეხის სახლებში, ქოხსამკითხველოებში და პიონერთა კოლექტივებში პარტიულ, კომკავშირის და პროფესიონალურ ორგანიზაციების, წითელი არმიის, სადელეგატო კრებების, ნებაყოფლობით საზოგადოებების, სკოლების; გლეხების და გლეხ-ქალების მონაწილეობით.

### თემები მოხსენებებისათვის:

1. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა.
2. ლენინი და სოციალისტური აღმშენებლობა.
3. ლენინი და კოოპერაცია.
4. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა და ლენინის პარტიის ამოცანები (პარტიის მთლიანობა, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მსოფლიო რევოლიუციისათვის ხელისშეწყობა და სხ.)

ლენინის კვირა უნდა დაუკავშირდეს რუმედასის მიერ მოწყობილ კვირას—„კაპიტალის ტყვეობაში მყოფთათვის დახმარების აღმოჩენის კვირას" და საბჭოთა კავშირის მშრომელთა პროტესტს ჩინეთის რეაქციის მხეცობის წინააღმდეგ.

### ლოზუნგები:

1. ლენინის მთელი სიცოცხლე იყო ბრძოლა მშრომელთა ინტერესებისათვის.
2. საბჭოთა კავშირი მსოფლიო რევოლიუციის ბურჯია. განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის თავდაცვა.
3. მუშების და გლეხების კავშირი—პროლეტარულ დიქტატურის უმაღლესი პრინციპია.
4. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი გადაჭრით ებრძვის კულაკს, მტკიცედ ემყარება ღარიბ გლეხობას, მჭიდრო კავშირი აქვს საშუალო გლეხობასთან, და ლენინური საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით მიიწევს სოციალიზმისაკენ მიუხედავათ ოპოზიციონურ მხდალებისა და შტრეიკბრეხერების ეჭვებისა და პანიკისა.
5. ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება ყველაფერი, რაც აუცილებლად საჭიროა სრულ სოციალისტურ საზოგადოების დასამყარებლად.
6. საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური კავშირი და თანამშრომლობა ბელადის ერთი-ერთი უმთავრესი აღთქმაა.
7. რკინისებურ, დისციპლინიან პარტიის გარეშე შეუძლებელია პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვება, შეუძლებელია საბჭოთა ხელისუფლების არსებობა.
8. ვინც თუნდაც სულ მცირედ ასუსტებს პროლეტარიატის პარტიის რკინისებურ დისციპლინას (განსაკუთრებით მისი დიქტატურის დროს), ის ფაქტიურად ეხმარება ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ.
9. ჩვენ ვიყავით და ვრჩებით საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციონერებად.
10. წერა-კითხვის უცოდინარ ქვეყანაში სოციალიზმის აშენებლობა შეუძლებელია.
11. ჩვენთვის ეხლა საჭიროა კულტურული რევოლიუცია, რომ სავსებით სოციალისტურ ქვეყნად გადავიქცეთ.
12. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი კულტურა, რომელიც ასწავლის მშრომელთ ბრძოლას სოციალისტურ მეურნეობის აღორძინებისათვის და პროლეტარულ სახელმწიფოს გაუმჯობესებისათვის.
13. განვამტკიცოთ ჩვენი კოოპერაცია, ვინაიდან ის არის გზა სოციალიზმისაკენ.
14. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია—პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ერთი [illegible] ამოცანაა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე—
ს. მამულია.

# ლიტერატურა

### რუსულ ენაზე:

1. სტალინი—ლენინისა და ლენინიზმის შესახებ.
2. იაროსლავსკი— ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მუშაობა
3. ლენინის შესახებ—მოგონებათა კრებული.
4. მოლოტოვი—ლენინი და პარტია რევოლუციის დროს.
5. ბუხარინი—ლენინი როგორც მარქსისტი.
6. ლენინი და აღმოსავლეთი—აღმოსავლეთისმცოდნეობის სამეცნიერო ასოციაციის გამოცემა.
7. დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოლიტიკოსები და მწერლები ლენინის შესახებ.
8. ლოზოვსკი—კლასობრივი ომის [illegible] სტრატეგი.
9. კუზნეცოვი—ლენინი და გლეხობა.
10. ანრი გილბო—ვლადიმირ ილიჩ ლენინი.
11. გირინი—ლენინი და პროფმოძრაობა.
12. ლენინი—აზრები, გამოთქმები. უკრაინის სახელგამის გამოცემა.
13. კრუპსკაია—ვლადიმერ ილიჩის შესახებ.
14. გინდინი—ლენინი, როგორც პროლეტარულ სახელმწიფოს აღმშენებელი.
15. ლენინი—კოოპერაციის შესახებ.
16. კრებული—ლენინის ხსოვნას.
17. პოპულიარული „ლენინის ბიბლიოთეკა".
18. ლენინი. შეადგინეს—კრაინიმ და ბესპალოვმა.

### ქართულ ენაზე:

1. სტალინი—ლენინი და ლენინიზმი.
2. პოპოვი და იაკოვლევი—ლენინის ცხოვრება და ლენინიზმი.
3. ვლადიმერ ილიასძე ლენინი. პროფკავშირების გამოცემა.
4. ხოდოროვსკი—ლენინი.
5. ერთი წელი ლენინის გარდაცვალების დღიდან. გამოც. „მნათობი"-სა.
6. ნევსკი. ლენინი.
7. მარტინოვი, პროლეტართა დიდი ბელადი.
8. ლენინი—კოოპერაციის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკ-ის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

# საბჭოთა საქართველო

## დეპეშები

### საექიმო დახმარება

**ოზურგეთი**, 11 იანვარი. წითელი ჯვარის საზოგადოების სამაზრო განყოფილებამ სოფ. ერკეთში გახსნა საექიმო პუნქტი ულარიბეს გლეხობისათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

ამავე საზოგადოებამ სოფ. ჩოჩხათში გახსნა სამალარიო სადგური. მოსახლეობის ქინაქინით წამლობა უფასოთ სწარმოებს. (ადს)

### სახელმწიფო დაზღვევის ინსტრუქტორი - სიმულიანტი

**ოზურგეთი**, 11 იანვარი. სამაზრო სასამართლოში გაირჩა სახელმწიფო დაზღვევის ინსტრუქტორის შარაშენიძის საქმე; მას ბრალად ედებოდა შემდეგი:

გურიის აღმოსავლეთ რაიონის შემოვლის შემდეგ ოზურგეთში დაბრუნდა და მილიციას განუცხადა, რომ ნასაკირალის ტყელტეხილის მიყრუებულ ადგილას თავს დაესხენ ყაჩაღები და წაართვეს სახაზინო ფული — 1.200 მანეთი და რევოლვერი. რამდენიმე ხნის შემდეგ შარაშენიძე სიმულაციაში გამოტყდა და უჩვენა ის ადგილი, სადაც მან 900 მანეთი დამალა, ხოლო დანარჩენი ფულის შესახებ განაცხადა, რომ დაჰკარგა.

სასამართლომ მიუსაჯა შარაშენიძეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით (ადს)

### გაფლანგვისათვის

**სიღნაღი**, 11 იანვარი. სიღნაღის სამაზრო სასამართლომ გაარჩია ლაგოდეხის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ყოფილი უფროსის თ. ცაბუღლოვის საქმე; მას ბრალდებოდა სახაზინო ფულის სისტემატიური გაფლანგვა; სულ გაფლანგული იქნა 2.497 მან. 61 კაპ. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ცაბუღლოვი ლაგოდეხის ფოსტა - ტელეგრაფის კანტორის უფროსად ყოფნის დროს ლოთობდა და აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა, რასაც შედეგად მოჰყვა ფულის გაფლანგვა.

სასამართლომ ცაბუღლოვი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით (ადს).

## წერილები

### კოოპერაციის გაჯანსაღებისათვის

კოოპერაციის ხელმძღვანელი ორგანოების გადარჩევებთან დაკავშირებით, მთავარი ყურადღება მიპყრობილი უნდა იქნას კოოპერაციაში საკუთარ თანხების გადიდებისაკენ. ამისათვის არსებობს ორი გზა, პირველი საპაიო ანარიცხების სრული ასი პროცენტით შეკრება და სავაჭრო ბრუნვიდან მოგებული თანხები, ამ უკანასკნელზე ჯერ-ჯერობით მაინც. დიდ იმედებს ვერ დავამყარებთ, ვინაიდან ჩვენი კოოპერატივები ჯერ კიდევ საორგანიზაციო პერიოდში იმყოფებიან და არ აქვთ შესაძლებლობა მოგების საშუალებით შექმნან საკუთარი საბრუნავი თანხები, მით უმეტეს კოოპერაციის მიზანს არც შეადგენს დიდი პროცენტების დადება გასასყიდ საქონელს.

ამასთან ერთად კოოპერატივების მიერ მოგებული თანხების საკმაოდ დიდი პროცენტი ხმარდება სხვადასხვა დანიშნულებას, როგორიცაა წევრთა შორის კულტურული მუშაობა, ულარიბესი გლეხობის კოოპერაციაში ჩაბმა მათი საპაიო გადასახადისაგან განთავისუფლებით და მრავალი სხვ.

უფრო სწორი საშუალება საკუთარი თანხების შესაქმნელად არის კოოპერატივებში წევრთა რიცხვის გადიდება და მათ მიერ საპაიო გადასახადის სრულიად აკრეფა.

ამ მხრივ ჩვენი კოოპერატივები განსაკუთრებით სოფლად, ჯერ კიდევ მოიკოჭლებენ. ბევრ ადგილას ჯერ-ჯერობით სანახევროდაც არ არის დაფარული საპაიო ანარიცხები.

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციისათვის საკუთარი საბრუნავი თანხებს, ამის შესახებ ბევრი მსჯელობა არ არის საჭირო და სწორედ ეს გარემოება ქონდა მხედველობაში მიღებული საკავშირო მთავრობას, როცა გასული წლის 31 დეკემბერს გამოსცა დადგენილება სოფლის სამომხმარებლო კოოპერაციაში საპაიო თანხის ათ მანეთამდე გადიდების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ თანხის გადახდა საშუალო შეძლების გლეხისათვის არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს, ხოლო კოოპერაციას კი საბოლოოდ გააჯანსაღებს ფინანსიურად და საშუალებას მისცემს მას უფრო უკეთ მოიმარაგოს გლეხობისათვის საჭირო საქონელი.

მტკიცე ფინანსიურ ნიადაგზე მდგომ კოოპერაციის იმოდენი სამსახურის გაწევა შეუძლია გლეხობისათვის, რომ ეს უკანასკნელი სულ მალე აინაზღაურებს მის მიერ გაღებულ საპაიო თანხის ღირებულებას.

ამიტომ ამჟამად კოოპერაციის ხელმძღვანელთა საქმიანობა მიმართული უნდა იქნეს კოოპერაციაში საკუთარი თანხების გადიდებისაკენ, რაც შესაძლებელია მხოლოდ საპაიო ანარიცხების სრული აკრეფით.

**გლეხი.**

### სენაკის მაზრის წითელი ჯვრის კონფერენცია

ამ დღეებში ქ. სენაკში ჩატარდა სენაკის მაზრის წითელი ჯვრის საზოგადოების კონფერენცია, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას იღებდენ ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები.

წითელი ჯვრის სამაზრო კომიტეტის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სენაკის მაზრაში წითელ ჯვარს 3.061 წევრი ჰყოლია, ამათგან 1717 გლეხია და 344 მოსამსახურე. საანგარიშო პერიოდში კომიტეტს პლენუმი მოუწვევია ორჯელ, დაუარსებია 10 სათემო კომიტეტი: კიწიაში, სალხინოში, ძველ-სენაკში, ბანძაში, თეკლათში; ონტოფოში; ახალ აბაშაში, ზემო ჭილადიდში, დიდ-ჭყონში და სენაკში. ადგილობრივი სათემო კომიტეტები იჩენენ საკუთარ ინიციატივას. თვითეული თემი თემში შეკრებილ თანხებით იძენს მედიკამენტებს, აწყობენ პატარა აფთიაქებს და ურიგებენ ღარიბ მოსახლეობას უფასოდ წამლებს.

ქ. სენაკში არსებობს პირველი საექიმო დახმარების წრე. დაარსებულია უჯრედები სამაზრო აღმასკომთან, გლეხკომთან და პროფბიუროსთან. კომიტეტს სენაკის მაზრის ღარიბ გლეხობის საექიმო დახმარებისათვის დაუხარჯავს 4.760 მანეთი.

სამაზრო კომიტეტის მოხსენების გარშემო ვაიმართა კამათი. ორატორები უმთავრესად მიუთითებენ სხვადასხვა დეფექტებზე მუშაობის საორგანიზაციო დარგში.

კონფერენციამ აუცილებელ საჭიროდ სცნო მუშათა ჩაბმა წითელ ჯვრის მუშაობაში და წრეების ჩამოყალიბება ყველა წარმოება-დაწესებულებებთან.

დასასრულ კონფერენციამ აირჩია სენაკის სამაზრო კომიტეტი. კომიტეტში წარმოდგენილია ჯანმრთელობის განყოფილება, პარტკომი, აღმასკომი, პროფბიურო, გლეხკომი, კომკავშირი, ქალთა განყოფილება, ეპო და ადგილებიდან კიწიის, აბაშის, ონტოფოს, სალხინოს და ბანძის თემები. თავმჯდომარედ კონფერენციამ ერთხმად აირჩია ექ. შამათავა.

**სენაკელი.**

### სარედაქციო კოლეგიის გადარჩევა
(საგარეჯოს თემი)

ამ დღეებში საგარეჯოს ქოხ-სამკითხველოს საწრეო დარბაზში შესდგა საგარეჯოს თემის ახალგაზრდათა, მუშათა და გლეხკორესპონდენტთა კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენ. კედგაზეთ „სინათლეს" სარედაქციო კოლეგიის 6 თვის მუშაობის შესახებ: 2. სარედაქციო კოლეგიის გადარჩევა და 3. სარაიონო მასშტაბით გლეხკორთა კონფერენციის მოწვევა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა რედკოლეგიის თავმჯდომარემ ალ. ბედიაშვილმა. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა კედ. გაზეთის მუშაობა ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესებულა და გაშინაარსიანებულა. გაზეთის ფორმატი გაზრდილა 1 ნახ.-ჯერ. შეძენილი ყოფილა გაზეთისათვის ახალი შუშიანი ჩარჩო. ადგილობრივ აღმასკომს, კოოპერატივს და პროფორგანოებს დღემდე სისტემატიურად უძლევიათ ფინანსიური დახმარება. ქალ-კორესპონდენტთა რიცხვი საანგარიშო პერიოდში ერთი ორად გაზრდილა. სულ 6 თვის განმავლობაში გამოუციათ კედლის გაზეთის 20 ნომერი. 7 ნოემბრისათვის კედგაზეთი დასტამბულა რამოდენიმე ათეულ ცალად და დარიგებია, როგორც ადგილობრივ თემის გლეხკომს, ისე მაზრის სხვადასხვა თემის კოოპ - სამკითხველოებს.

მომხსენებლისადმი მრავალი შეკითხვები იქნა მიცემული. დასასრულ კრებამ სარედაქციო კოლეგიის მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად და აირჩია ახალი სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ალ. ბედიაშვილი, — თავმჯდომარე, მ. თამაზაშვილი და გ. მთვარაძე.

მესამე საკითხზე—რაიონული კონფერენციის მოწვევის შესახებ გადასწყდა ასეთი მოწვეულ იქნეს ახლო მომავალში.

**დამსწრე გლეხკორი.**

### წერილებიდან

#### მუშაობას ხელს უშლიან
#### მალაროსკარის თემი, დუშ. მაზრა

გასაბჭოების შემდეგ თემში ხუთჯერ გამოიცვალა თემაღმასკომის თავმჯდომარე, და ამჟამად იდულება ამხ. ვასილ ჩიხელაშვილი, რომელიც ენერგიულად ზრუნავს გლეხობის კეთილდღეობისათვის. მას მუშაობაში ეხმარება აგრეთვე ადგ. სკოლის მასწავლებელი ამხ. ალ. აზაურაშვილი. ამ ამხანაგებს სოფლის ზოგიერთი არამზადები ხელს უშლიან მუშაობაში და სურთ თვით გახდენ თავმჯდომარეები.

მაზრაღმასკომმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს და ალაგმოს მოკინკლავენი.

**სიმართლის მთქმელი.**

#### აღმშენებლობაზე გვეხმარებიან
#### ხიდისთავი, გურია

ხიდისთავის ქსენონის სააღმშენებლო კომიტეტის და თემის საბჭოს სახელით უღრმეს მადლობას უცხადებთ სამტრედიის ოდლოლოგეპეუს უფროს ამხ. აკაკი თავბერიძეს, რომელმაც თავისი ინიციატივით ჩვენი ქსენონის სასარგებლოთ ნაცნობ-მეგობრებში მოაგროვა 39 მანეთი. შემოწირულება მიღებულია შემდეგი ამხანაგებისაგან: თავბერიძე აკაკი—20 მ., ახობაძე კოწია—3 მან., ლოტიძე ექვთიმე—2 მ., აბუსერიძე იესე—3 მ., ანაკიძე გიორგი—2 მ., ცინცაძე კაპიტონ—1 მ., ქაია ერმალოზ—3 მ.

იმედია დანარჩენი ამხანაგებიც, რომლებიც აგროვებენ ამ საქმისათვის შემოწირულებას თავის დროზე მოგვაწვდიან თანხებს, რითაც საშუალება მოგვეცემა დავამთავროთ ქსენონის აგება.

ხიდისთავის თემაღმასკომის თავმჯდომარე: **შალვა კუტუბიძე.**

#### არ უნდა დაუშვათ
#### დარჩელის თემი, ზუგდიდის მაზრა

დარჩელის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის წევრად არჩეულ იქნა გაგალი გაბედავა. 1925 წელს ის იყო დარჩელის კოოპერატივის პასუხისმგებელ ნოქრად, სადაც ერთი თვის განმავლობაში გაფლანგა 360 მანეთი და ამ თანხის ნაწილი დღესაც დაუფარავი აქვს. ასეთი არასაიმედო პიროვნების არჩევა გამგეობაში არავის არ მოუტანს სარგებლობას. მშრომელ გლეხობაში გაისმის სამართლიანი საყვედური. საჭიროა ზომების მიღება შეცდომების გამოსასწორებლად.

**უდანაშაულო გლეხი.**—

### სოფლის ქრონიკა.

— **ტრესტი.** დაარსდა ოზურგეთის აღმასკომის კომუნალურ წარმოებათა ტრესტი „შრომა".

— **მოძრავი სახელოსნო.** თელავის აღმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო მანქანაიარაღების შემკეთებელი მოძრავი სახელოსნო.

— **არტელი.** ზემო-ეწერის (ოზურ. მაზრა). სასოფლო-სამეურნეო არტელმა მოიწვია სპეციალისტი აგრონომები.

— **ხიდი.** ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილზე მდ. მტკვარზე შეუდგენ ახალი ხიდის აგებას.

—**სამანქანო ამხანაგობა.** შილდაში (თელავის მაზ.) ულარიბეს გლეხებისაგან დაარსდა სას.-სამ. მანქანების ორი ამხანაგობა.

— **აგროპუნქტები.** ოზურგეთის აღმასკომმა გადასწყვიტა გააფართოვოს მაზრაში არსებული აგროპუნქტები.

— **ქოხ-სამკითხველო.** ბოსლევის თემში (შორ. მაზ.) ქოხ-სამკითხველოსათვის შენობის ასაგებათ გლეხებმა გადასდვეს 300 მან.

— **სკოლა.** ხრეისის თემში (შორ. მაზ.) თემ-აღმასკომმა ადგილობრივ სკოლის შენობის ასაგებად გადასდო 500 მანეთი.

# მუშათა ცხოვრება

### განათლება და შრომა—გზაა გამოსწორებისაკენ"

ასეთი წარწერით გამოდის თბილისის პირველი გამასწორებელი სახლის პატიმართა კედლის გაზეთი „წინ". გაზეთში ფართოდ არის გაშუქებული პატიმართა ყოფა-ცხოვრება და საერთოდ გამასწორებელი სახლის მდგომარეობა. ამით ნათლად სჩანს, რომ პატიმრები ჩაბმული არიან კულტურულ მუშაობაში და ხელს უწყობენ კულტურულად ჩამორჩენილ პატიმრების გათვითცნობიერებას, რაც თავდებია მათი საბოლოო გამოსწორებისა.

ამ მუშაობას, ხელს უწყობენ, როგორც საპატიმროს ადმინისტრაცია, ისე შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატიც, რომლის თაოსნობითაც საპატიმროში მოწყობილი იქნა კლუბი სამკითხველო, წითელი კუთხე და სხვა კულტურული ორგანიზაცია. მაგრამ მარტო კულტურულ მუშაობას არ ეწევიან პატიმრები. ისინი ჩაბმულნი არიან აგრეთვე საწარმოო მუშაობაშიც. საპატიმროსთან მოწყობილია სხვადასხვა სახელოსნოები, სადაც მუშაობენ და სწავლობენ ხელობას პატიმრები. ისე, რომ საპატიმროდან განთავისუფლებული მოქალაქე. რომელსაც ყინად არ ჰქონდა საშუალება მუშაობისა, უზრუნველყოფილია საარსებო საშუალებით.

„მთავრობამ გაგვიხსნა ეს სახელოსნოები იმიტომ, რომ უსაქმობას და ცუდლუტობას მიჩვეულ პატიმრებს შეასწავლოს ხელობა, რათა გამასახლიდან არ გავიდენ ცხოვრების პარაზიტად და მეტ ბარგათ"—სწერს ერთი ტუსაღთაგანი, კედლის გაზეთის მე-12-ე ნომერში ასეთია ჩვენი თანამედროვე სატუსაღო. აქედან ყოფილი ქურდი-რეციდივისტები და სხვა ბოროტმოქმედები გამოდიან მშრომელ ელემენტებად, რომლებიც ადგებიან ნამდვილ პატიოსან შრომის გზას და ხელს უწყობენ საზოგადოებრივ შვიდობიანობას.

ჩვენი სასამართლოების მიზანს არ შეადგენს დამნაშავის დასჯა, იმდენად მის გამოსწორება. ეს შეგნებული აქვთ გამასწორებელ სახლის პატიმრებს. მათ იციან, რომ „განათლება და შრომა" საუკეთესო „გზაა გამოსწორებისაკენ". ამიტომ ისინი ჩაბმული არიან ადგილობრივ საწარმოო და კულტურულ მუშაობაში და ხელს უწყობენ თავიანთი თავის გათვითცნობიერებასა და გამოსწორებას.

პატიმართა კედლის გაზეთი „წინ-"იც ფართოთ აშუქებს ყველა ამ საკითხებს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში აღნიშნულ კედლის გაზეთის შინაარსი უფრო გაუმჯობესდება და შეიქმნება პატიმართა კულტურულ საქმიანობის ცენტრად.

**შრომისშვილი.**

### ვისი ბრალია

ამას წინად თბილისის სადგურში შემავალი მატარებელი გაშვებული იქნა რონოდებით დაკავებულ ლიანდაგზე. იღბალი რომ მემანქანე კანდელაკს მატარებელი მიჰყავდა ძალზე ნელა, რის გამო ზარალი შედარებით დიდი არაა. იმ ადგილას სადაც დაჯახება მოხდა დიდი თავქვეა. ჩვეულებრივი სიჩქარით რომ შემოსულიყო მატარებელი დიდი უბედურება დატრიალდებოდა, მაგრამ ამ უბედურების შემთხვევამ მაინც სხვა ზარალთან ერთად ორი ადამიანი იმსხვერპლა.

ვისი ბრალია ეს უბედური შემთხვევა. დილის ოთ საათზე რომ გამოიწვია ასეთი დანაშაული? სადგურის ადმინისტრაცია ირწმუნება, რომ დამნაშავე მელიანოვი კარგი, გამოცდილი და საქმის მცოდნე მეისრე არისო. ეს შეიძლება ასე იყოს. მაგრამ რატომ არაფერს ამბობს მოძრაობის დარგი იმის შესახებ, თუ ვინ, რომელი მეისრე ემსახურებოდა ამ ისარს, რამდენი მეისრე იყო წინათ. ბაქოს მხარეზე და რამდენია დღეს. იყო თუ არა ამ ბოლო დროს მეისრეების შემოკლება თბილისის სადგურზე და არის თუ არა სწორედ უმთავრესი მიზეზი ამ უბედური შემთხვევისა.

თუ კარგად ჩაუკვირდებით საქმეს, ადვილად მიუხვდებით, რომ მეისრეების ნაკლებობამ აქ დიდი როლი ითამაშა. და მომავალშიც არ ვართ უზრუნველყოფილი ასეთი შემთხვევისაგან.

მოძრაობის დარგი ცდილობს 20 პროცენტიანი შემოკლება მეისრეების ხარჯზე ჩაატაროს. ამას წინათ აქსტაფაში შეამოკლეს ოთხი მეისრე - ვაგონების შემბმელი, მაგრამ დროზე [illegible] მოხდა აქ ორთქლმავალის გადავარდნა ისარზე და ამან უხილა თვალი მოქ. ნებისოვს და აქვე აღადგინა დათხოვნილი ოთხი მეისრე.

მეორე მიზეზი ამ უბედური შემთხვევისა არის ის გარემოება, რომ შუა მატარებელში ჩაბმული იყო მსუბუქად დატვირთული რონო და, რაც დაუშვებელია და რამაც ამჟამადაც უსაშველოდ გაასკდა დაჯახებისაგან წარმომდგარი შედეგი. რა კი მემანქანემ შენიშნა, რომ ის უშვებენ დაკავებულ ლიანდაგზე, ამუშავა თავისი მატარებელი მოძრაობის წინააღმდეგ, ე. ი. მიაწვა შემადგენლობის გასაჩერებლად.

ამ შემთხვევამ მატარებლის შუა თითქმის ცარიელი რონოდა დააზიანა და აი იქ დაიწყო მსხვრევა - დამტვრევა ვაგონებისა. თვით დაჯახებისაგან იმდენი ზარალი არ მომხდარა, რაც გამოიწვია ამ ბედკრულმა რონომ.

სასტიკად აკრძალულია ასეთი დეფექტიან ვაგონების გაშვება. მაგრამ არ იქნა მოძრაობის დარგი ვერ შეეჩვია, მატარებლის წესიერად ბედვენას.

ამგვარად უბედური შემთხვევის მიზეზი აშკარაა.

ამას ყურადღების მიქცევა ესაჭიროება.

**ძველი მუშა**

### მოუწესრიგებელი საქმე
(წერილი ბათომიდან)

სადგ. ბათომში ბილეთების გაყიდვის დროს საშინელი აურზაური ხდება.

სალაროსთან გროვდება მგზავრების დიდი რიცხვი. აქ არ არის არავითარი წესრიგის დაცვა. დამცველთა რაზმიდან იშვიათათ თუ ვინმეს შეამჩნევთ ბილეთების გაყიდვის დროს სალაროსთან. ამის გამო ბილეთების აღებას მხოლოდ ის ახერხებს, ვინც უფრო ძლიერია და მამაცი.

წესრიგის დარღვევას, განსაკუთრებით ხელს უწყობს კიდევ ის გარემოება, რომ მოზღვავებულ ხალხს ერთი ბილეთების მოლარე ვერ აკმაყოფილებს და სადგურზე მრავალი მგზავრი რჩება ბილეთებ აუღებელი.

ამ საკითხზე რკ. გზ. გამგეობაში შეტანილ იქნა ბევრი განცხადება. ბათომის საჩივრის ჟურნალშიც თითქმის ყოველ კვირა იწერება მგზავრების მიერ საჩივარი, მაგრამ ნაკლის გამოსწორებას საშველი მაინც არ დაადგა.

მგზავრების უდიდესი მოზღვავება შემჩნეულია საღამოს მატარებელზე. სადგურის ადგილობრივ ადმინისტრაციას შესაძლებლათ და საჭიროთ მიაჩნია მეორე ბილეთების სალაროს გახსნა ამ დროის განმავლობაში და ამით მდგომარეობის შემსუბუქება. ბევრჯერ აღძრულა საკითხი შტატის გადიდების შესახებ განყოფილების უფროსის წინაშე, მაგრამ საქმეს ბოლო არ უჩანს.

დამატებით მეორე სალაროს გაღება არ იქნება მთლიანათ მიზანშეწონილი, რადგან ამ მოვლენას თან ახლავს თავისი უარყოფითი მხარეები, როგორც არის მაგალითად ბილეთების ნუმერაციის არევა, შტატის ხელოვნურათ გაბერვა, ინვენტარის შესაძენათ ხარჯების გაღება და სხვა.

უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, საქმისათვის, მომჭირნეობისა და მგზავრების ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, რომ ბილეთების მოლარეს მისცემოდა საღამოს 5-10 საათამდე ერთი დამხმარე პირი. ამისათვის გამოდგებოდა ცოტაოდენ მომზადების შემდეგ ბაქნის მოლარე, რომელთა უმრავლესობა ხშირათ მორიგეობის დროს ნახევრათ უსაქმონი არიან და მათი რიცხვიც საკმაოდ დიდია ბათომის უბანზე. ეს ღონისძიება არ გამოიწვევს ბილეთების მოლარის შტატის გადიდებას, რკ. გზას კი მისცემს მეტ შემოსავალს და მგზავრების უკმაყოფილებასაც სავსებით აღმოფხვრის.

იმედია რკ. გზის გამგეობა ყურადღებას მიაქცევს ამ წინადადებას.

**რკინის გზელი.**

### კულტურული მუშაობა უმუშევრებში

დღემდე უმუშევართა შორის კულტურულ მუშაობას ვერ ექცეოდა სათანადო ყურადღება. უმუშევრები თავს იყრიდენ შრომის ბირჟის დარბაზებში და მრავალი შეკითხვებით თავს აბეზრებდენ ბირჟის მუშაკებს, ამას ხშირად უსიამოვნებაც მოჰყვებოდა ხოლმე, რაც ხელს უშლის მუშაობის ნაყოფიერებას.

დღეს, შრომის ბირჟამ სერიოზული ყურადღება მიაქცია ამ საკითხს. უმუშევართა სამკითხველოსათვის, ბირჟის შენობაში გამოყოფილია ერთი, მოზრდილი დარბაზი. შრომის ბირჟის კომიტეტმა მიმართა საქართველოს პროფსაბჭოს, სათანადო წყაროების გამოსანახავად და ხარჯთაღრიცხვის შესადგენად, რის შემდეგაც კომიტეტი შეიმუშავებს მომავალი მუშაობის გეგმას.

ეს პირველი ნაბიჯია, მაგრამ მეტად ნაყოფიერი, ფართო მასებში კულტურული დონის ამაღლებისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ეს მუშაობა უფრო გაცხოველდება.

**ზარი.**

### როდის მოაწყობენ?
(ხაშური)

სადგ. ხაშურში და სანაინში, ორთქლმავალთა გუნდის პირის საბანი ოთახები არ არის გამთბარი, რის გამო წყალი ისეა გაყინული, რომ ორთქლმავალთა გუნდები პირდაუბანელი რჩებიან. ამის შესახებ კი არა ერთი წინადადება აქვს მიცემული საყუდის ადმინისტრაციას, რომ მან სამორიგეო ოთახებში უნდა იქონიოს ნელთბილი წყალი პირის დასაბანად. მაგრამ არამც თუ სხვა შორ სადგურებში, არამედ სად. თბილისშიაც კი არ არის ნელთბილი წყალი.

იმედია საყუდის ადმინისტრაცია ეხლა მაინც მიიღებს ზომებს ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

**მუშკორი შავსოფლელი.**

### დამნაშავეს უნდა გადახდეს

**მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის დირექტორმა, იულო ცინცაძემ, 1926 წელს 19 მარტს, სათანადო ორგანოებთან შეუთანხმებლად, დაითხოვა სამსახურიდან ნოე გოგიჩაიშვილი, გიორგი კომახიძე და სხვები. მათ მაგიერ კი მიიღო სხვა თანამშრომლები.**

**დათხოვნილებმა გაასაჩივრეს თავიანთი უკანონო დათხოვნა, რომელთა სასარგებლოდ, თანახმად შრომის სასამართლოს დადგენილებისა, სატყეო ტრესტმა გადაიხადა 1400 მანეთზე მეტი. ეს ფული სატყეო ტრესტმა აუცილებლად დამნაშავეს უნდა აზღვევინოს.**

**ლა-ლი.**

### მუშკორთა წერილებიდან

**მოგვეცით „ვაგონეტკები"** მთ. სახელოსნოს სადურგლო საამქროში არ მოიპოვება მძიმე მასალის გადასაზიდი ტაჩკები („ვაგონეტკები"). მუშები ზურგით ეზიდებიან მძიმე ტვირთს. საამქროს გამგემ უნდა იზრუნოს „ვაგონეტკები"-ს მოსანახათ.

**ფილმენ.**

**გადარიცხეთ დამზღვევ სალაროზე.** თბილისის სასაკლოში მუშაობს სამი მუშა (სალახ.) რომლების წლოვანება 60 წელს აღემატება. დროა ისინი გადარიცხული იქნენ დამზღვევ სალაროზე.

**დაჩაგრული,**

**მოლაპარაკება მოთავდა.** თბილისის ქალაქის ბანკის ადგილკომმა უკვე მოათავა მოლაპარაკება ადმინისტრაციასთან კოლექტიურ ხელშეკრულების შესახებ. ახალ კოლხელშეკრულებაში შეტანილია მთელი რიგი ახალი მუხლებისა.

**მოუმატეთ მაგიდა.** ფოსტა - ტელეგრაფის სად. თბილისის განყოფილებაში სდგას ორი პატარა მაგიდა, რომელზედაც სწერენ მისამართებს და დეპეშებს. მაგიდები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. საჭიროა განყოფილების გამგემ მოუმატოს კიდევ ერთი მაგიდა.

**ნ. მიქაშავიძე.**

**გაგვიხსენით მუშკოოპის მაღაზია.** იზმაილოვის ქუჩის მარცხენა მთის ფერდობზე უმთავრესად მუშები სცხოვრობენ, რომლებიც კერძო სავაჭროში ყიდულობენ ყველაფერს. მუშკოოპის გამგეობამ უნდა გახსნას ერთი პატარა სავაჭრო აღნიშნულ ქუჩაზე და დაიხსნას მუშები კერძო ვაჭრების კლანჭებიდან.

**მუშკოოპის მეგობარი.**

**კულტმუშაობა ფერხდება.** რკ. გზის საავადმყოფოს სამკითხველოს არა აქვს შესაფერი ოთახი. ამის შესახებ არა ერთხელ მიმართეს ადგილკომსაც და ადმინისტრაციასაც, მაგრამ ოთახი მაინც ვერ გამონახეს. დირექტორის მოადგილემ ი. პალე აღმოაჩინა საავადმყოფოში ბინა და ჩასახლდა შიგ. ადგილკომმა ეს ბინა უნდა გადასცეს სამკითხველოს.

**კო—მი.**

### საქ. ცაკის პრეზიდიუმში

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ფრაქციის მოხსენების თანახმად, სს ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: ცაკის წევრები **მიხეილ ოკუჯავა, იასონ ჯღორბენაძე და ნიკოლოზ აკირტავა** გამორიცხოს ცაკის შემადგენლობიდან.

აღნიშნული დადგენილება წარდგენილი იქნება დასამტკიცებლად ცაკის მორიგ სესიაზე.

### შრომის კოდი აბანოში.
#### ზედმეტი მუშაობის აკრძალვა

თბილისის აბანოებში, მიუხედავათ ორ წყებად მუშაობისა, ხშირია ზედმეტი მუშაობის შემთხვევა, რაც ძალიან ხშირათ გამოწვეულია მობანავეთა მიზეზით. შრომის დაცვის განყოფილებამ დაადგინა სასტიკათ აიკრძალოს აბანოებში მომუშავეთა ზედმეტი მუშაობა. აბანოების ადმინისტრაციას დაევალა გააფრთხილონ დაგვიანებით მოსული მობანავეები და მუშაობის შეწყვეტა არავითარ შემთხვევაში არ გადააცილონ დანიშნულ ვადას.

#### მოჯამაგირეების და სამრეწველო ტიპის სასოფლო მეურნეობათა აღრიცხვა

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, ახლო მომავალში ჩატარებული იქნება მოჯამაგირეთა და სამრეწველო ტიპის სასოფლო მეურნეობათა აღრიცხვა თელავის, სიღნაღის, ბორჩალოს, გორის მაზრებში და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

### ა. კ. სახკომსაბჭოში
#### ბრძოლა უმუშევრობასთან

ა.-კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ა.-კ. ფინსახკომს გაანაწილოს 1927—28 წლის მეორე კვარტალისათვის უმუშევრობასთან ბრძოლის ფონდიდან 200.000 მანეთი.

აქედან საქართველოს მიეცემა 80.000 მანეთი—40,4 პროც., აზერბეიჯანს—94.000 მანეთი—47 პროც. და სომხეთს—25.000 მანეთი—12,6 პროც.

#### განჯის ჰიდრო-სადგური

ა.-კ. სახკომსაბჭოს და ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა განჯის (ქვემო-ზურნაბადის) ჰიდრო-ელექტრო სადგურის ხარჯთაღრიცხვა 1500000 მანეთის რაოდენობით.

აზერბეიჯანის ეკონომიურ საბჭოს წინადადება მიეცა დაავალოს ს. მ. უ. ს., რათა ამ უკანასკნელმა ცნობად და შესასრულებლად მიიღოს სადგურის მშენებლობის დროს ამიერ-კავკასიის სააღმშენებლო-ტეხნიკური კომიტეტის ყველა შენიშვნები ჰიდრო-ტეხნიკურ ნაგებობათა, ელექტრო-მექანიკურ ნაწილის და სამოქალაქო ნაგებობათა შესახებ.

გაერთიანებულმა სხდომამ მხედველობაში მიიღო რა, რომ ქვემო-ზურნაბადის სადგურის აგება დაწყებული იყო პროექტის დამტკიცებამდე და რომ მომავალში დაუშვებელია კაპიტალური სამუშაოების დაწყება პროექტების და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცებამდე, დაადგინა აკრძალული იქნეს მომავალში სააღმშენებლო მუშაობის დაწყება, სანამ სათანადოთ ჩამოყალიბებული არ იქნება პროექტები.

### ა.-კ. სას.-სამ. ბანკში
#### ვაზის სანერგე აფხაზეთში

აფხაზეთის მიწსახკომის სახალხო მამულების ტრესტის ვაზის სანერგის მოსაწყობად ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკმა აფხაზეთის ბანკს გაუხსნა კრედიტი 40 000 მან. რაოდენობით. აქედან 20.000 მან. გრძელი ვადით—1931 წლამდე და 20.000 მოკლე ვადით—1929 წლამდე.

#### „კრედიტების მიწოდება ღარიბ გლეხობისათვის"

ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკის გამგეობამ გადასწყვიტა გადათარგმნოს და გამოსცეს ნაციონალურ ენებზე ამხ. ულპის ბროშიურა „ღარიბ გლეხობისათვის კრედიტების მიწოდება".

#### თანხები მელიორაციისათვის

საკავშირო ფინსახკომის მიერ 1927—28 წლის ბიუჯეტით ამ.-კავკასიის მელიორაციისათვის გადადებული—220.000 მანეთი ა.-კ. სასოფლო-სამ. ბანკმა რესპუბლიკანურ ბანკებს გაუნაწილა შემდეგნაირად: საქართველოს—40.000 მან. აზერბეიჯანს—140.000 მან. და სომხეთს—40.000 მან.

### სოც. დაზღვევა

სოცდაზღვევის ცენტრალურმა საკავშირო სამმართველომ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის სოცდაზღვევის ბიუჯეტი 1927-28 წლისათვის. ამ ბიუჯეტით ამიერ-კავკასიის სოცდაზღვევის ორგანოები მიმდინარე სამეურნეო წელს საორგანიზაციო ხარჯებისათვის საკავშირო თანხებიდან მიიღებენ 1.275.000 მან. კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობისათვის 20.000 მანეთს, სანატორიუმებისა, კურორტებისა და დასასვენებელი სახლების საჭიროებისათვის—1.537.253 მანეთს. ამას გარდა სოცდაზღვევის ორგანოები უმუშევრობის შესამცირებლად საკუთარი თანხებიდან დამატებით გაიღებენ 124.153 მან. 20 კაპ.

საბიუჯეტო წლის განმავლობაში საქართველოში არსებულ სანატორიუმებსა და კურორტებზე გაიგზავნება 3.831 ავადმყოფი, დასასვენებელ სახლებში—16.016.

სანატორიუმების, კურორტებისა და დასასვენებელ სახლების საჭიროებისათვის ბიუჯეტით გადადებული თანხიდან წელს აბასთუმანში დამთავრდება ახალი სანატორიუმის აგება. ამავე დროს ბორჯომში გაიხსნება საევაკუაციო პუნქტი დღემდე ასეთი პუნქტის მოუწყობლობის გამო აბასთუმანში, წაღვერში, ლიბანში და სხვ. ადგილებზე მიმავალ ავადმყოფებს ხშირად ცის ქვეშ უხდებათ ღამის გათევა.

მიღებული იქნება აგრეთვე საჭირო ზომები ბორჯომის, წაღვერის, ქობულეთის და სხვ. დასასვენებელ სახლების კეთილმოსაწყობად და გასაუმჯობესებლად.

### კომუნალური კრედიტის განაწილება

საქართველოს ს. ს. რ. კომუნალური მეურნეობისათვის გრძელვადიანი კრედიტის სახით გაღებული 472.500 მან., საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად განაწილებულ იქნა სახკომსაბჭოს განმწესრიგებელი სხდომის მიერ შემდეგ ნაირად:

დუშეთის მაზრას მიეცა 24.500 მან. (წყალსადენისათვის — 20000 მან., სასაკლაოს გაფართოებისათვის — 4500 მან.), გორის მაზრას—51.000 მან. (წყალსადენის გაფართოებისათვის—10.000 მან., აბანოს მოსაწყობად—36 000 მან. და სასაკლაოსათვის — 5000 მან.), ბორჩალოს მაზრას—15.000 (წყალსადენის გაფართოებისათვის შულავერში და ლიუქსემბურგში), სენაკის მაზრას—35.000 მან. (სასაკლაოსათვის 15.000 მან., აბანოსათვის 20000 მან.). ახალციხის მაზრას—10.000 მან. (წყალსადენის გაფართოებისათვის), ახალქალაქის მაზრას—15.000 მან. (აბანოს მოსაწყობად), ქუთაისის მაზრას—25.000 მან. (სამტრედიის აბანოსათვის 15.000 მან. სასაკლაოსათვის 10.000 მან.), ლეჩხუმის მაზრას 10.000 მან. (წყალსადენისათვის), ოზურგეთის მაზრას—15.000 მან. (აბანოს მოსაწყობად), რაჭის მაზრას—15.000 მან. (აბანოს მოსაწყობად), თელავის მაზრას—18.000 მან. (აბანოს გაფართოებისათვის 10.000 მან., სასაკლაოსათვის—8.000 მ.), ზუგდიდის მაზრას 15.000 მან. (სასაკლაოსათვის), სიღნაღის მაზრას 15.000 მანეთი. (წყალსადენის გაფართოებისათვის—10.000 მ. სასაკლაოსათვის 5.000 მან.), ზესტაფონის—15.000 მან. (აბანოს მოსაწყობად), ფოთს — 24.000 მანეთი. (წყალსადენის გაფართოებისათვის — 4.000 მანეთი. სასაკლაოს მოსაწყობად 20.000 მან.), თბილისს—80.000 მან. (აბანოებისათვის), აფხაზეთს—35.000 მან. (გაგრის წყალსადენისათვის 5.000 მან., და აბანოსათვის—10.000 მან., სოხუმს აბანოსათვის—20.000 მან.). აჭარისტანს—40.000 მან. (წყალსადენის გაფართოებისათვის) სამხრეთ-ოსეთს—15.000 მან. (წყალსადენის გაფართოებისათვის).

ამასთან ერთად წინადადება მიეცა სამაზრო აღმასკომებს წარმოუდგინონ სახკომსაბჭოს სათანადო პროექტები და საბოლოო ხარჯთაღრიცხვები.

### საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი

საქართველოს მიმდინარე სამეურნეო წლის ადგილობრივი ბიუჯეტი ჯერ მტკიცეთ არ არის ჩამოყალიბებული დოტაციის (დახმარების) გამოურკვევლობის გამო.

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად, ახალციხის, გორის, თელავის, ქუთაისის; სიღნაღის და შორაპნის მაზრებისა და ქ. ფოთის ადგილობრივი ბიუჯეტები შედგენილია უდეფიციტოთ. ეს აიხსნება იმით, რომ აღნიშნულ მაზრების ფინანსიური მდგომარეობა გასულ საბიუჯეტო წლების განმავლობაში საკმაოდ გამოჯანსაღდა. ეკონომიური გაჯანსაღება მოხდა, უმთავრესად, საკუთარ საშემოსავლო წყაროების ზრდის ხარჯზე. ამიტომ მათი 1927—28 წ. ბიუჯეტი, როგორც უდეფიციტო, უკვე დამტკიცებულია.

რაც შეეხება დანარჩენ მაზრებს, საქ. ფინსახკომმა მიმდინარე სამეურნეო წლისათვის დოტაცია შემდეგნაირად გაანაწილა: ახალქალაქის მაზრას—65.000 მანეთი, დუშეთის მაზრას—150.000 მ., და 25.000 მ. ცალკე ხევსურეთში გზის გასაყვანად, ლეჩხუმის მაზრას—100.000 მ., ზუგდიდის მაზრას—110.000 მ., სენაკის მაზრას—100.000 მ., ოზურგეთის მაზრას—140.000 მ., ზემო-სვანეთს—100.000 მ., სამხრეთ-ოსეთს—175.000 მ., აჭარისტანს—65000 მ., აფხაზეთს—60.000 მ., რაჭას—155.000 მ., თბილისს და მის მაზრას 1.915.000 მ. ე. ი. გარდა თბილისისა და მისი მაზრისა, ზემოთ ჩამოთვლილ მაზრებისათვის 1927—28 წ. მისაცემი დოტაცია 1.245.000 მ. უდრის. დოტაციის ამ რაოდენობას ახლო მომავალში დაამტკიცებს საკავშირო ცაკი.

საქ. სახ. კომ. საბჭომ გარდა ფოთისა და თბილისისა, ყველა მაზრებისა და ავტონომიურ რესპუბლიკების პირველ და მეორე საფეხურის სკოლების მასწავლებელთათვის მიზნობრივი დახმარების სახით გადასდო 4.100.000 მან.

### თოფარავანის ჰიდრო ელსადგური
(სპეციალისტთა თათბირის დადგენილება)

სპეციალისტთა გაფართოებულმა თათბირმა რომელიც შესდგა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმთან თოფარავანის ჰიდრო - ელსადგურის აგების საკითხის შესახებ გამოიტანა შემდეგი დადგენილებები: სახელმწიფო ელექტრო ტრესტის კომისიის მუშაობა, სადგურის ასაშენებლად წინასწარი სამუშაოების ჩატარების საქმეში მოწონებულ იქნეს. წინასწარ გამოკვლევათა შედეგების უფრო გასაფართოებლად, რაც საჭიროა სადგურის საესკიზო გეგმის შესადგენად —საჭიროთ იქნეს ცნობილი დამატებით ჩატარდეს ჰიდრო -, ელსადგურის აგების ჰიდრომეტრიულ დარგის შესწავლა.

გარდა ამისა, თათბირს საჭიროდ მიაჩნია ახალქალაქის მაზრის სეისმოლოგიურ პირობათა შესწავლა, ვინაიდან ამ დარგში საფუძვლიანი ცნობა არ მოიპოვება, ხოლო სეისმოლოგიურ პირობათა გათვალისწინება კი აუცილებელია სადგურის სააღმშენებლო გეგმის დამუშავების დროს.

თათბირმა ამასთანავე გამოყო ცალკე კომისია, რომელშიაც შედიან ინჟ. ა.ვახილიევი, ლ. ხიზანიშვილი, ვ. კოჟევნიკოვი და ინჟ. მუსხელიშვილი. კომისიას დავალებული აქვს გამოიანგარიშოს თოფარავანის ჰიდრო-ელსადგურის დატვირთვის რაოდენობა.

### ა.-კ. კრედიტბიუროს მუშაობა
(ა.-ქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია ა.-კ. კრედიტბიუროს მუშაობა. აღასტურებს რა ერთგვარ მიღწევებს ბიუროს მუშაობაში, გამოკვლევა აღნიშნავს, რომ ბიურომ ვერ შესძლო მჭიდრო კონტაქტის შექმნა იმ სამეურნეო ორგანიზაციებთან, რომელსაც იგი ემსახურება. მაგალითად, დადასტურებულია, რომ ცნობების გაცემას შემოსულ შეკითხვებზე ბიურო დაგვიანებით აწარმოებდა როგორც თბილისის, ისე თბილისს გარეთ მყოფ ორგანიზაციების მიმართ. ეს გარემოება აიხსნება როგორც თვით კრედიტბიუროს აპარატში შექმნილ საქმის ვითარებით, აგრეთვე იმითაც, რომ ზოგიერთი ორგანიზაციები უარს აცხადებენ ბიუროს მიერ გამოთხოვილ ცნობების რეგულიარულ მიწოდებაზე. გარდა ამისა, ბიუროს არა აქვს მუდმივი მეთვალყურეობა იმ ორგანიზაციებზე მაინც, რომელთა შესახებ შეკითხვები ხშირია. მ. გ. ინსპექციამ დაავალა კრედიტბიუროს მთელი რიგ კონკრეტიულ ღონისძიებათა გატარება მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამავე დროს აღნიშნა, რომ სახელმწიფო სავაჭრო - სამრეწველო და საკრედიტო დაწესებულებები საკრედიტო ოპერაციების წარმოების დროს საკმაოდ არ იყენებენ ბიუროს მიერ მიწოდებულ ცნობებს და ზოგიერთ შემთხვევაში ყურადღებასაც არ აქცევენ ბიუროს უარყოფით შეხედულებას კერძო და შეუძლო ორგანიზაციებზე. ეს დაწესებულებები კრედიტბიუროს აპარატით არ სარგებლობენ სატრანსპორტო დოკუმენტების და გადაუხდელ სავალო პრეტენზიების განაღდების და შემოწმების საქმეში. ამ შემთხვევაში უპირატესობას აძლევენ კერძო პირებს. ითვალისწინებს რა ამ გარემოებას მ. გ. ინსპექციის კოლეგია, საკრედიტო დარიგებათა გაჯანსაღების და იმ სახელმწიფო თანხების გადარჩენის მიზნით. რომელიც განსაკუთრებით კერძო კაპიტალისათვის, კრედიტების მიწოდებას ხმარდება, სამეურნეო და სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის წესიერ ურთიერთ ანგარიშის გასწორების დაწესების მიზნით. მ. გ. ინსპექცია საჭიროდ სცნობს წინადადება მისცეს ა.-კ. ვაჭრობის სახკომს, მათ რწმუნებულთ რესპუბლიკებში და აგრეთვე რესპუბლიკანურ ს. მ. უ. საბჭოებს ურჩიონ მათ უწყებაში მყოფ სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს გახდენ კრედიტბიუროს აბონემენტები, რომლებიც ბიუროსაგან ცნობებს მიიღებენ კლიენტების კრედიტუნარიანობის შესახებ. იმავე უწყებებმა უნდა დაავალონ თავიანთ ორგანიზაციებს არ მოახდინონ კრედიტების გაცემა, თუ წინასწარ ცნობებს არ მიიღებენ საკრედიტო ბიუროდან კერძო პირების, შერეულ საქციო საზოგადოებათა, სარეწაო და სხვა ორგანიზაციათა შესახებ, გარდა ამისა ორგანიზაციები ვალდებული არიან მოთხოვნისთანავე მიაწოდონ კრედიტბიუროს ცნობები, რომელიც ახასიათებენ ზემოხსენებულ სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციების ფინანსიურ მდგომარეობას. ამ ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ აგრეთვე კრედიტბიუროს აპარატი უდავო ვალების განაღდების საქმეში.

### ბაქოს ქართული სკოლა

ბაქოში ცხოვრობს რამდენიმე ათასი ქართველი. უმეტესობა მუშა-მოსამსახურეებია. თვითმპყრობელობის დროს ქართვ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებამ ააშენა აქ სკოლა, რომელიც ომის შემდეგ უკანასკნელ წლებამდე არ მოქმედებდა. წარსული წლის მარტიდან აზერბეიჯანის და საქართველოს განათლების კომისარიატების შემწეობით ბაქოში კვლავ გაიხსნა ქართული 4 წლედი. ამ ოთხწლედში ასწავლის 6 მასწავლებელი. მუშაობა გაცხოველებით სწარმოებს. სწავლობს 120-ზე მეტი ბავშვი. უმრავლესობა ღარიბ ოჯახებიდანაა.

სწავლა ქართულ ენაზე სწარმოებს, ქართული სახელმძღვანელოებით. ამჟამად სასწავლებლით მომარაგებულია საქ. განათლების კომისარიატის მიერ. როგორც სავალდებულო საგანს, სწავლობენ თურქულ ენას. სწორედ ასევე, როგორც საქართველოს თურქულ სკოლებში გადიან ქართულს.

სკოლა როგორც გარეგნულად, ისე შიგნიდა მოწყობილობით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. ის აშენებულია ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე (თავისუფლების ქ. № 36—38). ბაღის გასწვრივ და აქვს საკმაო დიდი და სუფთა ეზო. მერხები, შკაფები და სხვა მთავარი ავეჯი სავსებით სწვდება არსებულ ოთხ ჯგუფს. ხოლო ხელსაწყობი რუქები და სხვა მრავალი საჭირო ნივთები კი აკლიათ.

დიდ დახმარებას უწევს სკოლას და ულარიბეს მოწაფეებს მშობელთა წრიდან არჩეული სკოლის დამხმარე კომიტეტი.

მოწაფეთა შორის არის პიონერორგანიზაცია, მართალია ჯერ მცირე რიცხოვანი და ცუდად მოწყობილი, მაგრამ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი გაიზრდება. ამ მხრივ მასწავლებლობა ბევრნაირად ცდილობს.

ამ სტრიქონების დამწერს მოუხდა დასახელებულ სკოლის 4-ეს ჯგუფში არითმეტიკის გაკვეთილებზე ყოფნა, სადაც ადგილი ქონდა ერთ მეტად საგულისხმო გარემოებას. ათეულობით თვლა ჩვენში დღესაც ძნელად იკიდებს ფეხს და თუ საკითხი მწვავედ არა სდგას ალბად იმიტომ, რომ ბავშვი სახლში, სკოლაში და გარეთ ოცეულებით თვლას ეჩვევა მცირე ასაკიდანვე. რაც შეეხება ბაქოში (და სხვა ადგილებში სადაც ქართ. უმცირესობას შეადგენენ) მცხოვრებ ქართველ ბავშვებს, მათ ესმით რუსული, თურქული, სომხური ლაპარაკი და ათეულობითი თვლა, ამ ენებზე და სწორედ ამით აიხსნება ის სიძნელე, რომელსაც ადგილი აქვს არითმეტიკის ქართულ გაკვეთილებზე. ნამეტნავად პირველ ორ ჯგუფში. ბავშვებს უძნელდებათ შეთვისება ოცეულობითი თვლის სისტემის. პატარა ცდა ათობითი თვლის გამოყენებისა არითმეტიკის გაკვეთილებზე სასურველად დამთავრდება: ბავშვს, რომ ჰკითხავდა მასწავლებელი, დაწერე ვთქვათ „ოთხმოცდათექვსმეტიო", ბავშვი იდგა დაფასთან და ფიქრობდა, თუ როგორ აღნიშნა ეს რიცხვი. ეტყოდა თუ არა რუსულად იგივე მოწაფე სწრაფად მოხაზავდა 96-ს. ცხადია, რომ ჩვენში რაც მეტი ხანი გადის თვლის ათეულობითი სისტემის მომხრეთა რიცხვი იზრდება და მხოლოდ უნდა გვიკვირდეს ის კონსერვატიზმი, რომელიც სრულიად უსაფუძვლოდ ელობება კარგახანია პრაქტიკით გამართლებულ ათეულობითი თვლის სისტემას ქართულ ენაზე.

ბაქოს სკოლამ კავშირი უნდა გააბას საქართველოს სკოლებთან.

**ალ. მამულაშვილი.**

### რიხტერის სადგურები

საქ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სახალხო მამულების ტრესტი სოფელ საქობოში (წნორის წყლის ახლოს) შეუდგა რიხტერის ახალ სათბური სადგურის აგებას. სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა სადგურის მოსაწყობად გამოყო 16 დესეტინა მიწა. სათბური ყოველ სეზონში დაამზადებს ნახევარ მილიონ დამყნილ ვაზს. სიღნაღის მაზრაში ახალი სადგური რიგით უკვე მეცხრეა. კახეთის ორივე მაზრაში (თელავის, სიღნაღის მაზრაში) კი ამ ახალ სადგურიანად იქნება სულ სხვადასხვა ტიპის და დატვირთვის 22 სადგური, რომელნიც ყოველ სეზონისათვის ამზადებენ ექვს მილიონ ნახევარს ამერიკულ ლერწზე დამყნილ ვაზს. დამყნილ ვაზის ნახევარზე მეტს ამზადებენ სახალხო მამულების ტრესტის სათბურებში. სანერგეების საერთო სივრცე აღემატება 160 დესეტინას.

სახალხო მამულების ტრესტს გარდა ვენახის აღსადგენად მუშაობას აწარმოებენ მევენახეთა არტელები, რომელთა რიცხვი ამ ჟამად 20 მდე აღწევს. არტელებში უმთავრესად შედის საშუალო შეძლების გლეხობა. გასულ წელს არტელების მიერ შეძენილი იქნა 10 ათასი მანეთის ამერიკული ლერწი.

### ზოოლოგიური ბაღი

ზოოლოგიურ ბაღის მოსაწყობათ დაწყებული მუშაობა დიდი წარმატებით მიმდინარეობს. დაწყებულია სხვადასხვა ჯიშის ცხოველებისათვის შესაფერი ბუნაგების, ტბების და გორების მოწყობა. ახლო ხანში სავსებით დამთავრდება ბაღის ერთი ნაწილის მოწყობა ამიერ - კავკასიის ჯიშის ცხოველებისათვის. ამ ნაწილის გახსნა მოხდება მაისში. აგრეთვე ეწყობა ცხოველთა დროებითი თავშესაფარები ბაღისათვის უკვე შეძენილია: ბაქოში — ჯეირნები, ცხინვალში — ირმები, განჯაში—აფთარები.

უკვე მიღებულია ზომები და ბაღის მოწყობისთანავე ჩამოყვანილი იქნება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან და საზღვარგარეთიდან: დათვები, მგლები, ლომები, ვეფხვები, სპილოები, გველები; აფრიკის ცხოველები, ზღვის შესანიშნავი ცხოველები, მაიმუნები და იშვიათი ჯიშის ფრინველები, აგრეთვე დამთავრებულია მოლაპარაკება უკრაინის არამტაცებელ გარეულ ცხოველების ფერმა „ასკანიანოვი"-დან ცხოველების შესაძენად.

ბაღის მოწყობა დავალებული აქვს არქიტექტორ კალკინს. ბაღის დირექტორათ დაინიშნა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ლექტორი ბარკოვი.

გენერალური გეგმით ბაღის მოწყობა დაჯდება 900.000 მანეთი, აქედან ბაღის მოწყობაზე წელს დაიხარჯება 100.000 მანეთი.

ბაღის საჭიროებისათვის განათლების სახ. კომისარიატი წელს გაიღებს 20.000 მანეთს, მონადირეთა კავშირი 5000 მანეთს. თბილისის აღმასკომმა უკვე გაიღო 50.000 მანეთი.

ამავე მიზნით წელს მიწსახკომი გადადებს საგრძნობ თანხას. მონადირეთა კავშირმა ბაღის მომწყობ კომიტეტს აღუთქვა გარეულ ცხოველებისა და ფრინველების დაჭერა და მიწოდება.

თბილისის ზოოლოგიური ბაღის სავსებით დამთავრება განზრახულია უახლოეს 3 წლის განმავლობაში.

### ბრძოლა ტრავმატიზმთან

ტრავმატიზმის შესასწავლად და მასთან ბრძოლის მიზნით, შრომის სახ. კომისარიატის მიერ დაარსებულია სპეციალური კომისიები — თბილისში შრომის სახ. კომისარიატის, შრომის დაცვის, უფროს სანიტ ინსპექტორის, უფროს ტეხნ. ინსპექტორის, სოც. დაზღვევის კომიტეტის, პროფკავშირთა საბჭოს, სმუსის, ჯანსახკომის; მუშათა და გლეხთა ინსპექციის, შრომის საქმეთა პროკურორის, ქალაქის აღმასკომის და ტეხნიკურძალთა წარმომადგენლების შემადგენლობით; ბათომში, სოხუმში, ტყიბულში, ჭიათურაში; ბორჯომში და ქუთაისში ადგილობრივ პროფბიუროების, სამაზრო აღმასკომის, შრომის პროკურატურის, შრომის ინსპექტორის და ტეხნიკურ ძალთა წარმომადგენლების შემადგენლობით. როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში კომისიების თავმჯდომარეებათ გამოყოფილი არიან შრ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების წარმომადგენლები.

### აფხაზეთის გზატკეცილები
#### გზატკეცილის კაპიტალურად შეკეთებისათვის გადადებულია 500.000 მან.

აფხაზეთის გზატკეცილის (სოხუმი - ოჩემჩირე-გაგრა, მანძილი — 200 კილომეტრი) აღსადგენად ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრალურმა სამმართველომ ამას წინად გადასდო 350.000 მანეთი. გუშინ საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველომ მიიღო ცნობა, რომ ცენტრალურ სამმართველოს, გარდა აღნიშნული თანხისა, ამავე მიზნით გადაუდვია დამატებით კიდევ 100.000 მანეთი.

თავის მხრივ აფხაზეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს — 50.000 მანეთად ღირებული სამუშაოს თავის თავზე მიღება.

ამგვარად გზის შეკეთება-აღდგენაზე უნდა დახარჯოს სულ 500.000 მანეთი.

როგორც საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოში აცნობეს ჩვენს თანამშრომელს, წრევანდელ სააღმშენებლო სეზონში შესრულებული იქნება შემდეგი სამუშაოები: მდ. კოდორზე არსებულ რკინის ხიდს მიემატება ერთი, — 32 მეტრიანი მანძილი. სოხუმის ახლოს, მდ. ძიკუტაზე აშენდება ახალი რკინა - ბეტონის ხიდი — 25 მეტრის სიგრძისა. მდ. გუმისტაზე, მდინარის არსებულ ხიდების ქვეშ მოსაქცევად აშენდება — 150 მეტრის სიგრძის გაბიონის დამბები. დანარჩენ შვიდ მდინარეზე აშენდება ახალი ხის ხიდები საერთო სიგრძით 361 მეტრი.

გაგრაში გზის ზედაპირი ერთი კილომეტრის მანძილზე გაკეთდება ახალი წესით— გუდრონით ან ბიტუმით, რადგან ეს ადგილი საგარაკოა და ამ წესით გზის ზედაპირის გაკეთება მოსპობს მტვერს.

კაპიტალურად იქნება აღდგენილი გზის უფრო საგრძნობლად დაზიანებული ადგილები—20 კილომეტრის მანძილზე.

თუ ამინდებმა არ შეუშალა ხელი მუშაობა გზაზე ამ მოკლე ხანში დაიწყება.

### წერა-კითხვის უცოდინარობა მცირდება

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ ჩამორჩენილ სოფლებში დაარსებულია წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევენ სამაზრო-საპოლიტგანმანათლებლო ორგანოები და ადგილობრივი თემსაბჭოები.

ზოგიერთ პროვინციებში, წერა-კითხვის უცოდინარობის ნაწილობრივად ლიკვიდაციის გამო, ასეთი პუნქტების რაოდენობა თანდათან შემცირდა უკანასკნელ ხანებში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ—თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და ახალციხის მაზრას, წერა-კითხვის უცოდინარობის შემცირებას განსაკუთრებით დიდი ზრდა ეტყობა აღმოსავლეთ საქართველოში. სანიმუშოდ შეგვიძლია ავიღოთ თბილისის მაზრა.

1926 წელს თბილისის მაზრაში არსებობდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 181 სკოლა და მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო 79 სკოლა. წლის განმავლობაში ეს სკოლები დაამთავრა 6952 კაცმა. დამთავრებულთა ორმესამედი მოდის მაზრაზე.

1927 წელს საქართველოს მთავარ პოლიტგანის ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებდა წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო 183 სკოლის გახსნას. წლის განმავლობაში გახსნილი იქნა მხოლოდ 149 სკოლა. სამაგიეროდ გაცილებით მეტი მოთხოვნილება იყო მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებზე ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ასეთი სკოლები მაზრაში უნდა გახსნილიყო 13-მდე. მაგრამ ზოგიერთ თემების მოთხოვნილების გამო, საქართველოს მთავარ პოლიტგანმა გაადიდა ასეთი სკოლების რიცხვი.

როგორც მოსახლეობის [illegible] გვიჩვენა, წერა-კითხვის უცოდინართა უმრავლესობა [illegible] საქართველოს პოლიტგანმა ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და მთელ რიგ სოფლებში გახსნა წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები ქალთათვის. რაც შეეხება 30—35—40 წლიანებს, მათი სკოლაში ჩაბმა მეტად საძნელო ხდება, რის გამო პოლიტგანმა გასულ წელს შემცირა ასაკი ხსენებულ სკოლათა მსმენელთათვის და ნაცვლად 40 წლიდან 18 წლამდის დაუშვა 36 წლიდან 16-მდის. გარდა ამისა, ახალგაზრდობისათვის ცალკე სკოლებიც იყო მოწყობილი, რათა ხანში შესულებს უფრო დაურიდებლად ემეცადინათ თავიანთ ტოლებთან.

ვინაიდან, წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები თავისი სწავლის ხანგრძლივობით (სამი თვე) ვერ აკმაყოფილებდენ ნორმალურ მოთხოვნილებას, ხოლო მცირე მცოდნეობის სკოლები კი თავისი ხანგრძლივობით (6 თვე) შეუფერებელი იყო გლეხობისათვის, საქართველოს მთავარ პოლიტგანმა ორივე ტიპის სკოლათა სამეცადინო ვადათ 1927 23 წლისათვის დააწესა ოთხი თვე. ამავე დროს მცირე მცოდნეობის სკოლათა რიცხვი გაადიდა 35-მდე.

რაც შეეხება ქალაქს, აქ ორივე სკოლების ტიპი უცვლელად არის დატოვებული.

### დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების გამოკვლევა

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის გეგმათა გარეშე ინსპექცია უახლოეს დღეებში შეუდგება დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების დეტალურ გამოკვლევას ამიერ-კავკასიაში; გამოკვლევის მიზანია ღონისძიებების გამომუშავება მათ მოსაწესრიგებლად.

გამოკვლევა შეეხება აპარატს, რომელიც განაგებს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებს; გამოკვლევის დროს მთავარი ყურადღება მიექცევა ხელმძღვანელ პერსონალის კვალიფიკაციის საკითხის შესწავლას, აპარატის ცალკე ნაწილების ურთიერთობას, ურთიერთობას პროფორგანიზაციებთან და კლიენტურასთან, აღრიცხვის საქმის დაყენებას და სხვა, და აგრეთვე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებს მთლიანად.

ამასთანავე გამოკვლევის პროცესში შემოწმებული იქნება დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების შემოსავალი და გასავალი.

გამოკვლევა შეეხება „ზაკპოგრუზ"-ის ბაქოს, ბათომის და ფოთის განყოფილებებს, საბჭოთა სავაჭრო ფლოტს, კასპიის ზღვის სანაოსნო საზოგადოებას და ამიერ-კავკასიის რკინისგზებს (უმთავრესად მთავარ სადგურებს—ბაქოს, თბილისს, ბათომს; ნავთლუღს; ევლახს; განჯას; ფოთს და ლენინაკანს).

### ღვინის დამზადება

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია ახლო ხანში შეუდგება ღვინის დამზადების, გაგზავნის და გასაღების საქმის გამოკვლევას; გამოკვლევის მიზანია ღვინის დამამზადებელ და ღვინით მოვაჭრე ორგანიზაციების რიცხვის შემცირება და მათი აპარატის გამარტივება, ღვინის მომხმარებლისათვის დაჩქარებით მიწოდება და იმ ხარჯების შემცირება, რომლებიც აძვირებენ ღვინოს.

ამისდამიხედვით გამოკვლევის ამოცანას შეადგენს ღვინის დამზადების საკითხების შესწავლა ღვინის დამზადების მოწესრიგების და ღვინის დამამზადებელ ორგანიზაციების ხარჯების შემცირების თვალსაზრისით; ამას გარდა გამოკვლევის დროს შესწავლილი იქნება ღვინის რეალიზაციის საკითხები, რისთვისაც გათვალისწინებული იქნება საერთო-საორგანიზაციო მომენტები, რეალიზაციის და აპარატის ხარჯები და სამომხმარებლო კოოპერაციის ხარჯები, დაკავშირებული ღვინით ვაჭრობასთან.

გამოკვლევა შეეხება „საქართველოს ღვინო"-ს, „აზერბეიჯანის ღვინო"-ს, სომხეთის მეხილეობის კავშირს, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატებს, სასოფლო-სამეურნეო ტრესტებს, რესპუბლიკანურ სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოებს, 3—4 საკრედიტო ამხანაგობის და პირველი საფეხურის კოოპერატივებს.

### კანის სნეულებანი

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ჯანმრთელობის განყოფილების მიერ წამოყენებული საკითხი კანის სნეულებათა წინაამდეგ ბრძოლის შესახებ და დაადგინა თბილისის ყველა აბანოებში შემოღებული იქნას სტერელიზაცია ქმნილი ქისები (ხელთათმანები), ზეწრები, პირსახოცები და სხ.

ამავე დადგენილებით მექისეებს სასტიკად ეკრძალებათ ნახმარი, ან საკუთარი ქისების გამოყენება.

კომუნალურ განყოფილებას დაევალა მიიღოს ზომები, რათა სტერელიზაცია ქმნილ ქისებისა და ზეწრების შემოღებამ არ გამოიწვიოს ზედმეტი ხარჯები, როგორც აღმასკომის, ისე მობანავეთა საზიანოდ.

აღმასკომის დადგენილებითვე სისტემატიურად იწარმოებს აბანოების დეზინფექცია და მიღებული იქნება მკაცრი ზომები სანიტარული პირობების დასაცავად.

აგრეთვე განზრახულია შემოღებული იქნას სანიტარული მეთვალყურეობა მობანავეებზე, რათა კანის ამა თუ იმ სახის სენით დაავადებულს არ მიეცეს ბანაობის საშუალება.

სტერილიზაცია ქმნილი ქისა ეღირება 10 კაპეიკი.

### რძის გადასამუშავებელი ქარხანა

თბილისის მაზრაში მოსახლეობის დიდი ნაწილი მისდევს მერძეობას, მაგრამ სათანადო ქარხნის უქონლობის გამო რძის ნაწარმოებთა დამზადება სწარმოებს შინაურული წესით, რაც გავლენას ახდენს რძის პროდუქტების ღირსებაზე, და ამავე დროს მერძევე გლეხებიც ზარალობენ მათზე მცირე ფასების გამო.

მიიღო რა ეს მხედველობაში თბილისის აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ, გადასწყვიტა თბილისის მაზრის ერთ-ერთ მერძეობის ცენტრში ააგოს რძის ნაწარმოების დამამზადებელი ქარხანა.

ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ საგეგმო კომისიასთან ერთად შეიმუშავა აღნიშნულ ქარხნის აგების პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს.

თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ეს პროექტი და დაადგინა რძის ნაწარმოების დამამზადებელი ქარხანა ააგოს სოფ. კუშიაში (წალკის რაიონია). ქარხანა აგებული იქნება იმ გეგმით, რომ მან შესძლოს ყოველწლიურად გადაამუშაოს 100 000 ფუთი რძე. პირველ ხანებში კი ქარხანა დაამზადებს 55 ათას ფუთს რძის ნაწარმოებს.

ახლო-მახლო სოფლებში დაარსებული იქნება ქარხნისათვის რძის შემსყიდველი პუნქტები, რათა მერძევე გლეხებს არ გაუჭირდეთ ქარხნისათვის რძის მიწოდება.

ქარხანა აგებული იქნება ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევის მიხედვით. ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობის ნაწილი შეძენილი იქნება საზღვარგარეთ, ნაწილი საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში.

საგეგმო კომისიას დაევალა შეადგინოს გეგმა აღნიშნულ სოფელში ქარხნისათვის წყალსადენის გამოსაყვანად. ამავე წყალსადენით ისარგებლებენ მცხოვრებლებიც.

შემდეგში ქარხნის მუშაობის გასაფართოებლად ქარხანასთან, ან მახლობელ სოფელში მოეწყობა მერძეობის ფერმა.

ასეთივე პატარა ქარხნის აგება განზრახულია სოფ. ბეშთაშენში.

### მოხსენება ნორმალური კვების შესახებ

გუშინ საღამოს, მუშათა ცენტრალურ კლუბში პროფ. ამირაჯიბმა გააკეთა მოხსენება ნორმალური კვების შესახებ.

კვება ერთი მთავარი წყაროთაგანია, რომლითაც სხეული ავსებს დახარჯულ ენერგიას— განაცხადა მომხსენებელმა. ნორმალურ კვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის არსებობისათვის. იმ ენერგიის შესავსებად, რომელსაც ადამიანი ხარჯავს ამა თუ იმ მუშაობის დროს, საჭიროა საჭმლის შემადგენლობა ისე იყოს შეზავებული, რომ მასში შედიოდეს ძირითადი საკვები ნივთიერებანი: ცილი, ცხიმები და ნახშირწყლები. ცხიმები არის მასალა, რომლითაც შენდება მთელი სხეული და მისი თვითეული ცალკე უჯრედი. ნახშირწყლები უმთავრესად ფიზიკურ ენერგიის მომცემი წყაროა. ხოლო ცილი—მთელი სხეულის სააღმშენებლო მასალაა. წყალი და მარილები დიდ მონაწილეობას იღებენ სხეულის აგებაში და მისი ფუნქციების ნორმალურ მიმდინარეობაში. ამრიგად, რაციონალური კვებისათვის საჭიროა ამ მნიშვნელოვან საკვებ ნივთიერებათა შეზავება ჩვენს საკვებში.

საკვებ ნივთიერებათა დაფასებისათვის საზომ ერთეულად მიღებულია კალორია, რომელიც წარმოადგენს იმ სითბოს რაოდენობას, რაც საჭიროა ერთ ლიტრ წყალის გასათბობად ერთ გრადუსამდე. ადამიანის ნორმალურ კვებისათვის კალორიათა საშუალო რაოდენობა უნდა უდრიდეს 3.000. კალორიების მოთხოვნილება დამოკიდებულია შრომის პირობებზე, ადამიანის წონაზე და მის აგებულობაზე. გონებრივად მომუშავეთათვის საჭიროა, რომ მის საკვებში შედიოდეს—2.300—3.000 კალორია, ხოლო ფიზიკურად მომუშავეთათვის კი 3.000—5000 კალორიამდე.

ამრიგად, ამბობს მომხსენებელი,—ჩვენი საკვები ისე უნდა შევუფარდოთ შრომის პირობებს, რომ ნორმალურ კვებას არ ავცდეთ და არ გამოვიწვიოთ დაავადება. ყოველ საკვებ მასალას აქვს კალორიათა განსაზღვრული რაოდენობა (200 გრამი ხორცი იძლევა 230 კალორიას, 50 გრამი კარაქი იძლევა 170 კალორიას, ერთი გირვანქა პური 1.031 კალორიას).

საკვებში შედის აგრეთვე ნივთიერება—„ვიტამინები", რომლებიც ხელს უწყობენ საჭმლის ნორმალურ შეთვისებას და გამოყენებას. ვიტამინების ნაკლებობა იწვევს სხეულის ნორმალურ მდგომარეობის მოშლას და ავადმყოფობას, როგორიც არის: ზრდის ჩამორჩენა, ძვლების, ნერვებისა და სისხლის მილების დაავადება. ვიტამინები უხვად არიან ხილეულობაში და ბოსტნეულობაში, საიდანაც სხეული ითვისებს მათ.

პროფ. ამირაჯიბის მოხსენებამ აზრთა დიდი გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. დისპუტში მონაწილეობა მიიღეს ექ. ცქიმანაურმა, ზუნტურიძემ, კონზერმა, სკოროდუმოვმა და სხვებმა.

დისპუტზე გამოვიდა აგრეთვე მუშკოოპის წარმომადგენელი ამხ. მარკოზოვი, რომელიც შეეხო წითელი სასადილოების მუშაობას კვების რაციონალიზაციის საქმეში.

დისპუტმა დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე მუშებში. ამიტომ პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს კიდევ რამოდენიმე ასეთი მოხსენება.

---

მუშათა ს.-სახლის დ.-დ დარბაზში
პარასკევს, 13 იანვარს, საღამოს 7 საათზე
— გაიხსნება —

## საქართ. პროლეტარულ მწერალთ.
## მეორე ყრილობა

დღის წესრიგი:

1. კულტურული რევოლუცია და სოციალისტური აღმშენებლობა მომხსენებელი ა-ხ. მიხ. კახიანი.
2. საქ. პრ. მწერალთა ასოციაციის გამგეობის ანგარიში მომხსენებელი ა-ხ. ბენ ბუაჩიძე.
3. პროლეტარულ მწერლობის შემოქმედებითი-მხატვრული პლატფორმის შესახებ მომხ. ა-ხ ამხ. დ. რონდელი და შ. რადიანი.
4. ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა გაერთიანების შესახ. მომხსენებელი ა ვართანიანი.
5. არჩევნები.

ნ. 474 პროლ.-ტ. მწერალთა ასოციაციის გამგეობის სამდივნო.

# ქრონიკა

### შინაგან საქმეთა კომისარიატის განცხადება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი აცხადებს ყველა იმ საზოგადოებათა საყურადღებოთ, რომლებიც არ აწარმოებენ კომერციულ საქმიანობას და რომელთა მიზანს არ შეადგენს მოგება (კულტურული ხასიათის, რელიგიური საზოგადოებები, ასოციაციები და სხვ.), რომ აღნიშნულ საზოგადოებათა ხელახალი რეგისტრაცია გაგრძელდება კიდევ ერთი კვირის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ყველა ის საზოგადოებები, რომლებიც არ გატარდებიან აღრიცხვაზე გაუქმდებიან ავტომატიურად.

საზოგადოებათა რეგისტრაცია იწარმოების გაზ. „კომუნისტში" (№ 295, 28 დეკემ. თარიღით) გამოქვეყნებულ სავალდებულო დადგენილების თანახმად.

### სასოფლო ვაჭრობის გამოკვლევა

საკავშირო ვაჭრობის კომისარიატის დავალებით, საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ჩაატარა სასოფლო ვაჭრობის შერჩევით გამოკვლევა. გამოკვლეულ იქნა თითეულ ორგანიზაციის საშუალო ბრუნვის რაოდენობა, საბრუნავ თანხების გადატრიალების სისწრაფე, დაგროვებათა რაოდენობა, კერძო კაპიტალის ხვედრითი წონა სასოფლო ვაჭრობაში და სხვ.

### შეკვეთები ლითონტრესტს

საზოგადოება „საქართველოს მარგანეცმა" ხელშეკრულება დასდო ლითონის ტრესტთან, რომლის ძალით უკანასკნელმა უნდა დაამზადოს რკინის რთული კონსტრუქციები საზოგადოების მიერ ახლად დაწყებულ სამუშაოებისათვის. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია 400.000 მანეთის ლითონის პროდუქციის დამზადება.

საზოგადოება „საქ. მარგანეცი" ლითონტრესტის მიერ დამზადებულ მოწყობილობას გამოიყენებს როგორც ჭიათურაში დაწყებულ ახალი მშენებლობისათვის, ისე ფოთის ნავთსადგურის გასაფართოვებლად.

### ვენეროლოგების კონფერენცია

ჯანსახკომის დადგენილებით, სრ. საქართველოს ვენეროლოგთა კონფერენცია გაიხსნება ქალ. ბათომში, იანვრის ბოლო რიცხვებში.

### საექსპორტო თათბირები

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის ცნობით, ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში ჩამოყალიბდა და მუშაობას შეუდგა საექსპორტო თათბირები.

საქართველოს საექსპორტო თათბირის თავმჯდომარეთ დანიშნულია საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლ. ქართველიშვილი აზერბეიჯანში — ამხ. მუსაბეკოვი და სომხეთში ამხ. ამბარცუმიანი.

### გადასვლა ზაჰესის ენერგიაზე

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა ტრესტების რომელთაც უკვე მიიღეს მოწყობილობები ზაჰესის ენერგიაზე გადასასვლელად, დაჩქარებით შეუდგენ ენერგიის მიმღებ მოწყობილობათა დადგმას. იმ ტრესტებმა და წარმოებებმა, სადაც მოწყობილობანი დიდი ხნის მიღებული აქვთ, ზაჰესის ენერგიაზე გადასასვლელი მუშაობა უნდა დაასრულონ უახლოეს ხანში.

### ექიმთა სახლი

ექიმთა შორის კულტმუშაობის გაძლიერებისა და ექიმთა მეტი ნაწილის პროფმუშაობაში ჩაბმის მიზნით მედსანშრომის პროფკავშირის ც. გამგეობამ და ექიმთა სექციამ განიზრახეს გახსნან თბილისში ექიმთა სახლი, რომლის საორგანიზაციო კომიტეტში არჩეულ არიან შემდეგ პირები:

1) დალი(ო) სუხიშვილი (თავმჯდ.) 2) ქურულიშვილი, 3) ივანოვ - კავკასიელი, 4) ბოლქვაძე, 5) ავაკოვი, 6) ქუჩაიძე, 7) ჯიჯაძე, 8) მამულია, 9) ფანცხავა, 10) სტეფანოვი, 11) ურუშაძე, 12) აბაკელია, 13) სოსიანი, 14) სახისტრიანკი, 15) არუშანოვი და 16) პროფ. გამბარაშვილი.

### ნაოსნობა მდ. რიონზე

ამ.-კავკ. რკ. გზების სამმართველოში მიღებულ ცნობით, კრასნოდარიდან ფოთში რკინის გზით გამოგზავნილია ბარჟა, რომელიც იმუშავებს მდ. რიონზე.

ბარჟა დატვირთულია სამ ღია ბაქანზე.

რკინის გზების მიერ მიღებულია ზომები, რომ ბარჟა კარგად იქნას ჩატანილი ფოთში. მატარებლები, რომელთაც მიუბამენ ბარჟით დატვირთულ ბაქანებს, გზაში ივლიან 20 კილომეტრის სისწრაფით საათში, ხოლო სადგურების ხაზებზე სისწრაფე შემცირდება 10 კილომეტრამდე.

მთელ მანძილზე ბარჟით დატვირთულ ბაქნებს მატარებლებს მიუბამენ მხოლოდ ბოლოში.

### დისციპლინარული სასჯელი

წარმოების მუშა-მოსამსახურის მიერ თავის საწარმოში პირველათ ჩადენილ წვრილ ქურდობისათვის (თუ მოპარული საგნის ღირებულება არ აღემატება 15 მანეთს) შრომის და იუსტიციის სახალხო კომისარიატების მიერ დაწესებულია შემდეგი დისციპლინარული სასჯელი: 1) შენიშვნის გამოცხადება ამქარში ან მთელ ქარხანაში; 2) სატარიფო კატეგორიის დაწევა და 3) უფრო დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება.

ადმინისტრატიული სასჯელის დადება ევალება საწარმოს ადმინისტრაციას, რომელმაც სასჯელი უნდა შეარჩიოს დანაშაულის სიმძიმის მიხედვით.

### თბ. აღმასკომში

◆ **თბ. აღმასკომის პლენუმი,** რომელიც უნდა შემდგარიყო 9 იანვარს, შესდგება 16 იანვარს.

◆ **დახმარება.** არტაანის თემაღმასკომს თემის საჭიროებისათვის გადაეცა 500 მანეთი.

### სხვადასხვა

◆ **მუნიციპალურ მუზეუმში** ამ დღეებში მოეწყობა ახალი გამოფენა, რის გამო მუზეუმი დახურულია დროებით.

◆ **„სოფლის მეურნეობა".** გამოვიდა და იყიდება ჟურნალ „სოფლის მეურნეობა"-ს № 5—6. ჟურნალი ღირს 80 კაპ.

◆ **„კარლ მარქსი პირად ცხოვრებაში".** რედაქციამ მიიღო წიგნი „კარლ მარქსი პირად ცხოვრებაში", გამოცემა „შრომა"-სი, წიგნი შეიცავს 226 გვერდს და ღირს 1 მან. 50 კაპ.

◆ **საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** პარასკევს 13 იანვარს, სალ. 7 ს. საქ. მუზეუმში შესდგება საზ-ბის ჩვეულებრივი კრება. მოხსენება **ალ. ბარამიძისა:** ალექსანდრიანის ქართული ვერსია (პეტრე ჩხატარაისძე და მისი ლიტერატურული შემოქმედება)". კრება საჯაროა.

◆ **სტუდენტების ექსკურსია.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ფიზიატრო - კურორტოლოგიის კათედრა ა.-წ. იანვრის 14-დან სამეცნიერო მიზნით აწყობს ექსკურსიას მე-4, 5 და 6 კურსის სტუდენტებისათვის შავი ზღვის ნაპირებზე მდებარე კურორტების შესასწავლად.

### ხელოვნების ქრონიკა

◆ **„არწივთა აჯანყება"** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება პრემიერა: „არწივთა აჯანყება".

◆ **რუსთაველის თეატრში.** დღეს გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.

◆ **მუშათა თეატრში** რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „ბ-ნ კიურეს სელობა".

◆ **მუშათა აჭ. კლუბში** დღეს ადგ. დრამწრის მიერ წარმოდგენილი იქნება „გუშინდელნი".

◆ **შაბათს, 14 იანვარს,** თბილისის მუშათა თეატრში პირველად ამ სეზონში მიდის პიესა „რაც გინახავს, ველარ ნახავ". დადგმა: შ. ჭიაურელის.

## რკინის გზაზე

### კატასტროფა ბაქოს ხაზზე

12 იანვარს ღამის ორ-ნახევარ საათზე სადგურ კაურაქჩაიში (ბაქოს ხაზზე), ადგილი ქონდა კატასტროფას, ორთქლმავლის მუშა მატარებელზე დაჯახების გამო.

კატასტროფა შემდეგ პირობებში მოხდა: სადგ. კაურაქჩაიში იდგა სამარქაფო ორთქლმავალი, რომელიც უნდა წასულიყო ევლახში. მემანქანე ზეთავდა ორთქლმავალს. გაათავა რა მან ეს საქმე, თვითნებურად, საგზაო საბუთის მიუღებლად დაიძრა სადგურიდან — ევლახისაკენ. ამ დროს საწინააღმდეგო მიმართულებიდან მოდიოდა მუშა-მატარებელი № 672 ორთქლმავალი მიახლოვებული არ იყო სადგ. კაურაქჩაის გასასვლელ სემაფორიდან, რომ მოუსწრო მუშა მატარებელმაც. ორთქლმავალი დაეჯახა მატარებელს.

დაჯახების გამო ორთავე ორთქლმავლის ტენდერები (უკანა ნაწილი) გადავარდნენ ლიანდაგიდან. მუშა - მატარებლის ორთქლმავალს გაუჩრიდა ცილინდრი. დაიმსხვრა რვა ღია ვაგონი. ხაზი დაზიანდა ასი მეტრის მანძილზე.

მსხვერპლი

კატასტროფის დროს დაშავდა შვიდი კაცი, მათგან —ხუთი — მძიმედ.

მძიმედ დაშავდნენ: მუშა მატ. № 762-ს მემანქანე **აგალაროვი** რომელსაც მოსტყდა ფეხი და დაეწვა ორთავე ხელი; მისი თანაშემწე — **კოჟუკოვი** — მძიმედ დაიჭრა თავში; მატ. № 762-ს ათის თავი **ალი-ზადემ** — მიიღო ტანის მძიმე ჭრილობები და კონდუქტორები— **გახან იუსუფი და ასლანოვი** —დაიჭრნენ მძიმედ.

მსუბუქად დაშავდნენ: სამარქაფო ორთქლმავლის მემანქანის თანაშემწე — **პოდსტანიცკი** და მატ. № 762-ს უფროსი კონდუქტორი—**ზაიცევი.**

დაშავებულებს აღმოუჩინეს საჭირო საექიმო დახმარება.

### მოძრაობა შეფერხდა

კატასტროფის გამო მატარებლების მოძრაობა შესწყდა განჯიდან და ევლახიდან შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებლები, რომლებიც შეუდგნენ მოსავლელ ხაზის დაგებას. დროებითი მოძრაობა აღდგენილ იქნა მოსავლელ ხაზით 12 იანვარს დღის 11 საათზე და 25 წუთზე.

მიზეზებს იკვლევენ.

### ამხ. პოლუიანის ჩამოსვლა

ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. **ი. პოლუიანი.**

### ბათომის ხაზის გასამაგრებლად

ბათომის უბანზე დაიწყო მიწის სამუშაოები რკინის გზის ხაზის და დროებით ხიდების გასამაგრებლად.

### ახალი სახალხო ვაგონები

როსტოვის რკინის გზის სახელოსნოებმა გამოუშვა ხუთი ახალი სახალხო ვაგონი. ვაგონები დამზადებულია ა.-კ. რკ. გზებისათვის ვაგონებს მისაღებად ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ როსტოვში გაგზავნა თავის წარმომადგენელი.

# სასამართლო

### ცოლის მოკვლა

ემანუილ კენიგი ზის საბრალმდებლო სკამზე და ნაღვლიანი სახით ათვალიერებს დამსწრე საზოგადოებას.

რა ჩაიდინა მან?

საბრალმდებლო ოქმი შემდეგს გვიამბობს:

ემანუილ კენიგს ცოლად გაჰყვა ლიდია კრამერი, რომელმაც კენიგის გულისათვის მიატოვა თავისი პირველი ქმარი.

პირველი სამი თვე თანხმობით ცხოვრობდნენ ახალშეუღლებულები, მაგრამ მალე იჭვიანობის ჭია დაეუფლა კენიგის გულს. დაუდეგარი ყოფაქცევის იყო მისი ცოლი.

მოუვიდოდა, თუ არა რაიმე უთანხმოება ოჯახში, ქალი მიიკაზმებოდა, გავიდოდა სახლიდან და ორი-სამი დღის შემდეგ დაბრუნდებოდა.

კენიგი დაეხეტებოდა მარტო და დაეძებდა ცოლის კვალს.

ბოლოს კენიგი დარწმუნდა, რომ ლიდია დადიოდა თავის პირველ ქმართან.

დაიწყო სოფელში მითქმა-მოთქმა ლიდიის ცუდი ყოფაქცევის შესახებ.

კენიგმა გადასწყვიტა თავის ცოლთან ერთად სხვა სოფელში გადასახლება. ქალმაც თანხმობა განაცხადა.

კენიგმა დაიწყო მზადება გადასასახლებლად.

გაყიდა თავისი სახლი და ყველაფერი, რისი გადატანაც არ შეიძლებოდა. იყიდა სამოსახლო ყარაიაში და დაიწყო ბარგის გადაზიდვა. როცა უკანასკნელი ურემი დატვირთა, კენიგმა გადახედა თავის ცოლს და გაკვირვებული დარჩა, რადგან ქალი არავითარ სამზადისში არ იყო წასასვლელად.

— წავიდეთ, გენაცვალე, ყველაფერი მზად არის, ჩაიცვი ტანზე,—ალერსით ეუბნება ქმარი.

ნურას უკაცრავად, მე ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან. სადაც გინდა, იქ მიბრძანდით..

— ადამიანო, განა შენ არ განაცხადე თანხმობა? ოჯახი გავაპარტახე, ყველაფერი გავყიდე და ეხლა უარს ამბობ?

— არავითარ შემთხვევაში, სულ ტყუილი იმედია.. მე შენთან არ მოვდივარ..:

ქალმა შეაბრუნა პირი ქმარს და შევიდა სახლში.

რა ექნა კენიგს აღარ იცოდა. იფიქრა, იფიქრა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქალი რჩება იმ მიზნით, რათა პირველ ქმართან აღადგინოს კავშირი.

უკვე დაღამდა. ცოლ-ქმარი მარტო არის ოთახში. გართულია დაუსრულებელი დავა. ცოლი ჯიუტობს ისევ. კატეგორიულ უარს ამბობს ყარაიაში გადასახლებაზე.

კენიგმა დაჰკარგა სულის სიმშვიდე. დასტაცა ხელი დანას და სამჯერ გამოუსვა ყელში ქალს. ქალი იქვე დაეცა უსულოდ.

კენიგმა დასტოვა სახლში მოკლულის გვამი, დაკეტა კარები და გადავიდა მეზობელთან.

— ჩემი ცოლი ხომ არ დაგინახავთ?. არ ვიცი სად არის... დაიგვიანა ამ საღამოს.—

— ჩაურია ლაპარაკში კენიგმა, რომელსაც სურდა ეჭვი არავის აეღო.

შუა-ღამეზე, როცა მეზობლებს ეძინათ. კენიგმა გამოიტანა ცოლის გვამი, დასდო ურემზე და წაიღო ტყეში, სადაც მივარდნილ ადგილს გათხარა მიწა და ჩამარხა.

ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად, კენიგი მეორე დღესაც დადიოდა მეზობლებში და „ეძებდა" თავის ცოლს.

ბოროტმოქმედებს კვალი არ დაიმალა. კენიგი დააპატიმრეს.

საქმე გუშინ გაარჩია თბილისის მაზრის სასამართლომ ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით.

**ემანუილ კენიგს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით.** როგორც პასუხისგებაში პირველად ყოფილს, სასჯელი შეუმცირდა 5 წლამდე. ამნისტიის ძალით დარჩენილი სასჯელი მსჯავრდადებულს გაუნახევრდა.

**გერ.**

### წამლის მაგიერ სტრიხნინი

— დალიე, შვილო, წამალია... მოგიხდება სულიკო. მალე ადგები. მერე წავიდეთ, კასრიონოთ, დედოფალებს გიყიდი. ააღე პირი. ტკბილია ნინიკო,—ელაპარაკება დედა თავის პაწაწა 4 წლის გოგონას, რომელიც ახლოს აიკარებს „წამალს".

— ალ მინდა, დედი, მე ისედაც მოვრჩები მე ვიცი, მაგი მწარე წამალია, ალ დავლევ

დედამ როგორც იქნა დიდი „ქრთამით" დაპირებით გაუღო პირი ბავშს და ერთი ფხვნილი გადააყლაპვია.

„წამლის" მიღებისთანავე ბავშს დაეტყო ხელების და ფეხების კრუნჩხვა, გაუშეშდა [illegible] და რამოდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალა.

დაიწყეს ბავშის სიკვდილის მიზეზების გამორკვევა. და დადასტურდა ასეთი აღმაშფოთებელი შემთხვევა:

ექიმ **დოქტორსკაიას** (ბათომში) მოქ. აპოლონ ჯიბუტის ოთხი წლის ბავშისათვის გამოუწერია 6 ფხვნილი „სანტონინი" რეცეპტი წარუდგენიათ ბათომის მე-5-ე საბჭოთა აფთიაქში. ფარმაცევტებს სანტონინის მაგიერ გაუმზადებიათ „სტრიხნინი"—6 ფხვნილი.

დედამ ბავშს ექიმის დარიგების მიხედვით მალებინა ფხვნილი, რომელიც თურმე წმინდა სტრიხნინს წარმოადგენდა.

დარჩენილი ხუთი ფხვნილი შემოწმებულ იქნა ლაბორატორიაში და ხუთივეში აღმოჩნდა სტრიხნინი.

აფთიაქის თანამშრომლები **ხოფიო გრეიფელდი** და **სერგეი რაჩკოვსკი** დაპატიმრებული არიან.

სწარმოებს საქმის დამატებითი გამოძიება. საქმე გაირჩევა ბათომში.

# ბიბლიოგრაფია

### ფ. მახარაძე — კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის, გვ. 171, ფასი 1 მან. სახელგამის გამოცემა

ეს წიგნი შეიცავს სტენოგრაფიულად ჩაწერილ იმ ლექციების შინაარს, რომელიც წაკითხულ იქნა ამხ. **ფილიპე მახარაძის** მიერ ამ.-კავკასიის რკინისგზელთა მუშფაკის ძველ ბოლშევიკ—მუშების ჯგუფში.

პირველ ლექციაში ამხ. **ფილიპე** ეხება მუშათა კლასის მოძრაობას, როგორც ამ.-კავკასიაში, ისე საქართველოში რუსეთის მუშათა კლასის მოძრაობასთან დაკავშირებით. ავტორი ამ მოძრაობას უკავშირებს ჩვენი პარტიის წარმოშობის ისტორიას.

შემდეგ იწყება ანალიზი მეცხრამეტე საუკუნის სოც.-ეკონომიური პირობებისა, როგორც საქართველოს, ისე ამიერ-კავკასიისა და მთელი რუსეთის ფარგლებში. „რა იყო ამ დროს ჩვენში?" სვამს კითხვას **ფ. მახარაძე** და უპასუხებს:

„საცოდავი, დაქუცმაცებული ქვეყანა, არ მძლავრ, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ხალხთაშორის სათამაშოდ გადაქცეული. და არა თუ სათამაშოდ, არამედ სარბიელად. თვით ხალხი დამონავებული, გაძვალტყავებული, რომელიც პატარ-პატარა მფლობელ-თავადების ხელში იყო". ასეთ მდგომარეობაში მყოფი საქართველო, როგორც ქრისტიანული ქვეყანა, თანდათანობით დაუკავშირდა რუსეთს, ხოლო მე-18 საუკ. ბოლოს, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა-აოხრების შემდეგ, იგი განსაკუთრებით მხარს უჭერს რუსეთის შემოსვლას, რუსეთის ძალა-უფლების დამკვიდრების შემდეგ „ამ.-კავკასია და განსაკუთრებით საქართველო განთავისუფლებულ იქნა „გარეშე მტრებისაგან". (11 გვ.).

მეორე ლექციაში ამხ. **ფ. მახარაძე** დაწვრილებით აგვიწერს ხელოსნების უმწეო მდგომარეობას და ნატურალური მეურნეობის დაცემას საქართველოში, რომელიც გამოიწვეული იყო რუსეთიდან მანუფაქტურისა და საერთოდ იაფი საქონლის შემოტანით. ნატურალურ მეურნეობის დაცემამ და ხელოსნურ წარმოების შემცირებამ გამოიწვია სათანადო სოციალური კატეგორიების გაპროლეტარების პროცესის დაჩქარება.

შემდეგ ამხ. ფილიპე გადადის რუსეთის მაშინდელი დროის პირობების ანალიზზე, რევოლუციონურ მოძრაობაზე და ყველა უმთავრეს მიმართულებაზე, რომელმაც „იჩინა იქ თავი და ჩვენც გადმოგვედო".

მეხუთე-მეექვსე ლექციებში, ამხ. **ფილიპე** ეხება რუსეთში მარქსისტული ჯგუფების წარმოშობას. აქ ის განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა ამხ. **ლენინის** მიერ დაარსებულ „ბრძოლის კავშირს" და მის მნიშვნელობას. დაწვრილებით ჩერდება რევოლუციონურ მარქსიზმიდან გადახრებზე, რომლებიც მოგვევლინა ჩვენ, როგორც ლეგალური მარქსიზმისა, ისე ეკონომიზმის თუ მენშევიზმის და ლიკვიდატორების სახით, და რომლების წინააღმდეგ ამხანაგი **ლენინი** შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა.

შემდეგ ახასიათებს რა ჩვენი პარტიის მიერ განვლილ პერიოდებს პარტიის მეორე ყრილობამდე, ამხ. **ფილიპე** მე-7-ე ლექციაში განაგრძობს: „**პირველი** ხანა, ლენინის აზრით, იწყება **„შრომის განთავისუფლების ჯგუფის"** დაარსებიდან და გრძელდება დაახლოვებით **10 წელი.** სოც.-დემოკრატიულ მოძრაობის პირველ ხანას ახასიათებს მუშათა კლასის თეორიის განვითარება, ხოლო მეორე ხანას—ამ თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირება. მესამე ხანა, რომელიც იწყება ყრილობის შემდეგ და გრძელდება დაახლოვებით 1903 წლამდე, იყო გაუგებრობისა, დაქაქსვისა და სხვადასხვა გზით სიარულის ხანა". ათავებს რა მიმოხილვას რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობისა და რუსეთის მთავრობის პოლიტიკისა მუშათა მოძრაობის მიმართ, ამხ. ფილიპე დაწვრილებით იხილავს მარქსიზმის შემოტანის საკითხს საქართველოში და მიუთითებს ყველა იმ ჯგუფებზე და წრებზე, რომლებიც დაარსდა საქართველოში ჯერ ქართველ ინტელიგენტებს შორის და შემდეგ მუშებში.

შემდეგ ამხ. ფილიპე, ეხება რა გაზეთ „კვალის" მნიშვნელობას, ამბობს: „ბევრს ჰგონია, რომ „კვალი" იყო ისეთი ორგანო, რომლის შიგნითაც სხვადასხვაობა არ ყოფილა. მართალია... „კვალმა" ითამაშა კრიტიკული როლი, მაგრამ მას მაინც კრიტიკულად უნდა შევხედოთ. იქ შერეული იყო სხვადასხვა მიმართულება და მას ჰქონდა პატრიოტული ელფერი. თანაც აქ ადგილი ჰქონდა კლერიკალურ მიმართულებას, მხოლოდ შემდეგ, 1898—1899 წლებში **„კვალი"** ხდება მარქსისტული ორგანო"... „უნდა ვსთქვათ, ამბობს ამხ. ფილიპე, რომ ზოგიერთი ამხანაგები წინააღმდეგი იყვნენ თბილისში არალეგალური გაზეთი დაარსებულიყო, მათ შორის იყვნენ ჟორდანია და ჯიბლაძე.

„საერთოდ უნდა ითქვას განაგრძობს ის რომ მარცხენა და მარჯვენა ფრთა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში ჩვენშიდაც თავიდანვე არსებობდა.. მაგ., ნოე ჟორდანია იმ თავითვე ნაციონალიზმის [illegible]. მან თავიდანვე დაიწყო ამ საკითხზე წერა და შემდეგაც ამით დაამთავრა. როცა [illegible] ის დაბრუნდა საზღვარგარეთიდან (1897 წ.), შეიძლება ითქვას, რომ ის ნაციონალისტი იყო, მაგრამ ადგილობრივი ამხანაგებში იგი მაშინ ვერა გახდა, და იძულებული შეიქნა თავის ნაციონალიზმი შეებოჭა".

ამის შემდეგ ამხ. ფილიპე დაწვრილებით მოგვითხრობს, ამ.-კავკასიაში პარტიულ მუშაობის და გლეხთა მოძრაობის შესახებ.

გლეხთა მოძრაობის შესახებ, რომელიც მისი აზრით, ჩვენში დაიწყო 1902 წელში. ავტორი გულისხმობს ისეთ მოძრაობას, რომელსაც ასე თუ ისე, ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა. ის არ ეხება გლეხების წინანდელ მოძრაობის ისეთ მომენტებს, რომელიც გამოიხატებოდა მემამულეების წინააღმდეგ აჯანყებაში, თავად-აზნაურების ამოხოცვაში და სხვა (მაგ. ქართლში). საქართველოს გლეხთა მოძრაობა, ავტორის აზრით, სრულიად განსხვავდებოდა რუსეთის გლეხთა მოძრაობისაგან.

უკანასკნელ ლექციაში ამხ. **ფილიპე მახარაძე** აღწერს რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციების მუშაობას ამ.-კავკასიაში, და კერძოდ საქართველოში. მოგვითხრობს კავკასიის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციათა კავშირის დაარსებაზე, სადაც არჩეული იქნენ დელეგატები მეორე პარტიულ ყრილობაზე. საინტერესოა რომ დელეგატები არჩეული იქნენ ბაქოს, ბათომის და თბილისის ორგანიზაციების მიერ. და რომ ამ ორგანიზაციებმა განხეთქილების წარმოშობის შემდეგ (მეორე ყრილობაზე) ბოლშევიზმს დაუჭირეს მხარი.

წიგნი თავდება ჩვენი პარტიის მეორე ყრილობის მუშაობის ანალიზით, ყრილობის შემდეგ მენშევიკების გამთიშველი პოლიტიკის აღწერით, და მთავრობის ვერაგული პოლიტიკის (რომელიც დამთავრდა 1905 წ. 9 იანვარს სისხლის კვირით) აღწერით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამხ. **ფილიპე მახარაძე,** რომელიც თავის ოფიციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ჩაბმულია სხვადასხვა საპასუხისმგებლო, პრაქტიკულ საქმეებში, მაინც პოულობს დროს მიაწოდოს ცოდნა—მოწყურებულ მუშებს და მუშათა ახალგაზრდობას ისტორიული ცნობები და ამ ცნობებზე დამყარებული უტყუარი სურათი მუშათა კლასის მოძრაობის შესახებ, სურათი, რომელიც მოგვითხრობს ყველა იმ ბრძოლისა და გამარჯვებაზე, რომელიც წილად ხვდა მუშათა კლასს.

ავტორის სარეცენზიო წიგნი, მისივე „1905 წელი ამ.-კავკასიაში"—და „საბჭოები და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა საქართველოში" უნდა გადაიქცეს ნამდვილ სახელმძღვანელოდ პარტიულ, შრომის და საერთოდ ყველა ტიპის საბჭოთა სკოლების მოსწავლეთათვის, რომელთაც ამიერ-კავკასიის პირობებში პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების წარმოშობის ისტორია აინტერესებს.

**ი. ი—ძე.**

## საქ. უნივერსიტეტში

### სტუდენტთა ჯანმრთელობის შემოწმება

სტუდენტთა გასამხედროებასთან დაკავშირებით, საქ. უნივერსიტეტში მუშაობს საექიმო კომისია, რომელიც იკვლევს სტუდენტთა ჯანმრთელობას. არდადეგებთან დაკავშირებით, საექიმო კომისიამ შესწყვიტა მუშაობა. არდადეგების დასრულების შემდეგ სტუდენტი, რომელიც თავს აარიდებს კომისიას, გამოირიცხება უნივერსიტეტიდან და მიცემულ იქნება პასუხისგებაში.

## რადიო-გადაცემა

### პარასკევი, 13 იანვარი

დღეს, 13 იანვარს, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

კოლექტიური მეურნეობანი სოფლად—ქართულ ენაზე.

მუშათა კლასის პასუხი ტროცკისტულ ოპოზიციის გამოსვლაზე—სომხურ ენაზე.

ემზადეთ წითელი არმიის 10 წლის თავისათვის სომხურ და თურქულ ენებზე.

საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე.

ობსერვატორიის ცნობები.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

ვ. დუხოვსკაიას და მ. ბიხტერის კონცერტის ტრანსლიაცია.

ტეხნიკური კონსულტაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

## შრომის ბირჟაში

**მედიცინის მუშაკთა სექცია**—თავის უმუშევართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ საჭიროა: ლეჩხუმის მაზრაში დ. ლაილაშში—ექიმი, ჯამაგირი; 150 მ. (ბინა) ჭრებალო საექიმო პუნქტზე ექიმი ჯამაგირი 150 მ. ს. ზუბში—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი; 50 მ. ალფანში—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი 60 მ. ხიდლოურში—ექ. თანაშემწე, ჯამაგირი 70 მ.

ზუგდიდის მაზრაში— ჩხოროწყუს საექიმო პუნქტზე — ექიმი ჯამაგირი 100 მან. ახალხიბულში—ექიმი, ჯამაგირი 100 მანეთი. [illegible]ლიაში — ექიმი ჯამაგირი 100 მ.

ახალქალაქის მაზრაში — ექიმი — ჯამაგირი 130 მ. გორელოვკის საექიმო პუნქტზე — ბებია ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი 55 მ. (გათბობა, განათება და ბინა) დოსტაქარი ახალქალაქის საავადმყოფოში, ჯამაგირი შეთანხმებით.

შორაპნის მაზრაში — სოფ. ამაშუკეთისა და ხუნევის საექიმო პუნქტზე, ჯამაგირი 200 მ. ქვაციხეში — 100 მ. კიცხში — 100 მ. მარელისში, — ბებია ექიმის თანაშემწე; ჯამაგირი 55 მანეთი. მსურველებმა უნდა მიმართონ, შრომის ბირჟის მედსექციაში ამხ. **გოგუაშვილს.**

**კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან:** ონისიმე ჭურაძე, არკადი ზამთარაძე, ნინო ბოლქვაძე, სერაფიონ მისხი, მიხეილ წკრიაშვილი. **შავ მუშათა მე-8 სექციიდან:** ვერა ანდრიანოვა, ნატალია ბოიკოვა და არშალ ავაკიანი. **მშენებელ მუშათა მე-5 სექციიდან:** ვლადიმერ თანჯავიძე, ალექსანდრე მეტონიძე, სარქის მირზოევი; იუშა ბაზიროვა, მელიტონ ნადარაია, ისაკ აბრამოვი, გრიგოლ პეტროსოვი და ბაგრატ პოლოსოვი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება

### საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობის „სახელგამი"-ს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება, საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობის „სახელგამი"-ს შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს 1926 წ. ივლისის 10-ს დამტკიცებული დებულება საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ.

**საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე**
**ლ. ქართველიშვილი.**
**საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი**
**პ. მგებრიშვილი.**

928 წ. იანვრის 10
თბილისი—სასახლე.

## დებულება

### საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობის „სახელგამი"-ს შესახებ

#### 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა, შემოკლებული სახელწოდებით „სახელგამი" დაარსდება განათლების სახალხო კომისარიატთან მეცნიერული, პოლიტიკური, მხატვრული და სხვა ყოველგვარი ნაწარმოებისა, აგრეთვე სასწავლო წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემისა და გავრცელებისათვის.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად სახელგამს უფლება აქვს:

ა) გამოსცეს და გაავრცელოს ყოველგვარი პერიოდული და არაპერიოდული ლიტერატურა მეცნიერებისა, ხელოვნებისა და პოლიტიკის დარგში, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.

**შენიშვნა.** სასწავლო წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა-გავრცელება შეადგენს სახელგამის მონოპოლიურ უფლებას.

ბ) შეიძინოს, გაყიდოს, მიიღოს საკომისიოდ ყოველგვარი ნაბეჭდი ნაწარმოები და საკანცელარიო საქონელი;

გ) გახსნას ყველგან, ს. ს. რ. კ. ტერიტორიაზე, სავაჭრო განყოფილება, სააგენტო, საბითუმო და ცალობითი პუნქტი, საწყობი და სხვ.;

დ) იქონიოს საკუთარი სტამბა, ლიტოგრაფია; საკაზმავი სახელოსნო და ყოველგვარი საწარმო, რაც დაკავშირებულია გამომცემლობის საქმესთან;

ე) მიიღოს ყოველგვარი შეკვეთა, რაც კი გამომცემლობის მიზანს შეესაბამება, გამოიყენოს კრედიტი, დასდოს ხელშეკრულებები, იჩივლოს და პასუხი აგოს სასამართლოში და სხვ.

3. სახელგამი შეადგენს დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს და მას აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება.

4. სახელგამი იმყოფება თბილისში. სახელგამს აქვს ბეჭედი საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო ღერბის გამოხატულებით და სავაჭრო მარკა.

#### 2. სახელგამის ქონება

პასუხისმგებლობის წესი

5. სახელგამს ეძლევა საწესდებო კაპიტალი, რომლის საორიენტირო რაოდენობა ხუთას ათას მანეთით გამოიხატება.

6. თავის ვალდებულებათათვის სახელგამი პასუხს აგებს მხოლოდ მისი კუთვნილი ქონებით, რაზედაც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად; შეიძლება მიქცეულ იქნას გადახდევინება. სახელმწიფო ხაზინა სახელგამის ვალებისათვის პასუხს არ აგებს.

#### 3. სახელგამის მმართველობა

7. განათლების სახალხო კომისრის კომპეტენციას ეკუთვნის:

ა) წარუდგინოს ეკონომიურ საბჭოს დასამტკიცებლად სახელგამის საწარმოო-საფინანსო გეგმა;

ბ) წარუდგინოს ეკონომიურ საბჭოს დასამტკიცებლად ახალ წარმოებით საწარმოო მშენებლობის გეგმა; აგრეთვე არსებულ საწარმოთა მოწყობილობის დამთავრებისა და გადაკეთების გეგმა;

გ) დანიშნოს და დაითხოვოს გამგეობის, სარევიზიო და სალიკვიდაციო კომისიის წევრნი და განსაზღვროს მათი გასამრჯელოს რაოდენობა;

დ) დაამტკიცოს ინსტრუქციები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისათვის;

ე) დაამტკიცოს ანგარიში, ბალანსი, მოგებისა და ზარალის ანგარიში; მოგების განაწილება აგრეთვე დაამტკიცოს სალიკვიდაციო ანგარიში და ბალანსი;

ვ) აღძრას საკითხი ამა დებულების და საწესდებო კაპიტალის რაოდენობის შეცვლის შესახებ;

ზ) ნება დართოს სახელგამს მიიღოს მონაწილეობა სააქციო საზოგადოებათა და სხვა სავაჭრო-სამრეწველო შენაერთთა დაარსებაში და შეიძინოს ასეთ საზოგადოებათა და შენაერთთა აქციები და პაები, აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა ისეთ საზოგადოებებში, რომელნიც მოგებას მიზნად არ ისახავენ, უკეთუ მათი მიზნები სახელგამის მიზნებს შეესაბამება;

თ) მოახდინოს სახელგამის მოქმედების რევიზია და გამოკვლევა.

8. სახელგამის გამგეობა დაინიშნება სამი წევრის შემადგენლობით: თავმჯდომარე, მისი მოადგილე და გამგეობის ერთი წევრი.

9. გამგეობა დამოუკიდებლად აწარმოებს მთლად სახელგამის ოპერატიულ მუშაობას, განაგებს მის საქმეებს და ქონებას, სდებს გარიგებებს და ასრულებს ამა თუ იმ ოპერაციებს, რაც კი სახელგამის გამგებლობის ფარგლებში შედის.

10. რათა გამგეობის დადგენილება კანონიერი იყოს, სხდომაში მონაწილეობა უნდა მიიღოს წევრთა უმეტესობამ, მათ შორის თავმჯდომარემ ან მისმა მოადგილემ. გამგეობის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების მარტივი უმეტესობით. უკეთუ ხმები შუაზე გაიყო, თავმჯდომარის ხმა გადასწყვეტს. მიღებული დადგენილება ძალაში დაუყოვნებლივ შედის.

11. უკეთუ თავმჯდომარე თანახმა არ არის გამგეობის წევრთა უმეტესობისა, მას უფლება აქვს თავისი პასუხისმგებლობით განახორციელოს თავისი გადაწყვეტილება, ხოლო დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს განათლების სახალხო კომისარს შეუთანხმებლობის გარემოება და მის მიერ მიღებული ღონისძიებანი. განათლების სახალხო კომისარს უფლება აქვს გააუქმოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება.

12. მოვალეობათა განაწილება გამგეობის წევრთა შორის მოხდება გამგეობის დადგენილებით მე-7 მუხლის „დ" პუნქტის თანახმად.

13. მთლად სახელგამის მიწერ-მოწერა თამასუქები, მინდობილობა; ხელშეკრულება, აგრეთვე იურიდიული მნიშვნელობის აქტი ხელმოწერილ უნდა იქნეს გამგეობის თავმჯდომარისა, ხოლო თავმჯდომარის არ ყოფნისას, მისი მოადგილის მიერ. მიმდინარე ანგარიშის ჩეკს ხელს მოაწერენ თავმჯდომარე და ბუხჰალტერი; თავმჯდომარის არ ყოფნისას,—მისი მოადგილე. საფოსტო ამანათისა, ყოველგვარი კორესპონდენციისა; ფულისა და დოკუმენტების მისაღებად საკმარისია გამგეობის ერთ-ერთი წევრის ხელის მოწერა სახელგამის ბეჭდის დასმით.

14. სახელგამთან არსებობს:
ა) სარედაქციო კოლეგია;
ბ) საგამომცემლო განყოფილება;
გ) სავაჭრო-საწარმოო განყოფილება;
დ) ბუხჰალტერია და კანცელარია.

სარედაქციო კოლეგია შესდგება 15 წევრისაგან, რომელთაც განათლების სახალხო კომისარი დანიშნავს.

სარედაქციო კოლეგია, საგამომცემლო განყოფილება, სავაჭრო-საწარმოო განყოფილება, ბუხჰალტერია და კანცელარია მოქმედებენ სახელგამის გამგეობის მიერ შემუშავებული და განათლების სახალხო კომისარის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციების თანახმად.

#### 4. სახელგამის რევიზია

15. სახელგამის მოქმედების რევიზიას განახორციელებს განათლების სახალხო კომისარი, რომელიც საამისოდ მოაწყობს სარევიზიო კომისიას სამი წევრის შემადგენლობით.

16. სარევიზიო კომისიის მოვალეობას შეადგენს: შეამოწმოს ამა დებულებით გათვალისწინებული პერიოდული ანგარიშები და ბალანსები. მისცეს დასკვნა ხარჯთაღრიცხვისა და მუშაობის გეგმის,—აგრეთვე წლიური ანგარიშის შესახებ მთლიანად. ამ მოვალეობის შესასრულებლად სარევიზიო კომისიას უფლება აქვს მოითხოვოს დავთრებისა, გამართლებელი დოკუმენტებისა, ხელშეკრულებებისა და მიწერ-მოწერის წარდგენა; აგრეთვე შეამოწმოს სალაროს ხელთქონებულება.

17. სარევიზიო კომისია თავისი მოქმედებისათვის იხელმძღვანელებს სპეციალურ ინსტრუქციით, რასაც დაამტკიცებს განათლების სახალხო კომისარი.

#### 5. კრედიტი

18. სახელგამს უფლება აქვს კრედიტი გაიხსნას სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო საკრედიტო დაწესებულებებში.

19. [illegible] სახელგამს ეძლევა აგრეთვე საბიუჯეტო ასიგნობის წესით.

#### 6. სახელგამის ანგარიშგება და მისი ბალანსის დამტკიცება

20. საოპერაციო წლიწადი განისაზღვრება [illegible].

21. ყოველწლიურად [illegible] წარადგენს განათლების სახალხო კომისარიატში, [illegible] საოპერაციო წლის დამთავრებიდან. [illegible] და დასამტკიცებლად, განსაზღვრული წესისამებრ, ანგარიშს, ბალანსს და მოგებისა და ზარალის ანგარიშს.

22. დამტკიცებული ბალანსი და მოგებისა და ზარალის ანგარიში გამოქვეყნებულ იქნება საჯარო ანგარიშგების წესებით განსაზღვრული წესისამებრ.

#### 7. მოგების განაწილება

23. ყოველწლიურად, განსაზღვრული წესისამებრ წლიური ანგარიშისა და ბალანსის დამტკიცებისას, სახელგამის მოგებიდან პირველ რიგში გადაიდება ანარიცხი საშემოსავლო გადასახადისა და ამ გადასახადის ადგილობრივი ზედნართის გასასტუმრებლად.

მოგების დანარჩენი ნაწილი, უკეთუ სახელგამის ბალანსით ნაჩვენები იქნება წარსული წლების ზარალი, მიიქცევა ამ ზარალის დასაფარავად.

24. უკეთუ ბალანსით ნაჩვენები არ იქნება წარსული წლების ზარალი, მოგების დარჩენილი ნაწილი განაწილებულ უნდა იქნას შემდეგნაირად:

ა) 10 პროც. გადაირიცხება მუშათა და მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფონდში;

ბ) 10 პროც. გადაირიცხება ამორტიზაციისათვის;

გ) 10 პროც. გადაირიცხება სარეზერვო კაპიტალში, ვიდრე იგი მიაღწევდეს საწესდებო კაპიტალის ნახევრამდე;

დ) 20 პროც. გადაირიცხება მაკულატურისათვის;

ე) მოგების დანარჩენი ნაწილი მიიქცევა სახელგამის გამოცემათა გაიაფებისა და მის საწარმოთა გაფართოებისათვის.

25. სარეზერვო კაპიტალის დანიშნულებაა დაჰფაროს სახელგამის წლიური ბალანსით ნაჩვენები ზარალი. საწესდებო კაპიტალის ნახევრამდე მიღწევის შემდეგ სარეზერვო კაპიტალი შეიძლება გადარიცხულ იქნეს სახელგამის საწესდებო კაპიტალში ამა დებულების მე-7 მუხლის „ე" პუნქტის წესისამებრ.

#### 8. სახელგამის ლიკვიდაცია

26. სახელგამის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით. ლიკვიდაციას მოახდენს განათლების სახალხო კომისრის მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია.

## პარტიული კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება ხელმეორედ სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ ხსენებულ განყოფილებაში ამხ. თარხანოვთან (ოთახი № 11).

ივანე როსტომის ძე დეკანოსიძე, ნიკოლოზ ივანეს ძე კლოჩკოვი, სერგო არსენის ძე გასიევი, ალეკპერ ჯაფარის ძე იზმაილოვი, ნიკოლოზ ევსტაფის ძე ხუციშვილი, იობა მათეს ძე ნიბლაშვილი არშაკ გრიგოლის ძე სარქისოვი, სერგო ვასილის ძე მაისურაძე, პლატონ იოსების ძე დეკანოსიძე.

იმ შემთხვევაში თუ დასახელებული ამხანაგები თბილისში არ იმყოფებიან ვთხოვთ სათანადო პარტ ორგანიზაციებს შეგვატყობინონ მათი სამსახურის მისამართი ან საცხოვრებელი ადგილი.

საქ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ ხვალ, 14 იანვარს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია გაერთიანებულ კომუჯრედთა დახურული კრება.

პარტიის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

---

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ფედოსია, შვილები: პასტი, ხიხა, პატულა, იპოლიტე, აპოლონი და ვალიკო უშვერიძეები, რძალი თამარა, დები: ცირა და სალომე, სიძე ვალიკო და შვილიშვილი ბადურიკა კაჭაჭმაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 10 იანვარს, უეცრად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

**ალმასხან (ანტონ) გრიგოლის-ძე**
**უშვერიძე**

დაკრძალვა მოხდება კვირას, 15 იანვარს, კოსტარის თემში (ოზურ. მაზრა), [illegible] ეკლესიაზე. 1079

---

გულმოკლული მარიამ ნიკოლოზის ასული ლეჟავა შვილებით, ულრმეს მადლობას უძღვნის ყველა იმ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და ნაცნობ-მეგობართ ვინც უკანასკნელი პატივისცა ძვირფასს და დაუვიწყარ მეუღლესა და მამას

**ინჟინერ**
**ნიკო ლეჟავას**

1083

---



**გუბლიკოვი** — ბიოლოგიური საუბრები (თარგმ. ლ. ხარაძის სახელმ.) გვ. 296, ფასი 2 მან.

**შ. თაგუკაშვილი**—ნ. კეცხოველი, ო. შარაბიძე და ო. ჭეიშვილი. „ახალი სოფელი" (სახელმძღვანელო შრ. სკ. მე-3 ჯგუფისათვის) გვ. 452, ფასი 3 მან.

**ტ. და ქ. ზაალიშვილი**—„ნაკადული" (შრომის სკოლის მეორე ჯგუფის სამუშაო წიგნი) გვ. 228, ფასი 1 მან. და 50 კაპ.

429 ნ.

25—8

**სახელმწიფო ოპერა**

დღეს პარასკევს 13 იანვარს პრემიერა **არწივების აჯანყება**
მონაწ. სლივინსკაია, მაყაშვილი, აგრანოვსკი, კულაგინი, მეხნიაევი, ლუბენცოვი.
ი. ა. გრეჩნევის ახალი დადგმა დირიჟ. ა. შ. მელიქ-ფაშაევი
შაბათს 14-ს **კარმენ**
კვირას 15-ს დილით **დემონი**, საღამოთი **ლეილა**

ნ. 473 1—1

| აპოლო | სოლეი | არფასტო | დარბაზი |
|---|---|---|---|
| [illegible]ის ახალი სურათი<br>„კულისებში"<br>მთავარ როლში:<br>მარჩელა ალბანი<br>და<br>ვერნერ კრაუს | მხატვრული ფილმი<br>„ბელვედერის ჩრდილები"<br>(ნილსი ასთერ) | მსოფლიო ფილმი<br>„სპიდ"<br>3 და 4 სერია ერთად | საინტ. კინო-რომანი<br>12-ის კლუბის ავანტიურისტებ<br>ორ სერიათ—ორივე სერია ერთად |

ანონსი: საქართ. სახკინმრეწვის ახალი სურათი „მთის კანონი"

**საბჭოთა და სავაჭ. მუშ. პროფ. კავშირის მე 2 საანგარიშო მეცნიერებათა (საბუხჰალტრო) კურსები**

იღებს მსმენელებს სპეციალურ განყოფილებაზე. ზოგად განყოფილებაზე სდგება ახალი ჯგუფი. სწარმოებს განცხადებათა მიღება. დაწვრილებითი ცნობები—კურსების კანცელარიაში სალ.—5—8 საათ. პლეხანოვის ქამხ. № 166 მე-5-თე პროფშკოლის შენობა. 2-1 1057

**საჯარო ვაჭრობა**

ამა წლის იანვრის 15 დილის 10 საათზე (ცეკავშირი) ნიშნავს **საჯარო ვაჭრობას** (ცეკავშირის ცენტრო საწყობ, შემის ქ. № 1) რომელზედაც გაყიდული იქნება სხვადასხვა საგალანტერეო, საბაკალეო და რკინა-კავეული საქონელი.

3—1 ნ. 463

**ქ. თბილისის საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი გ. ბალდასაროვი**

ამით აცხადებს, რომ ის 16 იანვარს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 3 ახალ არსენალის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მარია ბოიჩენკოს მოძრავ ქონებას: ხალიჩას შეფასებულს 100 მანეთად, ავაქ ბაროიან ის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოსაგან 2/ დეკემბერს 1927 წ. თარიღით, № 4379 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 10c9

**ქ. თბილისის მე-4 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი პოტემკოვსკი**

აცხადებს, რომ 18 იანვარს ა. წ. დღის 11 ნახ. საათზე, ალექსანდრე ზურაბის-ძე ბოჭორაძის ბინაზე მილუტინის ქუჩ., № 2, იგი 1-ლი **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მისი, ბოჭორაძის შემდეგ ნივთებს, რომელნიც გაყიდვისათვის შეფასებულია 235 მანეთად, ტრიუმო პატარა მაგიდით, კედლის სარკე, ორი ბუდუარის პატარა მაგიდა, რბილი კუშეტკა 2 მუთაქით და 2 ბალიშით, 3 ხალიჩა სხვადასხვა ზომის და აგრეთვე დივანი 2 კრესლოთი და 6 სკამით. თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა სამოქ. საპროც. კოდექსის 316 მ ხლში აღნიშნული მიზეზებით, მაშინ ამ ნივთების მე-2 საჯარო ვაჭრობა მოხდება იქვე 1928 წ. იანვარს 26-ს, დღის 11 ნახ. საათზე, და დაიწყება შეფასების ან პირველად შეძლეული თანხიდან. 1071

**თბილისის გარე-უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ოდიშარია**

ამით აცხადებს, რომ 16 იანვარს ა. წ. დღის 12 საათზე, მანთაშევის რიგში № 2, გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** ვაჭარ ალექსი პანტურის სხვადასხვა მანუფაქტურას, შეფასებულს 103 მ. 70 კ., ხოლო იმავე დღეს ბელინსკის ქ. № 9 საათის 2 ნახ. ყარამან არონიკიძის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, ეტაჟერკას, კომოდს, სასადილო მაგიდას, პიანინოს, დივანს, 2 კრესლოს და ერთ მაგიდას, შეფასებულს 305 მან. დასაკმაყოფილებლად იაკობ დათეშვილისა 630 მანეთში. თანახ. ბრძანებისა თბილისის მეორე უბ. სახ. მოსამართლისა 16 ივლისიდან 1927 წ. № 2380, ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან თუკი ვაჭრობა არ შესდგა, (316 მ. ს. ს. ს. კ.) მეორე საჯარო ვაჭრობა მოხდება 24 იანვარს მანთაშევის რიგში 12, ხოლო ბელინსკის ქ. 2 ნახ. საათზე და დაიწყება შეძლეულ ფასიდან. 1081

**მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო**

საწოლებით

**ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, კორგანოვის ქ., № 20 25—1

**ექიმი მეგრაბიანცი**

**ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი**

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

**ხელოვნური მთის მზე.** იონიოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და სალ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩა 25—1

**ექიმი ა. დ. კეკელია**

**სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.**

მიღება 8—12 დილ. 7—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნორ-აპ"-ს პირდაპირ ტელ. 12—8

**ექიმი პ. ი. მგალობლიშვილი**

**სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი**

ავადმყოფების მიღება: დილით 8—9 ს. საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ. № 3. (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

**ექ. თოდაძე**

დაბრუნდა საზღვარ გარეთიდან დაჰნაახლა ავადმყოფების მიღება. სპეც. უროლოგია (თირკმელები, საშარდე-ბუშტი, სასქესო ორგანოები და სხვა) ქირურგია. ცისტოსკოპია. დიატერმია (ახალი კაბინეტი). მიღება 5—7 საათამდე ბელგიის ქ. № 1. 13—1

**ექიმი ჯალალოვი**

**დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება**

**სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.**

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 —საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.). ყოფ. ვორონცოვის ხიდთან მახლობლად. 25—7

ქ. ბ ქოდან დაბრუნდა და მსგავსად წ. რ ულ წლებისა (პრაქტიკა 1910 წ.

**მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე**

ამზადებს სამხედრო აკადემიაში, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედი მოწმობაზე, და ასწორებს სუსტ მოწაფეებს აც. აქ ერუსული ენის გაკვეთილები პლეხანოვის ქუჩა № 25 (შესავალი კუთხიდ.: ალგეთის ქ. № 51). 9—12 ს. 2—5 საათ. ყოველ დღე 3—1—1082

**ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს** და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ** ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუსილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 25—1

კბილის ტექნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტექნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამ წლის ივნისში კურსების პროგრამით. რომლის შეძენა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. მაისში.

**კბილის ტექნიკოსთა კურსების გამგე პროფ.**

13—1 გ. გ. მუხაძე

**ექ. ს. ი. ვოლოხი**

ქალთა სნეულებანი და ბებიობა მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა ბელგიის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) ახლოს. ტელეფონი 10—80. 25—1

**მედიც. დოქტორი გ. ა. ახვერდოვი**

**ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.**

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—1

**ექიმი ი. დ. თოფურიძე**

მოსკოვის ქუჩა № 7

იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გ მოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით მიღება საღამოს 5—8 საათამდის ნ. 25 11

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

**ვენერიული, საშარდე— სასქესო ორგანოები, სიფილისი და კანის ავადმყოფობა**

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—9 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა"-ს (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—

**ექიმი გ. ნ. ონანოვი**

**სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა**

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25—1

**ექიმი იონა გაბიჩვაძე**

პლეხანოვის მიხაილოვის) პროსპექტი 65 ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგები დილით 7—8 ნახ. ს. საღამოს 5—8 ს.

**ექიმი ი. ი. ჭეიშვილი**

**სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.**

იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.) 25—1

**დავკარგე** განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი მარიამ ჩაჩავას სახელზე. ჩ. გ. 1074

**დავკარგე** აღმასრულებელი ფურცელი 680 მანეთისა, სიღარიბის მოწმობა, საავადმყოფოში მოსათავსებელი მოწმობა და ვექსლის პირობის წერილი, ნინა იოსების ასული მარუღლოვის სახელზე, ჩ. გ. 1076

**დავკარგე** საანგარიშო წიგნაკი № 27 ნინო სამადაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1072

**დავკარგე** განათლების კავშირის წიგნაკი № 1969 თამარა ჩხეიძის სახელზე, ჩ. გ. 1084

**დავკარგე** კავშირის წიგნაკი № 3923 ერმილე მალაქმანიძის სახელზე, ჩ. გ. 1080

**დავკარგე** სამხედრო აღრიცხვის ბარათი, პირადობის მოწმობა და კავშირის წიგნაკი ივანე აბრამ სძე ბიბ ნაშვილის სახელზე, 1075

**დავკარგე** შეძენილი პატენტები № 262 და № 107 ბიქტორ ივან სძე მკერვალიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1073

**დავკარგე** პარტ-კანდიდატო ბარათი № 9521 მიცემული ქუთ. სამაზრო კომიტეტის მიერ პლატონ ტებუკას სახელზე ჩ. გ. 1070

პოლიგრაფტრესტის მე-4-ე სტამბა, კაშოს ქ. № 6